N4 2022

ცისკარი

1852

დავით ყლდიაშვილი - 160

ქეთევან ნათელაძე - ლექსები
გიორგი სოსიაშვილი - მოთხრობა
ალექსანდრე ჯაჯიაშვილი - ნოველები
ფრენჯ ოუონორი - ახალი თარგმანი

№4//2022

ლიტერატურულ –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის
სამინისტროს ხელშეწყობით

საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2

სარჩევი

დავით ჯლდიაშვილი - 160

მაკა ჯოხაძე 3
შტრიხები პორტრეტისათვის

ამირან გომართელი 5
წინასწარმეტყველური პიესა

ლალი ავალიანი 10
დიდი მწერლის
ფილიგრანული ხვეულები

პოეზია

ქეთევან ნათელაძე 19
ლევან გორვანელი 25

პროზა

გიორგი სოსიაშვილი 29
დათა ***(მოთხრობა)***

ალექსანდრე კაკიაშვილი 35
ნოველები

ბესიკ ლაგვილავა 53
შეხვედრა პიტერ პენთან

წაუკითხეთ პატარებს

ნინია კაპანაძე 56
ლექსები

ახალი თარგმანი

ფრენკ ო'კონორი 60
ჩემი ოიდიპოსის კომპლექსი
ინგლისურიდან თარგმნა
როსტომ წერეთელმა

ხსოვნა ისტორიისა

ვახტანგ გურული 69
არჩილ ჯორჯაძის ეროვნული
თანხმობის იდეა

გარეკანზე:

დავით ჯლდიაშვილი - ჯოტე მარჯანიშვილის ფოტო

(დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში).

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2

მაკა ჯოხაძე

შტრიხები პორტრეტისათვის

სერგო კლდიაშვილი იხსენებს:

„ერთ დღეს მამამ გამომიცხადა, რომ რუსეთში წასასვლელად გამოცდაზე უნდა წავყოლოდი. ყოველ წლობით მტავრობას მიჰყავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან თავადაზრაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებელში, კორპუსებში. მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდევაც მიზანს აღწევდნენ ხოლმე, რადგან რუსეთში სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი ივიწყებდა ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან ფეხებამდე გარუსებული. თავადაზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან შვილის აღსაზრდელად...“

ერთი გადარჩა კერკეტი კაკალივით. ეს გადარჩენილი და მშობლიურ ენადავიწყებული ჭაბუკობაში თავიდან ისწავლის ქართულს და შემდგომში ნამდვილ ლიტერატურულ გმირობებს ჩაიდენს.

„ – კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

– გარუსების დასამთავრებლად? – მხიარული სიცილით ეკითხება უფროსი კაცი ბიჭს.

– არა, მე არ გავრუსდები... – პასუხობს ბიჭი...“

ეს კაცი აკაკი წერეთელია, ბიჭი – დავით კლდიაშვილი. ვაჟკაცურად შეასრულა დანაპირები. გარუსდა კი არა, გამორჩეულ ქართველად დარჩა.

მემუარული ჟანრის ლიტერატურა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთულად დასაძლევი ჟანრია. იქნებ პარადოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ ასეა. რადგან ავტორს ბრწყინვალე მეხსიერებასთან, ობიექტურობასთან, თხრობის კარგ უნართან, ეპოქის ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად, ყველაზე დიდ ბარიერად მაინც საკუთარი თავი ეღობება.

ამ ბარიერს, საკუთარ პერსონას, დავით კლდიაშვილი განსაკუთრებული სიიოლით უვლის გვერდს, ვითომ თვითონ არც არსებობს, არც ყოფილა, არც გაუვლია... და ყველაფერი ეს ხდება ისე, რომ არცერთ აბზაცში, არცერთ წინადადებაში არ ჟონავს და არ იჭყიტება ყალბი თავმდაბლობა.

იმას, რომ არ გარუსდა, დავით

კლდიაშვილი იმდროინდელი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს – ნიკო ლომოურს, პოლიკარპე ჩხიკვიშვილსა და ფარმაცევტ კოწია ლორთქიფანიძეს მიაწერს.

იმას, რომ მუნდირში გადაცმულმა ოფიცერმა არ შეასრულა მეფის ბრძანება და, გიორგი ზდანევიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ გმირის გუნდს არცერთი ტყვია არ გაუსროლია...“, ბედისწერას უმადლის დავით კლდიაშვილი. აკი ქებით ალეწილმა და შეცბუნებულმა ტაშის გრიალში გულწრფელად განაცხადა კიდეც:

„არავითარი გმირობა არ ჩამიდენია, ბედისწერისგან შებრალებული აღმოვჩნდი, ბედნიერი იმათთან შედარებით, რომლებიც უნებურად ხდებიან საშინელი დამნაშავენი ხალხის წინაშე...“.

ბრწყინვალე მოთხრობის – „სამანიშვილის დედინაცვლის“ გამარჯვებასაც კი თავის მეგობარს გადააბრალებს:

„ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობითო“...

პიესების ტრიუმფალურ ზეიმს ლადო მესხიშვილსა და მსახიობებს უმადლის – „ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ეს დაუვიწყარი წუთები...“ „დარისპანის გასაჭირიც“ ბედნიერი გახდა. დარისპანმა იპოვა თავისი მოსიყვარულე, განსხვავებულად მოსიყვარულე გამომსახველი – ვალერიან შალიკაშვილი...“

სხვისი ნიჭის აღფრთოვანების რა ღვთიური უნარითაა დაჯილდოვებული ეს ლამაზი კაცი, პარტერიდან რომ შეუთვლის, კი არ შეუთვლის, შეევედრება ევროპიდან ეს-ესაა დაბრუნებულ ახალგაზრდა მომხსენებელს – აწი მომავალი ლექციები რუსულის მაგიერ ქართულად წაუკითხე აუდიტორიასო... გრიგოლ რობაქიძეც უმალ შეუსრულებს თხოვნას მისი გზნებისა და ტალანტის დამფასებელ დავითს. სულ მალე ქართულად წაიკითხავს თავბრუდამხვევ ლექციებს „გველის მჭამელზე“, აკაკიზე...

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო, რომელი ერთი უნდა გავუხსენო ამ მომცრო ტანის ღირსეულ მოხუცს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფარად რომ ედგა თავისი ქვეყნის ღირსებას და მის დასაცავად დუელიც კი ჯილდოსავით გამოსტყუა გადამთიელებს...

ვერ ჩამოვთვლი, ვერ ამოვწურავ...

მარადიულია მისი ბეკინა, სოლომანი, კაროჟნა...

მარადიულია სოლომანის ჯორიც, მორჩილების, სათნოების, მიმტევებლობის ფერი რომ დაადო დიდმა მწერალმა...

ეს ყველაფერი შეიქმნა და დარჩება სამარადჟამოდ, მანამ, სანამ ქართული ენა იარსებებს, მანამ, სანამ იმერეთის ფერდობებზე ასკილი არ გადაშენდება.

და მაინც, ცოცხალი გინდა რომ გყავდეს ეს კერკეტა მოხუცი, აგერ აქვე, ხელისგაწვდენაზე...

რადგან გასაჭირია ნამდვილი პიროვნების, ბატონო დავით!.. რადგან, ასე მგონია, ჩვენს ნიჰილისტებსა და დაბრმავებულებს ყველაზე უკეთ თქვენი სიყვარულიანი გულისა და ძლიერი გონების წყალობით, ისევ თქვენ თუ ეტყოდით: – არიან ბაბუ, როგორ არ არიან ნამდვილი კაცები, რა ვუყოთ მერე დუჟინობით თუ არ არიან. ეგენიც საკმარისი აღმოჩნდებიან, თუ თვალს გავახელთ, თუ გულებს გავხსნით, თუკი არ გავლანძღავთ, ნდობით, სიყვარულით წავაქეზებთ, შევაჩერდებით და ვეტყვით – ჩვენ გხედავთ, ჩვენ გვჯერა, ჩვენ ველოდებით თქვენს ერთად ყოფნას...

ნეტავი ცოცხალი იყოთ, ბატონო დავით, ნეტავი დღეს იყოთ, ამ აზიბზიბებულ, დაბნეულ, შეგინებულ საქართველოში.

ნეტავი მიმოდიოდეთ როგორც ცოცხალი მხილება და რისხვა ღალატის, უზნეობის, გაუტანლობის...

წიგნიდან „ჩემი დავით კლდიაშვილი“, 1995 წელი

ამირან გომართელი

წინასწარმეტყველური პიესა

მოგონებათა წიგნში „ცხოვრება დავით კლდიაშვილისა“ სერგო კლდიაშვილი გადმოგვცემს დავითის ნათქვამს: „მართალი უნდა გითხრა, სერგო, ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფოთარებია... თუ ნაწარმოები განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს...“

მართალია, დავით კლდიაშვილი ლიტერატურულ სკოლებთან თუ მიმდინარეობებთან კავშირს უარყოფს, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთხელ მაინც წასძლია სულმა ჩვენს დიდ რეალისტს, მაინც გაუწია ანგარიში ლიტერატურულ მოდას. რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი იხსენებს: „ერთხელ სერგოს უთქვამს მამისთვის: შენ რაღაც ძველმოდურად წერ... აი, ნახე, როგორ წერს მეტერლინკიო; ძალიან სწყენია დავითს. ერთი კვირა ჩაკეტილა, გარეთ არ გამოდიოდა თურმე... მერე გამოუტანია „უბედურება“ – ვითომდა, მეტერლინკისებურად წერდა... არადა, მაინც თავისებურად დაწერა...“ (ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“, №1, 1999 წ., გვ. 84). არსებითად იმავეს იხსენებს ლალი ავალიანიც: დავითის ორტომეულზე მუშაობისას სერგო კლდიაშვილს უთქვამს, „უბედურება“ მეტერლინკთან გამოჯავრებაა.

მიხეილ თუმანიშვილი კი ამბობს, მაინც თავისებურად დაწერაო, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეა, მაგრამ არის „უბედურებაში“ რაღაც, რაც არსებითად უცხოა დავით კლდიაშვილის მკაფიო რეალიზმისათვის. ვგულისხმობ ნაწარმოების იდეის ქარაგმულად გამოხატვას, რასაც პიესის მთელი სიუჟეტი, უპირველესად კი, მისი ინტრიგა ცხადყოფს. „სამანიშვილის დედინაცვლისა“ და „დარისპანის გასაჭირის“ ავტორმა ქარაგმას მიმართა. ეს პირველსავე ეპიზოდში აშკარავდება.

რძალ-დედამთილი – მაია და ტუფია – ისევე, როგორც მთელი სოფელი, დიდი მოწიწებით ხვდება ვინმე ილიას. ამ მოწიწებას თან გაოცებაც ახლავს იმის გამო, თუ რამ გამოიყვანა შინიდან მძიმედ სნეული კაცი (ფეხები აქვს მომტვრეული). თვითონ ილიაც ადასტურებს:

– არა მკითხავ, მაია, რამ გამომარონია ფეხებდამტვრეულ კაცს ამოდენა გზა?.. გული მიწუხს მაია... გული მიწუხს!..

მაია: – გული შენს მტერს შეუწუხდა, ჩემო ბატონო!.. რატომ, რატომ, ჩემო სინათლევ?

ილია: – მა, რა იქნება, როცა ყოველი მხრიდან მარტო მწუხარება გესმის!.. ყველასგან მარტო ჩივილს თუ გაიგონებ თავის უსაშველობაზე, თავის გაჭირვებაზე... თავის გამწარებულ ცხოვრების ამბავს თუ მოგიყვება, თორემ მხიარულ სიტყვას იშვიათად თუ ვისმესაგან გაიგონებ... ყველა წუხს, ყველა დაღონებულია, ბედის მომჩივანია... ასე მეჩვენება, თითქოს ქვეყანაზე მწუხარების მეტი არა იყოს რა... ყველაფერი უხალისო, უფერული, ჩამობნელებული მეხატება!..

მართალია, დავით კლდიაშვილი პიესაში, ერთი შეხედვით, სოფლის უკიდურესი გაჭირვების, დაძაბუნებისა და ზნეობრივი დაკნინების სურათს ხატავს, მაგრამ პერსონაჟის (ილიას) მძაფრი გულისტკივილი არა მხოლოდ კონკრეტული სოფლის, არამედ ქვეყნის გასაჭირზე ღრმად მოფიქრალი და ჭირისუფალი კაცის სიტყვებია. შეუძლებელია, ამან არ გაგვახსენოს ილიას „აჩრდილში“ ასახული მძიმე ვითარება („ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა, თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა“...) და გამუდმებული ჩივილი უბედობაზე („ვიშ, ჩემი ბრალი! რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას“). ასე რომ, არც დავით კლდიაშვილი გარჯილა მხოლოდ ერთი, კონკრეტული სოფლის სატკივრისათვის და არც მისი პიესის გმირი.

ბუნებრივია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან პიესის პირველსავე ეპიზოდში პერსონაჟის მიღმა ის კაცი იგულისხმება, ვისთვისაც ქვეყნის სატკივარი უპირველესი იყო და, როცა ამ სატკივარს კონკრეტული სოფლის მაგალითზე აღწერდა, მკაფიოდ განმარტავდა კიდეც ამ პირობითობას „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი: სოფლის სახელს რა მნიშვნელობა აქვს, თუნდაც „წაბლიანს“ დავარქმევო.

ქვეყნის უკეთესი მერმისის ძიებაში დავით კლდიაშვილის პიესის პროტაგონისტსაც ისე მიუზღეს, როგორც ჩვენს უპირველეს ერისკაცს. ამბობს კიდეც გულისტკივილით პიესის გმირი: – უკეთეს ცხოვრებას ვეძებდი და ეს შევიძინე (ყავარჯენზე უთითებს). თუ რა შეიძინა წიწამურთან ქვეყნის უკეთესი მერმისის ძიებაში უპირველესმა ერისკაცმა, ყოველმა ჩვენგანმა იცის: „...მისი შუბლი, ნათელი, ტყვიით გაპობილია“ (გალაქტიონ ტაბიძე).

როცა პიესის მკითხველი თუ მაყურებელი ამ პარალელს გააცნობიერებს, აღარ გაუკვირდება, ქვეყნისა და ხალხის გასაჭირმა საწოლშიც რომ აღარ დააყენა კლდიაშვილის პიესის პერსონაჟი.

ილია: „...შევწუხდი, ველარ გავძელი სახლში... ვიფიქრე, რაც რომ გამიჭირდეს, ეზოს გადაღმა გადავალ-მეთქი... ეგებ ჩემს ეზოს გადაღმა არც ისე უხალისო და შეწუხებული მეჩვენოს ყველაფერი... ეგებ გული გამიხსნას ხალხის დანახვამ... ამან ამაღებინა ხელში ეს ყავარჯნები, გამომარონია ამხელა გზა...“

თითქოს საფლავშიც ვერ ისვენებს ქვეყნის უბედურებით გულშეძრული, წიწამურგამოვლილი ჩვენი მარადიული ჭირისუფალი.

დავით კლდიაშვილის პიესის სიუჟეტი კი, როგორც მკითხველს ახსოვს, ასე ვითარდება: უკიდურესად დაძაბუნებული კაცი – ანტონა – იძულებულია, მაინც წავიდეს ყანაში სამუშაოდ. მისავათებული უცებ მოცელილივით დაეცემა და სიკვდილის პირას მყოფს მიუყვანენ სახლში ცოლ-შვილსა და მოხუცებულ დედას. თანასოფლელებიც დიდად განიცდიან ანტონას ოჯახის ტრაგედიას. გულზე მჯიღის ცემით აცხადებენ, მზად არიან გვერდში ამოუდგნენ გასაჭირში მყოფთ, პირობას დებენ, ვუპატრონებთო დარჩენილთ, შევკავშირდებით, ურთიერთთანადგომა და ერთიანობა თუ გადაგვარჩენსო საერთო გასაჭირის ჟამს.

ერთ მუშტად შეკრულა თითქოს მთელი სოფელი. ერთიანობასა და თანად-

გომაზე ლაპარაკობს ყველა – პავლიაც, ლომონაც, ამირანაც, ვასილაც... – ერთმანეთს თუ გევიტანთ, თვარა, ისე, სხვებრ, ვერას გავხდებით (ლომინა).

– ერთმანეთს უნდა მივხედოთ და კიდეც მივხედავთ, კი, კი! (პავლია).

– სანამ ცოცხალი ვარ, ვერ ჩამოვშორდები ჩემს მეზობლებს ვერც ჭირში და ვერც ლხინში, ვერა, შენი ჭირი შემეყაროს, ვერ ჩამოვშორდები! (ამირანა)...

სამწუხაროდ, ორიოდე წუთში ერთბაშად ქრება თანასოფლელთა წამიერი ერთიანობაცა და დანაქადებიც ურთიერთგატანასა და თანადგომაზე. მართლდება ილიას ეჭვი, ეგზალტირებულ თანასოფლელებს რომ გაუმჟღავნა: „ხშირად სიტყვა რჩება და საქმედ არა თუ არ იქცევა, სულ სხავნაირადაც მიიმართება“. უბედურებაც სწორედ ისაა, რომ ამ ხალხს სიტყვის საქმედ ქცევა მართლაც არ ძალუძს. არავის ეთმობა პირადული.

...ანტონა ჯერ კიდევ ცოცხალია, ჯერ კიდევ არსებობს იმედი სულთმობრძავის გადარჩენისა. ამისათვის უბრალო რამაა საჭირო – გადალოცვა და მომაკვდავის მეუღლე აპირებს, ეზოს გადაღმა გადაულოცოს ავსა და ფარსაგს, სხვა მხარეს მისცეს გეზი. მთავარია, მისი ოჯახი დატოვოს უბედურებამ და ვის შეეყრება, ეს რა მისი თავშისაცემია... მაგრამ სხვაც ასე ფიქრობს. იმ სხვასაც მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებს. „ქვემოურები“ სასტიკი წინააღმდეგები არიან მისკენ გადალოცვისა. არც „ზემოურებს“ ეპიტნავებათ სხვისი გასაჭირის გაზიარება და სხვისი უბედურებით თავის შეწუხება. ჰოდა, ქვითა და კეტით დაერევიან ერთმანეთს „ზემოურები“ და „ქვემოურები“; ყოველი მხრიდან გაისმის: „დაჰკარით, დაჰკარით მაგ არაწმინდებს, დაჰკარით, დაჰკარით!..“

ვითომდა საერთო გასაჭირსა და სატკივარზე მოფიქრალი ხალხი ორიოდ წუთში გავეშებულ და გონდაკარგულ ბრბოდ გადაიქცა. პიესის მკითხველისა თუ მაყურებლის გაოგნებას ისევ უკეთესი მერმისის ძიებაში დახეიბრებული პროტაგონისტ გამოხატავს.

ილია: „თქვე კაი კაცებო, ახლა არ იყო, თავს იკლავდით, შეწუხებული იყავით ამ კაცის მდგომარეობით, ყველა ერთად აცხადებდით, ოჯახის გაჭირვებას გავიზიარებთო... ახლა წინააღმდეგი უხდებით, გადასალოცად გზას უკრავთ, რა მოხდა ამისთანა, რა იქნა? თქვენი სიტყვა სადღაა?“

პიესაში, ილიას გარდა, კიდევ ერთი პერსონაჟია – ნიკო, რომელიც, მართალია, სულ ორიოდე რეპლიკას წარმოთქვამს, მაგრამ დატრიალებული ხოცვა-ჟლეტის ჟამს ხალხს ისიც გონიერებისაკენ მოუწოდებს. ასე რომ, მხოლოდ ერთეულები გრძნობენ და ხედავენ უბედურებას.

მთავრდება დავით კლდიაშვილის პიესა და ხვდები, რომ მომაკვდავი კაცი – ანტონა – დრამატურგიული ინტრიგაა, რომლის მეშვეობით ქარაგმულად გამოიხატა ჩვენი საქვეყნო სატკივარი და უბედურება.

სწორედ ამ დრამატურგიული ინტრიგით ჰგავს „უბედურება“ მეტერლინკის პიესებს. სანიმუშოდ ერთი მათგანი გავიხსენოთ – „ბრმები“.

მოხუცებულმა მოძღვარმა, რომელსაც ბრმები გაუვალ ტყეზე მიჰყავდა, მოულოდნელად სული დალია. სხედან ახლა ბრმა ქალები და კაცები ერთმანეთის პირისპირ უკუნ ღამეში და არ იციან, რომ მეგზური მოკვდა; მისი უსიცოცხლო სხეული აქვეა, მათ გვერდით, ხის ძირას ჩამუხლული. ასე რომ, ამაოდ ელიან იმას, ვინც ამ უკუნეთიდან გაიყვანს შიმშილისაგან მისავათებულ, გათოშილ ადამიანებს. ნელ-ნელა ქრება გადარჩენის იმედი. ბოლოს კი ძაღლს მეგზურის გვამთან მიჰყავს ბრმები და საბოლოოდ რწმუნდებიან, რომ გადარჩენა შეუძლებელია.

მეტერლინკის პიესა სიმბოლური გა-

მოხატვაა ადამიანური ყოფისა. ბრმეები – მუდმივად წყვდიადში მოხეტიალე კაცობრიობაა. მომაკვდავი მეგზური – რელიგიური რწმენა, რომელიც კარგა ხანია დაკარგა ადამიანმა. რწმენადაკარგულ საზოგადოებაში კი სიკვდილს დაუსადგურებია, თუმც დაბრმავებულნი ამას ვერ ხედავენ. მხოლოდ მეძუძურმა ჩვილმა, ერთადერთმა თვალხილულმა ბრმათა შორის, იგრძნო სიკვდილის სიახლოვე და ატირდა. ის უცოდველია და წრფელი. სწორედ ამიტომაა ასე მგრძნობიარე. ასე რომ, აქაც მხოლოდ ერთეულები გრძნობენ თუ ხედავენ უბედურებას, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ ძალუძთ.

მეტერლინკის სხვა პიესებშიც დაუსადგურებია სიკვდილს უხილავი პერსონაჟის სახით. ამგვარი პარადიგმა ყველგან პიესის დედააზრის ქარაგმულ გამოხატვას ემსახურება.

დავით კლდიაშვილის პიესაშიც, მომაკვდავის სახით, ქარაგმულად, XX საუკუნის დასაწყისის ქართული ყოფა გამოიხატა. სწორედ ეს, სათქმელის ქარაგმულად გამოხატვის ხერხი, აქვს საერთო „უბედურებას“ მეტერლინკის პიესებთან. სხვა მხრივ მათ, რა თქმა უნდა, არაფერი აქვთ საერთო. „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორის სათქმელი და საფიქრალი „უბედურებაშიც“ ჩვენს საქვეყნო სატკივარს გამოხატავს.

დავით კლდიაშვილის პიესაში ანტონა სულთმობრძავი ქვეყნის სახეა, იმ ქვეყნისა, რომლის გადასარჩენად, მიუხედავად ქადილისა და გულზე ხელის ბაგუნისა, არამც თუ თავგანწირვა, არამედ თავის შეწუხებაც კი არავის უნდა.

„უბედურების“ პერსონაჟთა ფიცი ერთიანობაზე ისევე არ განხორციელდა, როგორც პიესის პროტაგონისტის პროტოტიპის – ილია ჭავჭავაძის იმედი „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებაზე.

„უბედურება“ 1914 წელს დაიწერა. ამ დროისათვის, სამწუხაროდ, ყოველი გონიერი კაცისთვის უკვე აშკარაა, რომ არც წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანების ილია ჭავჭავაძისეულ იდეას გაიზიარებს ვინმე და არც მისი სულიერი შთამომავლის, არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისს – „საერთო ნიადაგის“ შესახებ. „საერთო ნიადაგზე“ დოგმა ეროვნული ინტერესებისათვის სოციალური შუღლის დავიწყებას, საზოგადოებრივის პირადულზე მაღლა დაყენებას მოითხოვდა. სამწუხაროდ, ქართველობის უდიდეს ნაწილს ეს უნარი არ აღმოაჩნდა. ამიტომაც გაწირეს უპირველესი ერისკაცი.

ჩვენი ქვეყნის სინამდვილეშიც ის მოხდა, რასაც დავით კლდიაშვილის პიესის მხატვრული სინამდვილე ასახავს. დავით კლდიაშვილის პიესის გმირსაც ისე მიუზღეს, როგორც მის რეალურ პროტოტიპს. ერის გამთლიანების სურვილი ოდენ სურვილად დარჩა. უსახლკარო კოსმოპოლიტებმა „ზემოურებისა“ და „ქვემოურების“ შუღლზე სამოქმედო პროგრამა ააგეს და, როცა ეფემერული თავისუფლება გვეღირსა, ჩვენი ბედოვლათობის წყალობით, ქვეყნის ბედი სწორედ იმ ადამიანებს ჩავაბარეთ, ვინც ამ დაპირისპირებას აღვივებდა. ამიტომაც გახდა შეუძლებელი ერის გამთლიანება. გულნამცეცა ეგოიზმითა და სოციალური შურით აღვსილებმა ერთმანეთს ქვა და კეტი დაუშინეს. სწორედ ეს იყო ჩვენი უბედურებისა და თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე უტოპიური სოციალიზმის პირობებში ჭაპანწყვეტის მიზეზი.

P.S. დავით კლდიაშვილის პიესა, XX საუკუნის დასაწყისში დაიწერა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზუსტად ასე – ერთიანობასა და თანადგომაზე ქაქანითა და გულზე ხელის ბაგუნით, მერე კი ურთიერთწაკიდებითა და ერთმანეთზე მისევით – დამთავრდა ჩვენში საუკუნის ბოლო ათწლეულში მიმდინარე ეროვნული აღტკინება.

ყოველივე ამის გაცნობიერება კი ბუნებრივად ბადებს კითხვას, თუ „რა

გვჭირს ისეთი, რომ ჩვენს თვისებაში არაფერი შეიცვალა? რატომ დარჩა ჩვენი ცხოვრება ერთ ადგილას გაყინული? მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიაში ძირეული ცვლილებები მოხდა. რა არ გადაიტანა მსოფლიომ და რა დასკვნა არ გააკეთა, მაგრამ ყველაფერმა ამან ჩვენს გვერდით ისე ჩაიარა, რომ არც კი შეგვიმჩნევია, თორემ სწავლა-გაგებას ვილა ჩივის“ (აკაკი ბაქრაძე, „კარდუ“).

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ კითხვის პასუხი ვერც დავით კლდიაშვილის პიესის გმირის პროტოტიპმა იპოვა და ვერც „კარდუს“ ავტორმა – იმ კაცმა, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარში დაჟინებით ცდილობდა, გაეღვივებინა ჩვენში თავისუფლებისა და ერთიანობის წადილი.

ოფორტი

დავით ყლდიაშვილს

შიგნში გაცოცხლდა იმერეთი თავის მაჭრიებით,
მე ვყმზერ, ვიწრო შარიებს, შიშის ბოგირებს,
აგერ ირინე მიწვრილმანის აცდენს ვაჭროებით,
მლვდელი ზოსიმე დამშეული ყორს მიაბოგინებს.

თავია და ყადო, გაბერსილი ჩქარი ნამგალი,
ლობეში ლორი ყლიანი ლრიალებს მწარედ
და სოლომანი _ გაცრეცილი მხნე მაჭანკალი,
ჭიშკართან ყვირის: „მაინძელო, გამოდი გარეთ!”

პაოლო იაშვილი

ლალი პავლიანი

დიდი მწერლის ფილიგრანული ხვეულები

ვილიე დე-ლილ ა'დანით გატაცებული „დეკადენტი" შვილისათვის, „ცისფერყანწელ" სერგო კლდიაშვილისათვის დავითს უთქვამს: „შენ სულ „გედების მკვლელზე" ოცნებობ. მეც გეთანხმები, კარგია, მაგრამ ის მხოლოდ ლამაზი, პატარა სათამაშო ნივთია. აი, სწორედ ისეთი, ჩინელები რომ აკეთებენ ფაიფურიდან. „გედების მკვლელის" დამწერს ადამიანი არ უყვარს... ამიტომაც ნურას უკაცრავად მასთან, თუ მას სხვა მწერალი ვარჩიო, ისეთი მწერალი, რომელსაც კაცი უყვარს!"

ფრანგების მიერ „დაწყევლილ პოეტად" სახელდებული ვილიე დე ლილ ა'დანი სიმბოლისტთა აღიარებული მეტრი იყო, მათ შორის სტეფან მალარმესიც (ერთნაირი სათაურის ორი სონეტის „გედის" ავტორი); რუსმა ფილოსოფოსმა და პოეტმა დმიტრი მერეჟკოვსკიმ ერთ-ერთი ესეის სათაურად „გედების მკვლელი" შეურჩია; გალაკტიონმა თავის „არტისტულ ყვავილებს" (1918 – „თავის ქალა არტისტული ყვავილებით") ეპიგრაფებად ბოდლერის, ვილიე დე-ლილ ა'დანის, თეოფილ გოტიეს, პოლ ვერლენისა და არტურ რემბოს ფრანგული ციტატები მიუსადაგა; „ცისფერი ორდენის" მომავალმა „დირიჟორმა" პაოლო იაშვილმა, ჯერ კიდევ 1913 წელს ჟურნალ „ოქროს ვერძში" გამოაქვეყნა ვილიე დე-ლილ ა'დანის თარგმანი. თითქოს ა'დანზე ეთქვას მალარმეს: „ყოველგვარი ოსტატობა სიცივეს აფრქვევს". „ხელოვნების დეჰუმანიზაციის" (1925) ავტორს, ხოსე ორტეგა ი გასეტს მალარმეს ეს პარადოქსული გამონათქვამი მოდერნისტული ხელოვნების ადეპტთა საზრისის საილუსტრაციოდ ჰქონდა მოხმობილი: ესთეტიკური ტკბობა რაციონალური უნდა იყოს, მშვენიერების გამოხატულებამ ღიმილისა და სევდის საზღვარი არ უნდა გადალახოს, „ხელოვნება არ შეიძლება ფსიქიკურ განწყობაზე იყოს დაფუძნებული – ეს ინსტინქტური, არაცნობიერი ელემენტია, ხელოვნება კი სრული სიცხადე, გონიერების შუადღე უნდა იყოს" (ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

დავით კლდიაშვილის, როგორც პროზაიკოსისა თუ დრამატურგის შემოქმედება, შორსაა დეჰუმანიზაციის იდეისაგან და მისი ტოლუპოვარი ორიგინალურობა თუ ტალანტი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ყოველთვის სითბოს აფრქვევს: „ღიმილისა და სევდის" მიჯნაზე ამყოფებს მკითხველს. კიტა აბაშიძის მოხდენილი თქმით, დავით კლდიაშვილმა ერთი ხელით დაკოდილი მკითხველის გულებს

მეორით მალამო წასცხო.

ღიმილისა და სევდის ზღვარზეა მწერლის უსაჩინოესი თვისებაც: დეტალების ოსტატური გამოკვეთა.

ჩემი შენიშვნები პროზის დიდოსტატის ზოგი ჯერაც დაუნახავი „წვრილმანის“ სამზეოზე გამოტანის ცდაა.

თეთრი – შავი, დადებითი – უარყოფითი?

სამართლიანად არის აღნიშნული დიდი რუსი მწერლის, ჩეხოვის თაობაზე – წმინდანებსაც და ცოდვილებსაც იგი ერთნაირად „შემწყნარებლური“ ფუნჯით ხატავს, რადგან თავის თავს ინსტინქტურად მათ ადგილას აყენებსო (მაქსიმ გორკი).

დავით კლდიაშვილის ნაწერებში არ გვხვდება ბიბლიური ქამის თვალით დანახული გმირები! რაც არ უნდა სცოდავდნენ ისინი, დიდი მწერლის მიმტევებლობა და თანალმობა გადასწონის ავტორს – მორალისტს.

დავით კლდიაშვილის საიუბილეო საღამოზე ერთმა ორატორმა (გარემოებისა და „პოლიტიკური კურსის“ შესაბამისად – 1930 წელი იყო) რიხით განაცხადა – მწერალი თავის მოთხრობებში დაუნდობლად დასცინოდა და ამათრახებდა ხელმოკლე აზნაურებსო.

„ამის გაგონებაზე დავითი ნერვიულად შეირხა, შუბლი მოჭმუხნა და ვიდრე მისალმებები და მილოცვები დამთავრდებოდა, დაღვრემილი, თითქოს გულმოსული, იჯდა სავარძელში.

დამთავრდა ორატორების გამოსვლა. საბოლოო სიტყვა იუბილარს უნდა წარმოეთქვა. დავითს მღელვარება ემჩნეოდა, მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და თქვა:

არა, მე არავინ არ გამიმათრახებია, არ დავცინოდი იმ უბედურ ადამიანებს. მე ისინი მეცოდებოდნენ; მებრალებოდა ადამიანი, რომელიც მახინჯმა ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. მე მიყვარდა ჩემი ხალხი, ცრემლებს ვღვრიდი, მის გამწარებულ ცხოვრებას რომ ვხედავდი და ამ გულისტკივილით, მათდამი სიბრალულით სავსე ვწერდი. ასე რომ არ ყოფილიყო, მე ახლავე უარს ვიტყოდი ჩემს ნაწერზე. მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე წინ მიმიძღოდა მხოლოდ ადამიანისადმი სიყვარული“ (სერგო კლდიაშვილი, „ორფეოსი“, თბილისი, 1969 წელი).

ზემოთქმული იმაზე როდი მიგვანიშნებს, რომ დიდი მწერალი ვარდისფერი სათვალით იყო აღჭურვილი და ავსა და კარგს ვერ არჩევდა. პირიქით! დავით კლდიაშვილის მნიშვნელოვან თხზულებათა არცერთი პროტაგონისტი არ გამოგვადგება იდეალური გმირის მაგალითად. საერთოდ შეუძლებელია მის გმირთა სწორხაზოვანი, ტრადიციული დაყოფა დადებით და უარყოფით პერსონაჟებად. დიდი მწერალი ზედმიწევნით ფლობს ნახევარტონებით, შუქ-ჩრდილებით ხატვის ხელოვნებას.

ღირსსაცნობია სერგო კლდიაშვილის ერთი დაკვირვება – ხანდახან დავითს უნდა მორალისტის როლში გამოვიდეს, მაგრამ უჩინარ ხელს ყოველთვის გამოჰყავს შესაძლებელი ხიფათისაგან; სად იმერეთი და სად მშრალი მორალიო!

ზემოთქმულის ნათელსაყოფად ორიოდე მაგალითიც საკმარისია: მორალისტი – ავტორი უთუოდ გამო

ულა და საბოლოოდ იმსხვერპლა კიდეც სიცოცხლისმოყვარული, ცქრიალა ახალგაზრდა ქალი („მსხვერპლი“). ეს დოკუმენტურადაც დასტურდება – დავითის ერთი პირადი წერილით. მწერალი განუმარტავს ადრესატს – მასწავლებელ მანდილოსანს; პატრიარქალური ოჯახის ნამუსის მოდარაჯე, ნიადაგ მუხლჩაუხრელად მშრომელი, სამართლის პირში მთქმელი მოხუცი ქვრივი, რომელსაც უგუნურმა სოფლელებმა კუდიანობა დასწამა – თვით არის მსხვერპლიო.

„დავით კლდიაშვილი სრულიად თავისუფალი იყო ეთიკური თვალსაზრისით უსიამოვნო თვისებისაგან, რადგან სხვის ნაკლთა მხილებით არც თვითონ ტკბებოდა და არც ჩვენ გვატკბობდა“ (გრიგოლ კიკნაძე).

„მორუსული“ პერსონაჟები

გრიგოლ კიკნაძე, რომლის ნაშრომები კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის, აკაკი გაწერელიას თხზულებათა დარად, დავით კლდიაშვილისადმი მიძღვნილ საუკეთესო გამოკვლევათა რიცხვს მიეკუთვნება, დიდი მწერლის თხზულებათა ენას საგანგებოდ არ ეხება; აღნიშნავს მხოლოდ, რომ მისმა შემოქმედებამ არ იცის რუსულის კალკი.

მართლაც, რომ ასეა და განსაცვიფრებელიც არის: კიევისა და მოსკოვის სამხედრო სასწავლებლებში შეგნებულად გარუსებულმა დავითმა, ოცი წლის ასაკში რომ დაბრუნდა საქართველოში, თავიდან შეისწავლა ქართული; უფრო ზუსტად თუ ვიტყვით – „დაიბრუნა“ მშობლიური ენის ცოდნა.

გერონტი ქიქოძე ამ ფენომენს შემდეგნაირად ხსნიდა: პატრიარქალურ ოჯახში გატარებული ბავშვობის პირველი წლები იყო განმსაზღვრელი იმისა, რომ გარუსებულმა ჭაბუკმა სულ მოკლე ხანში ბრწყინვალედ აღიდგინა ქართული: „იქ გაეცნო ის ქართულ ზღაპრებს, ანდაზებს, არაკებს, სიმღერებს და ჯანსაღი ხალხის გონებამახვილ დიალოგს; იქვე შეისწავლა ის სადა, ძალდაუტანებელი ქართული ენა, რომელიც მას შემდეგ ვერ დაავიწყა ვერც კიევის სამხედრო გიმნაზიამ და ვერც ბათუმის ყაზარმებმა“.

თუ რა ჩიქორთულად მეტყველებდა ბათუმში განწესებული ახალგაზრდა ოფიცერი, ამაზე თვით მწერალი მოგვითხრობს თავის მემუარებში: ბათუმის პოლიცმეისტრის ცოლი ქეთევან ჟურული, რომლის ოჯახი ბათუმის ქართული საზოგადოების ნამდვილი საკრებულო იყო, ცდას არ აკლებდა, რათა ახალგაზრდა ოფიცერს მშობლიური ენა შეესწავლა, სცენისმოყვარეთა რეპეტიციებზე ათჯერ-თხუთმეტჯერ (!) ამეორებინებდა მას როლებს: ზოგჯერ კი, მოთმინებადაკარგული შესძახებდა – „არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართველი ხარო!“

ჩემი აზრით, დიდ მწერალს ერთგან მაინც „გაეპარა“ რუსული სპეციფიკური შორისდებული – „ხა, ხა, ხა, ხა, – გადაიხარხარა კირილემ, – ხა, ხა, ხა, ხა... აი და ბეკინა!.. აი და შენი ჭირიმე!“ („სამანიშვილის დედინაცვალი“), თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს ცოდვა უფრო რედაქტორებს მოეკითხება, ვიდრე ავტორს.

„აი და“, რა თქმა უნდა, ქართული გეგონება, მაგრამ ამ კონტექსტში სრულიად უადგილოა. უეჭველია, რომ ეს რუსული სიტყვაა – „Айда“.

ამიტომ შესაბამისად უნდა იწერებოდეს: „აიდა, ბეკინა, აიდა, შენი ჭირიმე!“ (როგორ არ გავიხსენო „ბორის გოდუნოვით“ კმაყოფილი ავტორის აღტაცებული შეძახილი საკუთარი თავისადმი: „Айда Пушкин, айда сукин сын!“).

საფიქრებელია, რომ დავითს კი არ „შეეშალა“, არამედ სწორედ რუსული სიტყვა ათქმევინა კირილეს; ის აკი რუსულად აძალებდა ცოლისძმას ღვინოს: „თუ გიყვარდე, ერთბაშად გამოცალე ეს ყანწი... შენი ჭირიმე, ბეზ კაპლი, ბეზ, ბეზ! – ხრიალებდა კირილე კიდევ დიდხანს“.

საერთოდ კი, დავით კლდიაშვილის გმირების მიერ რუსული სიტყვების ხმა-

რება წმინდა წყლის სნობიზმია, პორფირი ბიაშვილი ხან „ურას“ იძახის, ხან ტრაბახობს – „ჩესტიანი ბიჭი ვარო“; ბეგლარ ჯინჭარაძე დისშვილის ნათლობაზე სოფლელ ქალიშვილებთან „პოდრუჩკით“ დაიარება, „მაზურკა დოუკარითო“ მოითხოვს და რუსულს რომ არ სჯერდება, „მერსი, მერსის“ ძახილით ფრანგულის „ცოდნასაც“ ამჟღავნებს („ქამუშაძის გაჭირვება“).

გამონაკლისია ამ მხრივ ვასილ ივანიჩისა და ალექსანდრეს საუბარი („ბაკულას ღორები“) ან მღვდელ ზოსიმესა და აზნაური ნესტორის რუსულად გადალაპარაკება („მრევლში“).

ერთ შემთხვევაში ვასილ ივანიჩმა ინჩიბინჩი არ იცის ქართულად; ხოლო მღვდელ ზოსიმესა და ნესტორის რუსულ ენაზე ლაპარაკს კონკრეტული მიზანი აქვს – იქვე მყოფმა გლეხებმა არ უნდა გაიგონ მათი ნაუბარი.

დავით კლდიაშვილს არც იმის ჩვენება დავიწყებია, რომ ქართულ სოფელში ყოველდღიურ მეტყველებაშიც კი დამკვიდრდა ზოგიერთი რუსული სიტყვა. ხშირად – სახეცვლილი, დამახინჯებული სახით: „ზაკუსკა“, „რუბაშკა“, „სტაქანი“, „პრაჩკა“ („პაჭკა“ – როგორც დარისპან ქარსიძე ამბობს), „კარხმალი“, „პიჩოჩკა“ ან „პიჩესკა“ და სხვა; უფრო მეტიც – რუსული საკუთარი სახელები – სონია, ელენიჩკა, ნატალია...

არისტო ქვაშავაძის სულიერი და მატერიალური „დოვლათი“.

ვინ არის არისტო ქვაშავიძე? „კეთილშობილი კაცი“, „ნამდვილი კეთილშობილებით“ აღვსილი, „სანდო კაცი“ – ეს თვითდახასიათებაა... ისე კი, არისტო ქვაშავიძე გარშემო მყოფთა მოთაფლვაში გამეცადინებული, სხაპასხუპით მოლაპარაკე, საკმაოდ მჭევრმეტყველი (კირილე მიმინოშვილის სათნო მამიდა სალომე მისი ენამზეობით გულაჩვილებულია), ნიადაგ მომღიმარი ახალგაზრდა აზნაურია („სამანიშვილის დედინაცვალი“).

ეს მისი, ასე ვთქვათ, „საგარეო“ სახეა. გულისგულში კი ცბიერია, ეშმაკი, უდარდელი; მუდამ რაიმე გამორჩენის მოიმედე და მომლოდინე. ამასთან, სრულიად გულგრილი და დაუნდობელი სხვისადმი.

პიროვნული თვისებების გარდა, არისტოს ორსახიანობა, მისი გაორებული ბუნება განპირობებულია ობიექტური გარემოებითაც: ამ „წარჩინებულ“ კაცს სახლი არა აქვს. „ძმები გაყოფილან, სულ ფიცარ-ფიცარ გაუტანიათ სახლი და ახლა ორივეს რომ მთელად აღარ აქვთ მასალა, ქე არიან ისრე უბინაოთ... დაყანყალობენ იქით-აქეთ“. სწორედ ამიტომ ეტანება არისტო „მასპინძელსა მხიარულსა“ და, რა თქმა უნდა, შეძლებულსაც: ასიამოვნებს მას მოთაფლული ენით, მოლხენით, მასხრობა-ოხუნჯობით. ხან ნათლიმამა გლეხთან ატარებს დროებას, ხან ჯიმშერ სალობერიძისთანა აზნაურებთან, რომელთაც რაღაც მანქანებით ჯერ კიდევ შერჩენიათ ქონება; ბოლოს კი მამიდამისის, ელენეს ახალ ოჯახში – ბეკინა სამანიშვილისას დაიდებს ბინას.

არისტოს თავგადაკლულ მცდელობას – შეართვევინოს ბეკინას ელენე, მამიდის სიყვარული კი არა, საკუთარი ზრახვა, საკუთარ სარგებელზე ზრუნვა უდევს საფანელად. აკი სრულიად დაუფარავად ამცნობს სალომეს – ბრეგაძეების დედინაცვალთან, მამიდაჩემთან ვერ მივდივარ მათი სიღარიბის გამოო: „რარიგად მივიდე? მე შენ გეტყვი, მიღება შეუძლიათ, ბინა აქვთ, სახლი, კარი, სასმელი, საჭმელი... ჩემს სისხლ-ხორცთან ვერ მივიდე წელიწადში ერთხელ, ორხელ?! გაუგონია კაცს?!“ ვის, ვის, და ელენეს გათხოვებით არისტოს დიდად გაუმართლა ბედმა: ბეკინას „სული და გული შეიქმნა ეს კაცი, რომლის მოშორება მას ახლა სამძიმოდ დაურჩებოდა, თუმცა ღვთით, არისტოს მხრივ ამაზე შიში არ ეჭირვებოდა – იგი ჯერჯერობით, როგორც ეტყობოდა, კიდევ კაიხანს არ აპირებდა ფეხის მოცვლას ამ ახალი ბინიდან“.

ღარიბია არისტო, მაგრამ მთლად უპოვარიც არ არის: ერთგან ვხედავთ,

რომ ლეკურითა და ხანჯლით შეიარაღებული დაიარება. უფრო „გადაუპრანჭავი“ და უპრეტენზიო აზნაური, მაგალითად, პლატონ სამანიშვილი, არისტოსა და კირილე მიმინოშვილისაგან განსხვავებით, ხმალ-ხანჯალს არ ატარებს. არისტო „ფრანტიც“ არის – ლამაზი, ახალი პატარა ბოხოხი ახურავს...

შემთხვევითია ეს დეტალები? არა მგონია: მუქთამჭამელ „კეთილშობილ“ აზნაურს არაფერი აბადია ტანსაცმლისა და ხმალ-ხანჯლის გარდა! ხოლო, რადგანაც სახლი საერთოდ არ გააჩნია, მთელი თავისი ქონება თან დააქვს!

აწრიპინებული წიწილა

ეკვირინესა და ოტიას თავმოსაწონებელი და სასახელო, მათი „განმანათლებელი“ სტუმარი ეწვია – პორფირი ბიაშვილი („ქამუშაძის გაჭირვება“). ცბიერმა სტუმარმა გულუბრყვილო მასპინძლებს ჩააგონა – თქვენი დიდი ხათრი რომ არა, დასარჩენად სად მცალიაო – და დედაშვილიც თავს არ ზოგავს, სწრაფად რომ გაამზადოს „ზაკუსკა“.

„აწრიპინებულ წიწილას ნისკარტში წაუჭირა ოტიამ ხელი, სანამ დანას მონახავდა; მერე უცბად გადაუსვა კისერზე დანა და გვერდზე მოისროლა. ოდნავ ყელწაჭრილმა წიწილამ რბენა დაიწყო ოთახში და სისხლით მოთხვარა იატაკი, სანამ სისხლისაგან დაწრეტილი კერიასთან არ დაეცა“.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს წიწილის დაკვლა, გააოცებს დიდი მწერლის სიზუსტე.

აქ საცნაური და უჩვეულოა მხოლოდ ერთადერთი დეტალი – ოტიას მიერ აწრიპინებული წიწილისათვის ნისკარტში ხელის წაჭერა – თითქოსდა ზედმეტი და უადგილო.

მაგრამ დავით კლდიაშვილი რის დავით კლდიაშვილი იქნებოდა, ეს რომ არ ჰქონოდა წინასწარ „გათვლილი“: ეკვირინემ მეზობლის გოგოს მოუხმო მჭადების დასაცხობად. ფუსუტიაც ცქვიტად დატრიალდა და ფქვილის გაცრა დაიწყო: „თავმოძულებით დაუწყო საცრის გვერდებს პარტყაპურტყი“. ეკვირინემ იმწამსვე შენიშნა „ზედმეტი“ ხმაური: „–ნელა ფუსუტია, ნელა, შვილო!.. ნუ უპარტყუნებ მაგრე ძალუმად, ნუ გააგონებ!.. “

აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული: „წარჩინებულ“ სტუმარს არა მარტო სწრაფად უნდა გაუმასპინძლდე, არამედ არც უნდა გააგონო, რომ ახლაღა შეუდექი საუზმის თადარიგს. თანაც ზედმეტი ხმაურითაც არ უნდა გადაუტვირთო ყურთასმენა. სწორედ ამიტომ წაუჭირა ოტიამ წიწილას ნისკარტში ხელი.

თქმა არ უნდა, ანეკდოტური სიტუაციაა; მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პორფირისათვის ეს საუზმე სულზე მისწრებაა, ისეა მოშიებული...

მაგრამ ასეთია იმერული სტუმარმასპინძლობის წესი, ამ შემთხვევაში სრულიად წრფელად და უანგაროდ გამოხატული – სტუმარი არ უნდა შეწუხდეს თუნდაც წიწილის წრიპინით ან საცრის გვერდებზე ხელების ტყაპუნით, თანაც (ესეც ანგარიშგასაწევია), უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ოჯახს მუდამ ძალუძს ჯეროვანი გამასპინძლება!

ცხადია, შეძლებულ მასპინძელს ამგვარი სადარდებელი არ ექნებოდა...

სიმბოლიკა – უნებლიე თუ ნებსითი

„სინამდვილის ფანატიკოსი“ დავით კლდიაშვილი, ვითარცა ყველა დიდი ხელოვანი, „აისბერგული სტილის“ მწერალია. პირუთვნელი მემატიანე, ობიექტური მჭვრეტელი – იგი ყოფის სიღრმეში – მოვლენათა არსში ჩაგვახედებს; „მშრალი“ მორალიზებისა თუ ავტორისეული ტენდენციურობის გარეშეც ზოგადსკაცობრიო ფასეულობებს, ზოგადადამიანურ ვნებებს გვაზიარებს – სიკვდილ-სიცოცხლეზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, ბოროტსა და კეთილზე ჩაგვაფიქრებს. ყოველივე ეს სადად და ძალდაუტანებლად ხდება, გენიოსური უბრალოებით.

მოჩვენებითი სიმარტივის მიღმა, მის

თხზულებებში დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა დაუნჯებული. არც მინიშნებები, სიმბოლიკა თუ მისტიკაა უცხო მისთვის.

დავით კლდიაშვილის „მიქელა“ მეტად ღრმააზროვანი და მრავლისმეტყველი მოთხრობაა. ის საგანგებო ყურადღების ღირსია. ამჯერად კი მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ერთადერთ საკითხზე, რომელიც დღემდე შეუმჩნეველი დარჩენიათ მკვლევარებს.

ოცი წლის სპიდონა დასნეულდება და საიქიოს „მოვლასაც“ მოასწრებს. მიქელას მეორე შვილიშვილს, გვარის გაგრძელების ერთადერთ იმედს – ათი წლის ნესტორას დედამისი თავისიანებთან, მახლობელ სოფელში გახიზნავს.

სპიდონას მიმართ მიქელა საოცარ გულქვაობას გაამჟღავნებს, მთელ თავის სიყვარულსა და იმედს ნესტორას დაუკავშირებს.

ნესტორას მონატრება, მისი ნახვის სურვილი ერთხელ ისეთი სიმძაფრით შემოენთება მიქელას, რომ მოხუცებული დაუყოვნებლივ გასწევს მძახლებთან ბავშვის დასახედად. ბავშვის ნახვა მიქელას გულს დაუშოშმინებს, იგი უკან გამომგზავრებას დააპირებს, მაგრამ განგება ჩაერევა საქმეში და... სამუშაოდან დაბრუნებული მძახალი მოუსწრებს. მერე და რაო? საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ მძახლის რჩევამ უნებურად გადაწყვიტა სპიდონას ბედი: „გამოცდილი კაცი ხარ, თავად, მიქელა ჩემო, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი! ტყვილა მიატოვე შენი წინანდელი ნამოსახლარი... კარგად იყავით იქ!.. ამ ახალ სამოსახლოზე ბევრი უბედურება გეიარე... შეიძლება სახლის გადატანაზეც რამე მავნებლობა შეგეპარათ და დაბუდებული იყვეს შიგ... შენს ადგილზე სახლს გადავდგამდი...“

სწორედ მძახლის რჩევას დაჰყვა იმედმოცემული მიქელა: სახლის „გაწმენდა“ რომ წამოიწყო, უწინარესად სპიდონა გაასახლა და წნელის კარავში დააბინავა: უფრო სწორად – უპატრონოდ დააგდო. ცხადია, სნეული სპიდონა შემოდგომის მოძალებულ სიცივეს ვერ გაუძლებდა და, წარღვნისებურ წყალდიდობას რომ არ ემსხვერპლა, მაინც მალე მოკვდებოდა.

ახლა მძახლის სახელი გავიხსენოთ – გაბრიელი.

ფაქტობრივად მიქელამ და გაბრიელამ (მიქელ-გაბრიელმა?) გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი სვეგამწარებულ სპიდონას.

გავიხსენოთ ხალხური თქმა „მიქელ-გაბრიელი თავის წაადგა“ – რაც სიკვდილის, აღსრულების, გარდაცვალების სინონიმად იხმარება და ყველაფერი ცხადი გახდება.

ქართული ხალხური წარმოდგენა აქ რამდენადმე ეწინააღმდეგება ბიბლიას, რომელიც ორ მთავარანგელოზს მიქელს (მიქაელს) და გაბრიელს განასხვავებს ერთმანეთისაგან და მათ ფუნქციებსაც გამიჯნავს; მთავარანგელოზი გაბრიელი – ღვთის ნების აღმასრულებელი, მისი მაცნეა; იგი ზაქარიას – იოანე ნათლისმცემლის, ხოლო წმინდა ქალწულ მარიამს – იესო ქრისტეს დაბადებას უწინასწარმეტყველებს. გაბრიელი ერთ-ერთია იმ შვიდ მთავარანგელოზთაგან, რომელნიც ადამიანთა ლოცვებს ღმერთს მიაწვდენენ.

მთავარანგელოზი მიქაელი თავის ანგელოზებთან ერთად ებრძვის ურჩხულსა და მის ბოროტ ანგელოზებს და განდევნის მათ ზეციდან.

დავით კლდიაშვილის გმირების სახელების წყარო უთუოდ ხალხური ტრადიცია უნდა იყოს და არა ბიბლია.

ასევე, შემთხვევითად არ მიმაჩნია „სიბნელე“ – „სინათლის“ დაპირისპირება დავით კლდიაშვილის ზოგ მოთხრობაში.

დიდი მწერლის ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟები „ბნელში არიან“, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ამჟამად მე ვგულისხმობ მოხუცებულ ანუსიას, რომელსაც ერთსა და იმავე დღეს მოუკვდება ახალგაზრდა ქალ-ვაჟი – ალექსი და ელიზია („მრევლში“).

ანუსიას ოჯახში დღისით-მზისით გა-

მეფებული წყვდიადი შეიძლება სიმბოლურად გავიაზროთ.

„ამნაირ სიბნელეში შეიძლება ყოფნა?“ – შესძახებს ავადმყოფ ალექსის საზიარებლად მისული ზოსიმე, ახალგაზრდა, განათლებულ მღვდელს გულს უკლავს ის ბნელეთი, რომლითაც გარემოცულია მისი სამწყსო.

„ეს წყვდიადი, რომელიც ამ სახლში დამყარებულიყო... ამ ცხოვრებას ყოველსავე სინათლეს აკლებდა“. იმავე ღამესაც „მთელი სახლი ბნელში იყო გახვეული...“

საცნაურია, რომ ახალგათხოვილ სონიას გული ატკინა ოტია ქამუშაძის სახლში გამეფებულმა სიბნელემ. ბნელა იმ სოფლის საყდარშიც და ამას საგანგებოდ აღნიშნავს ავტორი („ქამუშაძის გაჭირვება“).

ამ ბნელშიაც დიდი ადამიანური ვნებანი ბობოქრობენ. აქ მაღალი სულის ადამიანებიც გვხვდებიან.

„მწამს და მსურს სხვაც დავაჯერო, რომ მშვენიერება არსებობს საზოგადოების გაუბედურებულ, დამცირებულ და გასაცოდავებულ ფენებშიც, რომელთა შემხედვარე, ვერას იტყვი კაცი, თუ არ საღვთო წერილის უცნაურად და შემზარავად სახეცვლილ სიტყვებს: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და არ იქმნა ნათელი“.

თითქოს ანუსიას ოჯახზე ეთქვას ეს სიტყვები დიდ ინგლისელს ჩარლზ დიკენსს, მწერალს, რომელსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ადარებდნენ დავით კლდიაშვილს.

„შეცდომა“

ბევრ დიდ მწერალს მოსვლია უნებლიე შეცდომა.

მეცნიერებს სკრუპულოზურად აქვთ აღნუსხული კლასიკოსთა ნაირგვარი შეცდომები, რაც მათ ნაწერებში გვხვდება (მაგალითისათვის პუშკინი და დოსტოევსკიც იკმარებს). ქართველ მკვლევარებსაც შეუნიშნავთ მწერალთა უნებლიე ცდომილებანი, რომლებიც ზოგჯერ საკამათოა და საგანგებო მსჯელობის საგანია (მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ზოგიერთ თხზულებაში), ზოგჯერ კი – ეჭვმიუტანელი.

დავით კლდიაშვილის ნაწერებს ამ თვალსაზრისით, ვგონებ, არავინ შეხებია. ვფიქრობ, რომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ერთი ლაფსუსის გაცნობა.

„დარისპანის გასაჭირის“ პოტენციური სასიძო ოსიკო ხარაბაძე, გასათხოვარი ქალიშვილების გაწბილებული პატრონების თქმით – „გლახაკი“ და „მუნჯი ბიჭი“ – მართლაც ერთობ სიტყვაძუნწი პერსონაჟია. „კი, ბატონო“, „არა, ბატონოს“ ამბობს მხოლოდ და, რაც მთავარია, კითხულობს – „აქვთ რამე“ საპატარძლოებსო?

ოსიკოს სახე, დავით კლდიაშვილის მიერ საოცარი ლაკონიზმით შექმნილი, გვაოცებს თავისი სრულყოფილებით. სწორედ ამ გმირს უკავშირდება დავითის უნებლიე შეცდომა. პიესის დასაწყისში დედამისი ერთი სახელით მოიხსენიება, სხვა შემთხვევაში კი მეორეთი – „ედუკია“ – „ივლიტა“...

მართას სიტყვებია: „ამ საღამოს მესტუმრება ონისიმე მათარაძის ბიძაშვილის ედუკიას – ხარაბაძეს რომ ჰყავს, – შვილი“ („გამოსვლა პირველი“). იგივე მართა, ოსიკოს გაცნობისთანავე დედამისს გაიხსენებს: „რა ბედნიერი ქალია ჩემი ივლიტა, ხომ კარგადაა შენ გენაცვალე?“ („გამოსვლა მეშვიდე“); შემდეგ, როცა უკვე მაშვლობას შეუდგება, ოსიკოს არწმუნებს: „დედაშვილობამ, ჩემი ივლიტეს სიყვარულობა მალაპარაკებსო“ („გამოსვლა მეცამეტე“).

ამ სახის შეცდომა – ნაკლებ მნიშვნელოვანი პერსონაჟების სახელის დავიწყება – ძალზე გავრცელებულია. როგორც წესი, გამომცემელნი შემდგომში უცვლელად ტოვებენ კლასიკოსთა ცდომილებებს, მხოლოდ აკადემიურ გამოცემათა კომენტარებში მიუთითებენ ამის თაობაზე.

საშინაო – საგარეო

დავით კლდიაშვილის გმირებს მკვეთრად აქვთ გამიჯნული ორი ცნება – „სა-

შინაო“ და „საგარეო“.

უპირველესად, ისევე როგორც ყველას, მათაც აქვს საშინაო და საგარეო ტანსაცმელი. დავით კლდიაშვილი, რომელიც არასდროს არ ქმნის პერსონაჟის ტრადიციულ პორტრეტს – მისი სახისა თუ აღნაგობის გამოწვლილვით მხედველობით ხატს და მხოლოდ ორიოდე დამახასიათებელი შტრიხით გამოკვეთს მათ გარეგნობას – დიდ ყურადღებას აქცევს გმირთა ჩაცმულობას.

ცხადია, ეს უმიზნოდ არ ხდება. კონტრასტი აზნაურ ოტია ქამუშაძის საშინაო და საგარეო სამოსს შორის მიგვანიშნებს მის სიღარიბეზეც და მომჭირნეობაზეც („ქამუშაძის გაჭირვება“). პირველი გამოჩენისთანავე ოტია, თავზე ხელსახოცწაკრული, ფეხშიშველა მუშაობს თავის ეზოში, როცა ღობეზე მოადგება „ევროპულად ჩაცმული ცხენოსანი“. იგი დიდ უხერხულობას იგრძნობს: თავიდან უმალ მოიგლეჯს ჩითის ნაგლეჯს, ფეხებს ქუსლებჩათელილ წაღებში გაუყრის და ახალუხსაც წამოიცვამს სასწრაფოდ.

ოტიას ქალაქელ ცოლს თავმოყვარეობა ელახება ზამთრის სიცივეში „გაწუწული, ტალახში ამოთითხნილი, ქუდის მაგივრად ძველი ყაბალახით ყურებიანად თავშეხვეული“ ქმრის დანახვაზე. ასევეა გაზაფხულზეც, როცა ოტია ყანას ხნავს პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა, წვივებტიტველი.

„გლეხი, ყაზახი სახით, გარეგნობით, შეხედულებით, საქციელით, მოქმედებით და შეძლებით“ – ასეთია სონიას თვალით დანახული ქმარი.

სულ სხვაგვარია საცოლის სანახავად საგარეოდ გამოწყობილი ოტია – ყავისფერ ჩოხაში, სატინის წითელწინწკლებიანი ახალუხით; ან, ახალშერთულ ცოლთან ერთად წირვაზე მიმავალი – თეთრ ჩოხაში, სატინის ახალუხით, ახალი წუღამესტებითა და დაბალი კვარაჭინა ქუდით შემოსილს „რიგიანი შეხედულება“ აქვს...

დავით კლდიაშვილის გმირები საგარეო სამოსს დიდად უფრთხილდებიან. – ქალაქში, სახლში დაბრუნებული სონია საჩქაროდ გამოიცვლის კაბას. ქმრის სახლშიც, წირვიდან ახლადდაბრუნებულს, დედამთილი ეუბნება – „გირჩევნია მაგ კაბა გაიხადო, დროზე სადილი ვჭამოთო“.

ლამაზ ნინო ქველიძეს, ორი არშინი ნაჭრის დაკლების გამო მოდური კაბა ვერ შეუკერავს.

ყველა ეს დეტალი, პირდაპირ თუ გადაკრულად, პერსონაჟთა უსახსრობას მიგვანიშნებს; ზოგჯერ კი დავით კლდიაშვილი ზედმიწევნითი სიზუსტით გვიხატავს ღარიბ-ღატაკი კაცის ჩაცმულობას.

„აზნაურ ლევან ქამუშაძეს ახალუხზე ყვითელი თასმის ქამარი ერტყა და ზემოდან გაშლილი, რამდენიმე ადგილას დაკერებული ჩოხა ეცვა; ახალუხის შეხსნილ საყელოსთან უჩანდა ჭუჭყისაგან ძალზე გაშავებული პერანგი“.

ქამუშაძეების სიდუხჭირის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ ოჯახში სკამებიც კი არა აქვთ საკმარისი. სკამიც „საგარეო“ ნივთადაა ქცეული: ოტია აივანზე ასულ სტუმარს – პორფირი ბიაშვილს სკამს გამოუტანს, დიასახლისი ეკვირინე კი იქვე მოიკეცავს ბოძთან იატაკზე...

იმის მიხედვით, თუ როგორ იკვებებიან დავით კლდიაშვილის გმირები, შეიძლება მათი სიმდიდრისა თუ სიღარიბის დადგენა. დიდი მწერლის მიერ თითქმის ყოველ თხზულებაში აღწერილია იმერელი კაცის ყოველდღიური „მენიუ“: შინაურობაში – ლობიო, მჭადი, ზოგჯერ – ცარიელა ცივი მჭადი და ხმელა პურიც კი, სტუმრისათვის – წიწილა, ყველი, იშვიათად – გოჭი, ცხვარი, ინდაური და კარგი ღვინო...

ისე, ოტია ქამუშაძის ჩვეულებრივი „საშინაო“ საჭმელია – მჭადი, ლობიო (ხშირად უმწვანილო), წყალ-მაჭარა... „საგარეო“ (პორფირი ბიაშვილის გამასპინძლებისას) – შემწვარი წიწილა, დათლილი ყველი, მწვანილი და ცხელი მჭადები. ქორწილი და ნათლობა ხომ განსაკუთრებულ, დიდ ხარჯს მოითხოვს და წელში წყვეტს ღარიბ ოჯახს.

ბრეგაძეების ღატაკი ოჯახიც კი, სა-

დაც სამწყემსურიდან დაბრუნებულ, მოშიებულ პატარა ბიჭს ძლივს აღირსებენ ცივი მჭადის ნატეხს, წიწილას კლავს არასასურველი, მოულოდნელი სტუმრების არისტო ქვაშავიძისა და პლატონ სამანიშვილის გასამასპინძლებლად („სამანიშვილის დედინაცვალი“).

დავით კლდიაშვილმა ცოლ-ქმრისა და მაზლის ძუნწი დიალოგით გადმოსცა იმერული სტუმარმასპინძლობის დაუწერელი კანონი:

„– ვახშამი გვჭირია აგერ...

– რაც მაქვს ის ჭამონ, იმასაც კარგად გიახლებიან!.. არა, მაგათ სიცოცხლემ, ძროხას დავუკლავ ახლავე!

– ჰო, ხმელა ჭადი და ლობიო მოუტანეთ!.. იმ უცხო კაცის მაინც უნდა მოირიდოთ, თქვე დალოცვილებო. წადი, ბატონო – მიუბრუნდა სერაპიონს ნუჩია – წადი... ყმაწვილო, და ერთი ქათამი, რავარცხა იქნას, მონახე და დამიჭირე... არ შეიძლება ასე!..

– სად მოვნახო ახლა ამ ჩამობნელებულში... საცხა ორიოდე წიწილია...“

ასეა: ორიოდე წიწილა ჰყავთ და სტუმრისათვის ერთს დაკლავენ, ღვინო არ აქვთ და ერთი დოქი ღვინისათვის მეზობელ მალაქიასთან აფრენენ ბიჭს...

დავით კლდიაშვილს, „წვრილმანების“ დიდ მოყვარულს, არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ ქალაქში და სოფლის „გამოსულ“ ოჯახებში მურაბიან ჩაის მიართმევენ სტუმრებს ნავახშმევს ან ნასადილევს; სოფლისაგან განსხვავებით, ქალაქში სუფსაც შეექცევიან („სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „დარისპანის გასაჭირი“).

თითქოს ორგვარია დიდი მწერლის პერსონაჟების მეტყველებაც – საშინაო და საგარეო. საზოგადოდ, თუ განსაკუთრებულ აფექტში არ იმყოფებიან დავით კლდიაშვილის გმირები, არ იწყევლებიან, არ ჩხუბობენ, არ ილანძღებიან – ასე თუ ისე ზრდილად მეტყველებენ, ე. ი. ზედმიწევნით „აკონტროლებენ“ თავიანთ სიტყვა-პასუხს.

პატიოსან მოხუცებულ პლატონს, რომელიც მორიდებულად სთხოვს ვალის გასტუმრებას სოლომან მორბელაძეს, ეს უკანასკნელი თავგადაკლული ეპატიჟება ვახშამზე, მაშინ, როცა სახლში საჭმელი არ ეგულება... პლატონის წასვლისთანავე იგი აუგად მოიხსენიებს სტუმარს – „არ მომკლა უხეირომ თავისი გაუთავებელი ხვეწნით! სული ამომართვა კინაღამ ოჯახდაქცეულმა!“ („სოლომან მორბელაძე“).

ასეა სხვაგანაც: დავითის პერსონაჟთა უმრავლესობა პირში „საგარეო“ ენით მიმართავს მოსაუბრეს, ზურგს უკან – „საშინაოთი“ მოიხსენიებს.

განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამოიკვეთება „საგარეო“ მეტყველება, როცა გმირები ერთმანეთს ელაპარაკებიან უცხოების თანდასწრებით.

ოტია ქამუშაძე პორფირის გასაგონად განსაკუთრებული თავაზით მიმართავს დედამისს: „დედა, შემობრძანდიო“, ხოლო სამზადში შესულს, უმალ შინაურულად მიახლის – „უჩქარე, დედა... დიდხანს აღარც კი მოიცდისო!“ („ქამუშაძის გაჭირვება“).

დათია ბრეგაძის ცოლი ნუჩია, უცხო სტუმრების თანდასწრებით, მოწიწებით მოიხსენიებს ქმრის დედინაცვალს ელენეს: „ბატონი ძალიან გემდუროდათ, რომ არ ნახულობთო“ („სამანიშვილის დედინაცვალი“), თუმცა „ბატონს“ მათგან გაძაღლებული აქვს ცხოვრება, ამ ოჯახში „ცეცხლსა და გეენიაშია“.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ერთადერთი საფანელი აქვს – უცხოსთან საკუთარი ღირსების წარმოჩენა, ზოგჯერ – თვალში ნაცრის შეყრა...

P. S. ყოველივე ზემოთქმული ნაწილია იმისა, რასაც ამჩნევს მხოლოდ დიდოსტატის მახვილი თვალით.

ქეთევან ნათელაძე

გაყრა

ცხოვრება ერთი საოცარი ყოფილა დრამა,
და შენ რომ იგი გააშარჟო, რა უნდა მოხდეს...
მე გავეყრები შენზე ფიქრის ყოველგვარ სამანს,
და გავეყრები შენი წასვლით გაჩენილ ბოდვებს.
მე გავეყრები შემოდგომის თაფლისფერ თითებს,
და ყოველივეს, უანგაროდ რაც მომცა ბედმა,
მე გავეყრები თავს დატეხილ სტროფებს და რითმებს,
პურის მარცვლებად გადავუყრი ბელურებს სევდას.
მე გავეყრები ერთ ყველაზე მტკივნეულ „არას“,
მირაჟად ქცეულ ჩემს ბავშვობას და ჩემს სიბერეს,
მე გავეყრები ბიჭს, რომელმაც ვერ შემიყვარა,
და გავეყრები ქმარს, რომელიც ვერ შემიფერებს.
...დარდიან მხრებზე ჩამოწვება ბურუსი-მაცნე,
მაცნე იმის, რომ დღეს ფუჭია ჩემი ლოცვები,
მე გავეყრები ღმერთს, რომელიც ჯვარზე არ აცვეს,
გამიკვირდება, შევიცხადებ და გავოცდები.
მე გავეყრები მეგობრების ათასფერ ღალატს,
ზღაპრად გაგონილ სასწაულებს გრძნეულ მისნების,
მე გავეყრები ამ სამყაროს, ასობით ქალაქს,
და ვარსკვლავეთში შორ პლანეტებს მივეთვისები.
შენც გაგეყრები, გაგეყრები, ხომ იცი ბოლოს,
ჩემს ნაფეხურებს აეკვრება გამთბარი ბინდი,
მე გავეყრები ყოფითობის ტკივილებს მხოლოდ,
მაშასადამე გავეყრები გრძნობებთან ჭიდილს.
და როცა სხეულს გავეყრები მსუბუქი შვებით,
როცა დაკარგავს თავის ძალას ყველა მისნობა,
ჩემში შემოვა სიამაყით გაშლილი მხრებით,
ჩემგან მარადჟამს გაუყრელი მარადისობა!

ველური მსხლის ხე

როგორც მცენარეს დღეებმა სევდის
ყინულზე ცივი წვიმები მისხეს,
ზაფხული იდგა, სოფლიდან გწერდი,
და სოფლის ბოლოს ველური მსხლის ხე

ყველაზე წმინდა რამ იყო სოფლად.
გული კი მხოლოდ წვიმებზე მწყდება,
ვის სჭირდებოდა ამგვარი ყოფა,
ჩანასახშივე ქცეული წყლებად.

როგორც ჯარისკაცს სავსე აქვს გული,
ომში უდროოდ სიკვდილის ვნებით,
ჩვენ სიყვარულის წავედით ომში,
ჩვენც აგვიყოლა სიკვდილის ვნებამ.

გული კი მხოლოდ წვიმებზე მწყდება,
ცა რომ ბროლივით მემსხვრევა თავზე,
შენი კოცნებით დაფარულ ტანზე,
სხვა დროებითი კოცონი ჩნდება.

სხვა დროებითი ავდრები მკლავენ,
უსახოდ მდგარნი გაღებულ კართან,
შენი კოცნებით დაფარულ მკლავებს,
ვაგებებ სახლში შემოსულ ზამთარს.

ირჩევს გონება გარდასულ ნახატს,
და თავს სევდიან ფიქრისგან იზღვევს,
როგორ წაბილწეს ღორებმა მსხლის ხე,
ტალახიანი, ბინძური დინგით.

და შემზარავი სიჩუმე ირგვლივ,
ყველაზე დახშულ სმენასაც სწვდება,
ვინ დაიჯერებს სულელის მეტი,
რომ გული მხოლოდ წვიმებზე მწყდება...
ვინ დაიჯერებს, სულელის მეტი...

●

ვიდრე ნაპირზე თევზებივით გამომრიყავდა,
მე მას შორეულ ვარსკვლავებზე ფიქრით ვავსებდი,
იქნებ ეს წამი უკვე იყო, უკვე მიყვარდა,
იქნებ ამ წყალში დიდი ხნის წინ უკვე დავსველდი.

და ამიტომაც აღარ მაკრთობს მისი სიცივე,
აღარ მიზიდავს ღრუბლებივით, მასზე ოცნება,

იქნებ ამ ფიქრით და ამ სევდით უკვე ვიცხოვრე,
იქნებ ფანჯრებში უკვე ჩანდა ეს ფოთოლცვენა,

დარიჩინისფრად შეღებილი და მომაკვდავი.
იქნებ ამიტომ ვეღარ ვხედავ მასთან მსგავსებას,
რომ ერთხელ უკვე დავემგვანე მის მკვდარ სიყვითლეს,
და მერე დიდხანს ყველა ცხადზე ცხადად მახსოვდა...

ხომ დგება წუთი, არაფერი რომ არ გაკვირვებს,
დღეები უშნოდ მიკერებულს რომ ჰგავს საყელოს,
იქნებ მე უკვე სიყვარულზე მითხრეს ყოველი
და აღარაფერს შეუძლია, რომ ამაღელვოს.

ჩაივლის ეს დროც, საკუთარ თავს ვეტყვი – არ ღირდა,
რეკდა უთქმელი სინანულის ხან ხმა, ხან ზარი...
იქნებ ეს ცეცხლი ერთხელ უკვე ისე გაღვივდა,
რომ ახლა უკვე ვეღარ ჩნდება მისგან ხანძარი!

და ახლა ერთ დროს გადახდენილ დღეთა „დეჟავუ“,
თავის თავს გამხმარ ნოემბერში ცოცხლად იმარხავს,
რომ ის, რაც ხდება, დიდი ხნის წინ უკვე მომხდარა,
და რასაც ვხედავ, დიდი ხნის წინ უკვე მინახავს...

●

მარტო შევდივარ მდინარეში, აღარ გაკავებ,
ამომეწურა გადარჩენის ყველა ვერსია,
დააადგებოდეს ვიდრე ვინმე ჩვენს ცხელ ნაკვალევს
და ვიდრე ყნოსვით მოგვაგნებდნენ, ვიდრე გვესვრიან..
უნდა გახსოვდეს, არ გაჩერდე, არ მოიხედო,
ჩემს სიბნელეში მეტი შუქი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში მეტი თოვლი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში, შესაძლოა, მეც არ ვიქნები.
შემორჩა ბილიკს მოწამლული კვალი ისრების,
რაც არ ყოფილა, უკვე გაჩნდა ყველა ის ბზარი,
რაც სიყვარულით აღარასდროს ამოივსება,
უკვე ყველა ხემ იშრიალა ჩვენი სიზმარი.
უკვე ყველა დღე ჩვენი ყოფნის მწუხრით დაღამდა,
ყველა ღრუბელმა ჩამოუშვა ფრთები მიწამდე,
ეს არის რასაც ვაცოცხლებდი, რასაც ვმარხავდი,
ჩემს სიბნელეში არ იქნება მეტი სიცხადე.
და შენ ერთ დღესაც დაიჯერებ, ჩათვლი, ყალბია,
აქ რაც იხილე – ეს ხეები, ეს ტყის სულები,
სხვადასხვა მხარეს გავიქცევით, როგორც გარბიან,
შეყვარებული მაქციები და ურჩხულები.
ვეძებ მკვდარ სიტყვებს, რას იტყვიან მკვდარი სიტყვები,
გონების თვალით დანახული ღამის ჩრდილები,

რომ სიყვარული ბოროტებით არ დაიღალა,
ეს საშინელი სიყვარული, ეს საშინელი.
რომ ილუზიას დაემგვანა მისი მიგნება,
ან შეიძლება ჩვენ დავკარგეთ ნიჭი მიგნების;
ჩემს სიბნელეში მეტი შუქი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში მეტი ცეცხლი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში მეც სიბნელედ გარდავიქმნები.

ნანგრევები

არ გიფიქრია? ნანგრევების იდუმალ ხიბლზე...
რა ნამდვილია მათი ყოფა, როგორი მტკიცე,
რამდენი უნდა აიტანო, რამდენი შეძლო,
რამდენი უნდა იტვირთო, რომ ნანგრევად იქცე...
დადგება დღე და ძველებურად ვერაფერს იგრძნობ,
უყურებ ცას და თვალს უკუნეთ სიბნელეს აჩვევ,
რამდენჯერ უნდა გატკინონ, რომ დაიწყო დაშლა,
რამდენად უნდა გიყვარდეს, რომ ნანგრევი დარჩე.
და აღარასდროს არ აშენდე, არასდროს აღარ,
რადგან იცოდე ნგრევის ფასი და არა მხოლოდ...
იდგე საკუთარ ნანგრევების დიდებულ ჩრდილში,
და იმ ჩრდილშივე მზის შუქივით კვდებოდე ბოლოს.
ვიდრე წაგვლეკავს მარადმყოფი დინება ჟამის,
ვიდრე დაგვკარგავს საკუთარი სიმცირის კვალი,
სულ ერთი წამით, მხოლოდ ერთი წუთით თუ წამით,
რა ლამაზია ნანგრევები – შეავლე თვალი.

ვიდრე ეს ქარი...

ღიაა მისთვის ჩარაზული აქამდე კარი,
აღარ ისურვებ, მისგან თავის დაღწევა შეძლო,
ის მუდამ ქროდა – შენი ქარი, სხვაგვარი ქარი,
ისე ძლიერად, მისი ქროლვა რომ სხვებსაც ეგრძნოთ.
და ამის შემდეგ წასულიყვნენ ქარივით სულაც,
რომ გაჰქცეოდნენ შენს სიყვარულს, შენდამი სურვილს,
რადგანაც ამ ქარს შემოჰქონდა ხიფათის სუნი,
რადგანაც ამ ქარს შემოჰქონდა სიკვდილის სუნი...
ხოლო ერთ დღესაც, სხვა ცხელი მზე ადუღდა თავში,
რაღაც დიდი და უწონადო მოვიდა განცდა,
რომ შენ სიკვდილთან მეტად გრძნობდი ინტიმურ კავშირს,
მთელი ზაფხული რომ გიყვარდა, ვიდრე იმ კაცთან.
და შენი ქარი შენს უსიზმრო ღამეებს ჰგავდა,
ქროდა ხეებში უხსოვარი და როგორც ზარებს
რეკავდა ღრუბლებს და ფერადი ჩიტების გარდა,

მან მოიტანა მარტოობა – მზის ბნელი მხარე.
ქრის შენი ქარი, სხვა ქართათვის უცნობი რისხვით,
თან დაატარებს უკუნისფერ სიკვდილის აჩრდილს
(სააბაზანო არ გაივსო არცერთხელ სისხლით,)
მხოლოდ თვალებში სევდის თეთრი ლაქები გაჩნდა.
მხოლოდ ნისლები ჩამოადნა ჰორიზონტს მხრებზე,
ამოიჩემე სიყვარული, ფილმივით უხმო,
ცა მიატოვეს ღმერთებმა და ქრის შენი ქარი,
ორპირი ქარი ტყეებიდან ურჩხულებს უხმობს!
უსმინე, ეს ხმა საშიშია, საფლავებს ბზარავს,
ძნელია მიხვდე, იქ სიცოცხლის მარცვალი თუ ჩანს,
ვიდრე ეს ქარი, შენი ქარი, შეცვლილი ქარი,
სამარადისო ფოთოლცვენას წააყრის ქუჩას.

●

არავინ ცხოვრობს. ამ სახლების კედლებიც ძველი
დაბზარა ელვამ და სამყარო ნელ ცეცხლზე ცხვება,
სოფლის ტაძარში აღარ დადის მოხუცი მღვდელი,
იქ შორიახლოს მობალახე შედიან ცხვრები.
ჩათესე შენი სიყვარული ჩემში, რომ იმ წამს
მოვიდეს წვიმა, დიდი წვიმა, სიცოცხლის წვიმა,
რომ ბალახები სიტყვებივით წამოსცდეს მიწას,
და მზის ნაყოფი გამოებას ლიმონის ხეებს.
ტკივილის წყლებმა სიყვარულის წაგვართვა ჩვევა,
გამოვიტანე ტკივილიდან სიმლაშე ზღვების,
შენს თვალებში კი გადარჩენის იმედი მრჩება,
ახლა სიკვდილის ფრინველები მინდვრებში ფრენენ.
ჩათესე შენი სიყვარული. დრო იყო, როცა
ნამდვილ სიცოცხლის მესვეურთა აქ იდგა რიგი,
და მერე გაქრნენ იქით, სადაც სულს მარხავს ხორცი,
დასასრულია, არაფერი არ ხდება იქით.
სევდით ჰაერი ცოტავდება, არ იძვრის ქარი,
სათქმელს კი, როგორც პურის ნატეხს, ედება ობი...
ჩათესე შენი სიყვარული, რომ ვიყო ქალი,
რომ სასწაული მოვავლინო და ღმერთი ვშობო.

ჩვენ დავწვით სახლი

შემოდგომას რომ არ დაეშვა ყვითელი ფრთები,
არ შესჩვეოდა ყინვა, როგორც ერთგული ძაღლი,
რომ ვერცერთ გამვლელს ვერ ეპოვნა მის შიგნით შვება,
ჩვენ ჩავიდინეთ ბოროტება და დავწვით სახლი.
ჩამოდიოდა შავ ნამსხვრევად გრძნობები მინის,
და ყაყანებდნენ ბაყაყები გუბურის ახლოს,
იწვოდა სახლი. შეპყრობილნი სადისტურ ჟინით

ვურბენდით ირგვლივ და ვყვიროდით – „დაიწვი, სახლო!“
დაიწვი, სახლო! შენ არასდროს დარჩები უბრად,
არც მარტოობის ხავსიანი მოწყენა გელის,
არაფერია მიტოვებულ სახლებზე უფრო,
უიმედო და შემზარავად არაფრის მთქმელი.
იქ დარჩა მაწვნის თეთრი ქილა, ყვავილი ბალბის,
და ტელეშოუ, იატაკზე ხეების ლანდი,
სიზმრის მდინარე – სარეცელი, კანაფის ბოლი,
და სიყვარულის ნარჩენები, რომელსაც ვწვავდით.
როგორც დავწვავდით დაძველებულ კომბოსტოს ფოთლებს,
აღწევდა ალი ღრუბლებამდე და უფრო მაღლა,
რომ დაბრუნების შევეცდინეთ არასდროს სურვილს,
და არასოდეს დაგვხვედროდა გამოცვლილ სახლად
(ჩვენ დავწვით სახლი... შევიშალეთ ამგვარად როდის?)
ძირს ეშვებოდა ბუდეები სხვენიდან მერცხლის,
ჭერსა და სკამებს, ღია ფანჯრებს, თუკი რამ გვქონდა,
გაუმაძღარი აღტკინებით ღეჭავდა ცეცხლი.
იწვოდა დიდხანს, იშვიათი, ისე ვით განძი
და ბოლოს გამქრალ მირაჟივით ჩამოწვა დაღმა,
რა დიდი იყო, რა მაღალი და თან რა გამძლე,
ცეცხლმოდებულმა დაგვანახა ბოლოსღა სახლმა.
რომ შემოდგომას არ დაეშვა ყვითელი ფრთები,
არ შესჩვეოდა ყინვა, როგორც ერთგული ძაღლი,
რომ სხვას ვერავის ვერ ეპოვნა მის შიგნით შვება,
ჩვენ დავწვით სახლი;
ჩვენ დავწვით სახლი.

ლევან გორვანელი

შენ და გაზაფხული

ე.ჯ.

ფიქრებმა მითხრეს, რომ შენა ხარ ქალღმერთი წვიმების.
ხნულებში ამოზრდილ ციმციმა ვარსკვლავებს დავეძებ
და როცა არსებულ უდაბნოს ცხელებით ვიწვები,
მოდიხარ ნიაღვრად, არ მაძლევ უფლებას, დავეცე.

ცა შენი სახლია, მე მიწის შვილი ვარ ნამდვილი.
ჩვენ მუდამ შევხვდებით მთის მაღლა, მერმისის განედზე.
ხომ ხედავ, ხომ იცი, ერთურთში ვიპოვეთ ადგილი,!
მე ისევ დაგიცდი. გრძნობების გამხელა გაბედე!

როს თვალებს დავხუჭავ, შენ თვალებს გაახელ, შემრისხავ.
მიდიან დღეები, სევდათა მარწუხებს ვეთმობი.
მზის გულზე ამოზრდილ ღრუბელთა ჩრდილებსაც ვერ ვიტან.
სიცოცხლით ნამზირალ სიკვდილსაც სრულებით ვენდობი.

შენ ჩემი მუზა ხარ! ვნებათა სიშმაგე მაგიჟებს.
ფერსავსე ბუნება სხეულთა შეხვედრას მოელის.
თანდათან მოვიწევ, არეულს მოვყვები ნაბიჯებს.
ყოველი დღის შემდეგ იმედი მახარებს მომავლის.

მინდა, რომ შეგიგრძნო, წარუშლელ სახებად გხედავდე.
ისეთი ქალი ხარ, კაცთა გულს გრძნობები ატყვევებს.
ღვივდება ნაყოფი; გაზაფხულს მოჰყევი ჩემამდე!
სურნელი შენი სდით ავარდნილ ალუბლებს და ტყემლებს.

ჰორიზონტი სინათლეში

ა.გ.

მუსიკისათვის ჟღერადობა ერთი ნოტია,
პირველსაწყისი, სუბსტანცია, დავარქვათ – ვნება.
შენი თვალები უსასრულო ჰორიზონტია,
რომლის გარეშეც ეს სამყარო ალბათ გაქრება.
შენი არსება სამყაროსთვის მოწვეულია
ღვთაების მიერ, რომლის ძალაც ბუნებას კვებავს.
შენი ტუჩები ის მგზნებარე ბროწეულია,
რომლის სათუთი მთლიანობაც ბზარებად სკდება.
მზის სხივებს მაღლა შენ ანათებ, ჩემო ძვირფასო,
შენი ღიმილი ღმერთსა და ღრუბლებს შორის დგას...
ერთხელ შეგრძნება ამ ღიმილის სიცოცხლედ ფასობს...
მარიამი რომ იღიმოდა ქრისტეს შობისას.
ხარ საოცარი! როგორ ახსნას უნდა ვეცადო,
როცა ვერ აგხსნი, მშვენიერო, ღმერთი-პოეტიც...
არ დაქორწინდე შენს საქმროზე, არ გამეცალო,
თორემ გაქრება სიყვარულიც და ეს მომენტიც.

ამანდა

წამებასავით გადაიქეც ჩემთვის, მილედი,
ვნებააშლილი შეხვედრები წარსულს ჩაბარდა.
წახვედი ჩემგან, აღარა მაქვს ღმერთის იმედი...
ქმარი შეირთე და დამტოვე, ჩემო ამანდა.
იცი, ძვირფასო, მე კვლავ ვნატრობ შენს ლამაზ თვალებს,
მიდიხარ შენთვის, უკაცრიელ ალუბლებიან
ხეივანში და გზას გინათებს მდუმარე მთვარე...
მე დაგინახავ და ფიქრებიც ადუღდებიან.
მაგრამ ეს როდის?.. ალბათ, როცა ტყვიას დავიხლი
და ჩემი სული უგზო-უკვლოდ დაიწყებს ძრწოლას.
შენ რომ, ლამაზო, იმ თოვლისფერ კაბას გაიხდი,
ჩემი სული კი ვერ დაგიშლის ქმართან დაწოლას.
რომ ვთქვათ, იქნება ეს უგულო შენგან ღალატი?
ვფიქრობ და ჩემს თავს გამოვუტან მარტივ განაჩენს:
ჩემი ბრალია, ჩემო კარგო, ვერ დაგაფასე,
ერთადერთი ხარ, ეს ცხოვრებაც მეტყვის დანარჩენს...
მეტყვის, რომ თურმე მოღალატე მე ვარ პირველი,
შენ კი ღალატით გამოწვეულ დამწუხრებიდან,
ქალი, სულ მარტო, ჩავარდნილი დიდ განსაცდელში,
შენი ქმარი კი გამომყვანი მარწუხებიდან.
მეტყვის, რომ შენი სიყვარული შენს ქმარს ეკუთვნის,
მე კი ხეტიალს მომასწავებს ისევ თავიდან;
კვლავაც დამტანჯავს შენი ცქერის ახლო სიშორით

და გადამაქცევს შენს მეხოტბედ, დროთა ნაწილად.
იმ დროთა, რომლის დროულობა ზოგჯერ ფანდია,
მარადისობას უერთდება მათი ჟამთასვლა.
ჩემკენ მოდიხარ, ალისფერი კაბა გაცვია,
მე გეგებები, გულში გიკრავ და დროც გადასცდა
ყოველგვარ წყენას, გაბრაზებას, წუხილს, ვაი-ვიშს...
მე შენთა თვალთა ჰორიზონტი მზერას მიზომავს;
მშვიდი სამყარო ეგზოტიკურ ფარჩას გაგვიშლის...
მე და შენ, მხოლოდ, ვუერთდებით მარადისობას!

ტალღები

შ.დ.

ღიმილმორეულს როცა გიყურებ, გრძნობები ჩემში იბადებიან.
გინდა გამექცე, განმერიდო.
წარსულ განწყობებს ვეღარ ვითვისებთ, არ ბრუნდებიან;
მინდა დარჩე და განმეორდე.

შენ გამოგყვები, ვენდობი ქარებს ვნებების ამშლელს.
როგორც მთვარე, ვირეკლავ სხივებს.
ვიდრე ბუნების ენერგია ჩემს ყოფნას წაშლის,
მიმიღე შენში, იყავი სხვისიც!

ოკეანე ხარ ბობოქარი, ტალღებით სავსე – სიცოცხლისათვის...
კუნძულებს იტევ, თანაზიაროობ.
მე შენში ვიწყებ დასახლებას, პოვნას სიცხადის;
ბუნების ტალღებს ვეაზროვნები.

მსურს, მიწიერი ჩემი სახე შთაინთქას მასში,
იმ ოკეანის ტალღებს მივცე მიწის სურნელი
ან ოკეანის მღელვარება დაცხრეს ჩემს არსში...
შექმნილ ხმელეთზე მღელვარების იყოს სურვილი.

ყამარი

შ.დ.

შენ მზეთა სხივებს შეესიტყვე, გრძნობებს აჰყევი,
არ შეიფერე მცხუნვარება იმ ცეცხლთა შინა,
რადგანაც ქარებს მიაკუთვნე თავი ამ ქვეყნად..,
მაგრამ არსებულ ქარიშხალებს ვერაფერს შველი.

შენ ცეცხლად გახვედ, გაგიტაცეს ყოფნის საწყისად,
სხივები შენი განეფინა სულიერთ მოდგმას.
მთის წიაღიდან, გარიყული მიიღე მწყემსი;

მადლიერებით შემოგხარის,სხეულით მდგომი.

ბუნების ხელქმნით დაიმორცხვე, სხივს განერიდე,
თან შეიგრძენი მიწიერი სურნელი ვარდთა.
ბორკილდებული სილუეტი შენთან მოვიდა
და გითხრა: „წადი!.. დაივიწყე სინაზე მკვდართა“!

შენ კი ადამის მოდგმის ვნებებს სულ ვერ ითვისებ,
სულ არ ეცემი, სულ არ გტკივა, სულ არ განიცდი
და უმნიშვნელო ნიავშიაც კარგავ თილისმებს,
რომელ წვრილმანთა ყოფიერი ფასიც არ იცი!

თვალს გაახელ და გარდასახვის დაკარგავ უნარს,
ეს თვალხილული სინამდვილე გექცევა ჩვევად.
იტყვი ქალღმერთად დაბრუნებას – მიიღებ უარს
და არსებული რეალობა უცვლელი რჩება.

გიორგი სოსიაშვილი

დათა

მიწას შეახო ხელი და ჟრუანტელმა დაუარა გაძვალტყავებულ სხეულში. დედა რო თავზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე რვა ათეული წლის წინ, ისეთი ნეტარება იგრძნო. თითქო ამ შეგრძნებამ ბავშვობაში დააბრუნა. შემთბარიყო მიწა, გაზაფხული შემოპარულიყო და ხსენჩამდგარი ჯიქანივით იყო გაჭექილი ნაზამთრალი მიწა. ხმელი ბალახი მოფხორტნა ჯონჯოლის ძირში, სველი, ტინტყლი მიწა ცხვირთან მიიტანა, დაყნოსა და ცრემლები წამოუვიდა. სიბნელე იყო, აქა-იქ უღიმღამოდ ბჟუტავდნენ ვარსკვლავები. გალეული ბებერი მთვარე, რომელსაც, დათასავით, საამქვეყნოდ ორიოდე ამომთქნარებაღა დარჩენოდა, კენჭიან გორაკზე მთავარანგელოზის მიტოვებული ტაძრის ეზოში დაგორებულიყო.

– დათა! – ხმა მოესმა.

ჯონჯოლის ქვეშ გაიყურსა.

– დათა! – სონას ხმა იყო, სხვა ვინ იქნებოდა.

წამოდგა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, იტყოდი, ვიღაც უთვალთვალებდა.

– რა იქენი, კაცო!

– მოვალ ეხლავე! – ცოლს გასძახა, პაპიროსს მოუკიდა და ამირეჯიბების ნავენახარის მაღლა, ვეება ლამპიონებით გაჩახჩახებულ რუსების ბაზას გახედა. ისე ახლოს მოჩანდა, იტყოდი, ათიოდე ნაბიჯს გადადგამდი თუ არა, იქ აღმოჩნდებოდი. ის კი არა, ფშანებიდან წამოსულ გაზაფხულის პირველ ამონასუნთქ ნიავს რუსი ჯარისკაცების საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოჰქონდა. ბერიკაცი ისე იღრიჯებოდა, თითქო ვიღაცა გამეტებით მათრახს ურტყამდა შიშველ, დამჭკნარ სხეულზე. სეტყვასავით აყრიდა ფშანებიდან წამოსული თელხი მოყაყანე რუსების გაბნეულ ბგერებს.

– მოდიხარ, კაცო? – ისევ გამოსძახა სონამ.

– მოვდივარ-მეთქი, ხო გითხარი.

დათა სახლს შეაცქერდა. ცალთვალა დევივით მოჩანდა სიბნელეში მისი ორსართულიანი საცხოვრებელი, მხოლოდ ერთი სარკმლიდან, დათას და სონას ოთახის სარკმლიდან იღვრებოდა შუქი, იტყოდი, რო დაბერებულ, უმწეო მთვარეს ეშველებოდა ამ ჩაყრუებული არემარის განათებაში.

– სულ რო გვითვალთვალებენ ეგენი, ხო იცი, – თითქო რაღაც დანაშაულზე წაასწრო ქმარს, სონა ისეთი თვალებით უყურებდა, თან ჩაბნელებული ეზო მოათვალმზერა.

ბებერი მსხლის ძირში ძაღლის ცარიელი ბუნაგი ისე მოეჩვენა, გეგონებოდა, ვიღაც იჯდა ჩაკუზული და ბებრების საცხოვრებელს მისჩერებოდა. ორი კვირის წინ დამარხეს სახლის უკან დათას ბიჭის მოყვანილი ჩალისფერი ქოფაკი, რომელიც სიბერით მოკვდა, თუმცა ყველაზე კარგად დათამ იცოდა ძაღლის სიკვდილის მიზეზი. რაც დათას ბიჭი ვანიკო აქედან წავიდა, ბასარა თავის დაყათზე ვერ იყო. თითქო ყველას სადარდებელს ის ძაღლი დარდობდა. ეფერებოდნენ სონა და დათა ბებერ ქოფაკს, რომელსაც პატრონების ერთგულებასა და სიყვარულში გაეტარებინა თავისი წილი წუთისოფელი. თავიდან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უყეფდა ფორმიან რუსებს, ბოძები რო ჩაარჭვეს და მავთულხლართის შიგნით მოაქციეს დათას არემარე. ძაღლი არ მომიკლათო, – რუს ჯარისკაცებს სთხოვა დათამ.

– ნუ გეშინია, არავინ ერჩის შენს ძაღლსო, – დააიმედა ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელიც ხშირად მოდიოდა ხოლმე.

ამან უფრო გააცოფა ბებერი ქოფაკი. რუსებზე ხო მოსდიოდა გული, მაგრამ პატრონზეც ბრაზდებოდა, სამადლოდ რო აჩუქებინეს ქოსა ჯარისკაცებს ძაღლის სიცოცხლე, არადა, ზედა ვარდებოდა წელს ზემოთ გატიტვლებულ გადამთიელებს, დათას ეზოს გასწვრივ ბოძებს რო აბეტონებდნენ. ის კი არა, სადილობისას ძეხვის ნაჭერიც კი გადმოუგდეს დათას ძაღლს, მაგრამ პირს როგორ დააკარებდა? ეგრე გამომცდელად მიშტერებოდნენ რუსები, აინტერესებდათ, აბა, რას იზამდა. იმათ ეგონათ, რუსული ძეხვის ნაჭერზე გადაირეოდა ძაღლი და რუსებს წკმუტუნ-წკმუტუნითა და კუდის ქიცინით გაუგორდებოდა. ძაღლს სიცილი არ შეეძლო, თორე დასცინებდა.

გავიდა დღეები, ესმოდა ბასარას, როგორ ეხვეწებოდა პატრონი ფორმიან ჯარისკაცებს, რო ეკლიანი მავთულები სახლის უკანა მხარეს გაებათ და დათას სახლი, რომელიც ისედაც განაპირა უბანში, ფერდობის ძირში იდგა, სოფლისთვის არ ჩამოეშორებინათ, მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. აქეთ დარჩნენ დათა და სონა, იქით – ისინი. გაავლეს ეკლიანი მავთულები, თან როგორი ეკლები ჰქონდა, ერთიორჯერ სოფლის ნახირი გამოატარეს და რამდენიმე ფურმა ლამის ფაშვი აქ დატოვა, ფერდები დაეფატრათ. არა ქნეს რუსებმა. დათამ ფულიც კი შესთავაზა, სახლის იქით გაავლებთ ღობეს, თუ სახლის აქეთ, თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ ერთი რო შეჯდნენ ვირზე, მორჩა.

ეგრე მოექცა დათას სახლ-კარი „საზღვარს“ იქით და დარჩა მარტო ბებერი ცოლ-ქმარი. ვანიკო რამდენჯერმე მოვიდა, ეხვეწა, ემუდარა მშობლებს. იცოდა, რო წყლის ნაყვა იყო დათასთან ამაზე საუბარი, მაგრამ მაინც თავისას ცდილობდა. სონა კიდე, ლამის ბავშვობიდან ერთად მოდიოდნენ და აბა, ქმრის გარეშე სად იყო წამსვლელი. მთავრობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები დათას სახლთან ათენ-აღამებდნენ, მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ, როგორი მაგარი კაცი ცხოვრობს აქაო.

ჩართავდა ტელევიზორს საღამოთი დათა და თავის თავს უყურებდა.

– რა ცოტა რამე უნდა, ხო ხედავ, გმირობასა, – სონას შესცინებდა, – აჰა, სახლში ვართ, ჩხირი-ჩხირზე არ დაგვიდვია და გმირები გავხდით. ვაი, ჩვენს პატრონს! საწყალმა მამაჩემმა კიდე, აიქ ჩაყარა ძვლები, ქერჩში და გამპატიოსნებელიც არა ჰყავდა. იმის გმირობაზე არავინ არაფერს ამბობს და მე გამხადეს გმირი.

საჭმელ-სასმელს ეკლიანი მავთულხლართებიდან გადმოაწოდებდნენ ხოლმე ან დათა რისი მჭამელი იყო, ან სონა, იკიკნებოდნენ ეგრე საცოდავად. დათა თავის დაწურულ წითელ ღვინს

ჩამოასხამდა და სონაღა ჰყავდა ჭიქის მიმჭახუნებელი, რომელსაც მალ-მალე ეტყოდა:

– როგორ გაბრაზებდი ხოლმე ჯიელობაში და ამას რა მომაფიქრებდა, ცოლიც შენ იქნებოდი, ძმაკაციცა და მეზობელიცა.

სონა შეხედავდა და თავს გააქნევდა.

– რაც შენ ნერვები მიწეწე, რაც შენ სიმწარე მაჩვენე, სხვა რო ჩემ ადგილზე იყოს, წავიდოდა და მარტოდმარტოს დაგტოვებდა, მაგრამ გული რო არა მაქვს ეგეთი...

ბასარამ ერთ დღეს საჭმელს პირი არ დააკარა. ვანიკოს გარეშე ეს ძაღლი ერთი დღე ვერ ძლებდა და მიხვდა ბოლოს, რო ამ გადაღობილ არემარეზე ყოფნა დროებითი ამბავი არ იყო, სულ ასე მოუწევდა ცხოვრება, თავისი ძაღლური სიბერე ამ დადარდიანებული პატრონებისა და იმ ქოსა ჯარისკაცების ცქერაში უნდა გაეტარებინა. ადგა და დაიჩქარა სიკვდილი. იწვა და ქასქასებდა უჭმელ-უსმელი. რა გაეკეთებინა დათას, აღარ იცოდა, ეფერებოდა ბებერ ქოფაკს, ერთი-ორჯერ ძალათ გააღებინა პირი, იქნება როგორმე ლუკმა გავაღეჭინოო, მაგრამ ბასარას სიცოცხლე აღარ უნდოდა.

ერთად ტიროდნენ მომაკვდავი ბასარა, დათა და მისი ცოლი. რად უნდოდადა ძაღლს რამის თქმა? თვალებით ეუბნებოდა ყველაფერს.

სახლის უკან დამარხა დათამ ქოფაკი და იტყოდი, რო გარდაცვლილ ოჯახის წევრს დასტიროდა, შენდობის ჭიქაც კი წაუქცია, გააპატიოსნა.

ბებერი მსხლის ქვეშ ბასარას ცარიელი ბუნაგი დარჩა. მიჩვეული როგორც იყო, დილით მივიდოდა ხოლმე დათა, ეგონა, რო ღამენათევი ძაღლი „ფანერკით“ შეკრულ ბუნაგში დახვდებოდა. ეს სიცარიელე ეკლებს ურჭობდა სულში. დათას ეზოში ძაღლი აღარ ყეფდა და გული უკვდებოდა. ერთი-ორჯერ ბუნაგის აღება გადაწყვიტა, მაგრამ თითქო ვიღაც გადაუდგა წინ, გადაიფიქრა. იმ სიცარიელესაც მიეჩვია თანდათან და ხვდებოდა, რო ყველაფერი მისი ცხოვრების ნაწილი იყო. ვერაფრით ივჯერებდა, რო ცარიელ ბუნაგს შეეჩვია თვალი და პირველმა ტკივილმა, თავიდან რო სული დაუკაწრა, სადღაც მიიძინა. არ უნდოდა დაეჯერებინა, რო ამ ეკლიან ღობესაც ეგრე შეეჩვეოდა. გავიდოდა დრო და ჩვეულებრივ ამბად იქცეოდა, ის კი არა, უმავთულხლართო არემარის გახსენება უფრო გაუჭირდებოდა. საკუთარი თავის შიში გაუჩნდა, ვაითუ მართლა შეჩვეოდა ამ ყველაფერს და ისე დადიოდა თავის ეზოში, ისე სხლავდა და ბარავდა, რო იმ ეკლიან მავთულების თითქო ვერცა ხედავდა. უნდოდა, ყველაფერი ისევ ისე ყოფილიყო დათას მახსოვრობაში, უნდოდა რო ეკლიანი მავთულებით შემოუღობავ არემარეზე ეცხოვრა.

შევიდა და თავჩაღუნული იდგა ცოლის წინ, იტყოდი, რაღაც აღსარებასავით აპირებდა სონასთვის, მაგრამ ვერ გაებედა. ხო უთხრა ერთხელ, ცოლიც შენა ხარ, ძმაკაციც, ჭიქის მიმჭახუნებელიცა და მეზობელიცაო. მგონი, ის დრო იყო, აღსარებაც ცოლისთვის ჩაებარებინა და პურ-ღვინითაც სონა აზიარებდა.

„უცნაური კი არა, უცნაურზე უცნაური ყოფილა ცხოვრება. სად დაიწყებ და სად დაამთავრებ შენი წუთისოფლის წლებს ან კიდევ კარგი, არ იცი, ჯეელობაში წინ რა გელოდება, თორემ ერთი ბედნიერი წუთიც არ დაგრჩებოდა, ეგრე დასაპურებელი სულით უღიმღამოდ გაატარებდი შენთვის ნასესხებ წლებს“, – ფიქრობდა დათა და თვალწინ უდგა ჯეელობის წლები, როგორ დაიწყო საძირკვლის გაჭრა, სახლის აშენება, როგორ შეალია მთელი თავისი ჯანი და ღონე აქაურობას. ახლა კი... გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა სიკვდილი, საამქვეყნო დღეები დათვლილი ჰქონდა. შეიძლება არაფე-

რი გჭირდეს, შეიძლება კენჭივით იყო, მაგრამ მაინც გრძნობ, როგორ ახლოს არის ცად წასვლის წუთები... იმათთან სიახლოვეს გრძნობდა, ვინც უკვე გამ-ჩენთან იყვნენ და სიკვდილის მოლოდ-ინი აღარ ჰქონდათ.

ერთადერთი გამპატიოსნებელი დარჩენოდა დათას, მთელი ცხოვრება რო მასთან ერთად მოათრევდა მძიმე უღელს. მარტოდმარტო უნდა ეცხოვ-რა სონას, სანამ მისი დღეების კრია-ლოსანიც არ ჩამოიმარცვლებოდა... არ უნდოდა რუსების სამადლოდ გაჭრილ საფლავში წოლა. წარმოიდგინა, სონა რო შეეხვეწებოდა ქოსა გადამთიელებს და ისინიც, ტურების სათრევი რო არ გამხდარიყო დათას ცხედარი, მუხლამ-დე ამოუჩიჩქნიდნენ სამარეს. უნდოდა, რო სონა ამ ამბისთვის შეემზადებინა, ეთქვა, რო მისი აქედან გასვლის ჟამი ახლოს იყო, მაგრამ ეცოდებოდა ქალი.

– რა დაგემართა, კაცო, რა ოროსა-ნივით ჩაგიღუნია თავი. შენ ვერ ხარ ეს დღეები კარგა.

დათამ არაფერი შეიტყო. ტახტზე ჩამოჯდა.

– რა შემატყე, რო ვერა ვარ?

– რა ვიცი აბა, ეგ შენ თავს უნდა ჰკითხო.

– ჩემ თავს რაღა ვკითხო, – მწა-რედ ჩაეღიმა დათას, – რაც საკითხავი მქონდა ვკითხე უკვე...

– რაო მერე, რა გითხრა? – სონასაც გაეღიმა.

– მაგარი ცოლი გყამ და ეგ რო არ იყვეს, შაურის ფასი იქნებიო.

– ოიი! – თავი გააქნია სონამ.

დათას უნდოდა, სანამ მიქელ-გაბ-რიელი თავს წამოადგებოდა და გაფრე-ნის მზადებაში მყოფი სული შემკრთა-ლი მტრედივით შეფრთხიალდებოდა, ცოლი გაემხნევებინა, მაგრამ ვერა ბე-დავდა. ეცოდებოდა სონა, თან ფიქ-რობდა, სიმხდალეში არ ჩამითვალოს, სიკვდილზე რო ლაპარაკი დავუწყოო. პატარა საღვინით შევიდა მარანში, ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ღვინო გამოიტანა.

– ბევრი აღარ დალიო! – უთხრა სო-ნამ.

– ბევრს როდისა ვსვამ? – უსაყვე-დურასავით დათამ.

სამი ჭიქა დალია, ენერგიულად გა-ღეჭა ლუკმა.

„სიკვდილის ნაბიჯებს რო გრძნობ, ფასი არა აქვს მერე... ღვინოც სიცოც-ხლეს უხდება და პურ-მარილიც“ – ფიქ-რობდა დათა და ეგრე მდუმარედ იჯდა.

სონა უყურებდა და მალ-მალე ეტ-ყოდა:

– ვანიკოს დავურეკავ, ამოვა ბიჭი, ვეტყვი მაგ ოხრებსა და გავყვეთ ქა-ლაქში, ექიმი გინდა შენა, ხო გატყობ, ისევ ამოვიდეთ მერე...

– მაგათაც ეგ უნდათ... – თქვა და-თამ და საღვინე გვერდით მისწია, – წა-სული კი მინახავს, მაგრამ მობრუნებუ-ლი აღარავინა.

– ეგენიც ხო ადამიანები არიან, მა-გათაც ხო ჰყავთ მოხუცები, ვეტყვი იქ-ნება...

– ეჰ, სონა, – თვალები წამოემღვრა დათას, – ხო არა გძინავს შენა. მგლის თვზე სახარების კითხვისა... აზრი მით-ხარი აბა, არ იქნება ეგ ამბავი... საექი-მოც არაფერი მჭირს.

●

იტყოდი, რო სხეული აღარ ემორჩი-ლებოდა. მძინარე სონას გადახედა, ძა-ლა მოიკრიბა, მოფხიზლდა და წამოდ-გა.

ახალი გამოკვერილი ცელივით ლაპ-ლაპებდა მთვარე.

„ამ მთვარის დაბერებას ვეღარ მო-ვესწრები“ – გაიფიქრა დათამ, ფრთხი-ლად ჩაიცვა, კარი უხმაუროდ გააღო. გასვლის წინ სონას კიდევ ერთხელ და-ხედა და ნელ-ნელა, უჩუმრისპირად გა-ვიდა.

შუაღამე ახალი გადასული იყო. გა-ზაფხული შემოპარულიყო, მაგრამ მა-

ინც სუსხი ჰქონდა. ეკლიანი მავთულე-ბის იქით სიჩუმეში ჩაძირული სოფლის სუნთქვა დათას სახლამდე მაინც აღწევდა. აქა-იქ ძაღლები წამოიყეფებ-დნენ და სულსწრაფი მამლების ყივილ-ზე ისეთ ნეტარებას გრძნობდა მოხუ-ცი, თითქო ეხლა დაიბადა და მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა.

ფარდულში შევიდა, ბარი აიღო, სახლს შემოუარა. ისე შესცქეროდა კედლებს, გეგონებოდა მლოცველივით კუთხეებს დაუკოცნიდა, ბოლოს დაღ-მართზე დაეშვა.

მთვარემ თითქო შუქი მიუმარჯვა. მიდიოდა დათა დღესავით განათებულ ჭალაში და იმაზე ედარდებოდა, რო სონას არ გაღვიძებოდა და თავზე არ წამოსდგომოდა. ფშანებთან ტურები ნადავლს ვერ იყოფდნენ, თუ ერთმა-ნეთს ძიძგნიდნენ, საზარელი ჩხავილი მოისმოდა და მოხუცს ტანში გააჟრჟოლა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქო დათას დამარხული ცხედარი ამოეთხა-რათ ტურებს, ეგრე დაათრევდნენ ფშა-ნებთან და ერთმანეთში ვერ იყოფდნენ.

მთვარიან ღამეებში რამდენი უბარია დათას, სონა გაუბრაზდებოდა ხოლმე.

– შე ოჯახაშენებულო, ხვალაც ამ თვისა არ არი? რა თავს იკლავ, თან კი არავინ გამოგყვება, ვინც ერდო მოხნა, ისიც ხო მოკვდაო.

ზამთარში, რაც ერთი ყამირი ადგი-ლი ჰქონდა დასაბარი, მთვარიან ღამე-ებში გადაატრიალებდა ხოლმე. დღის სულზე, როგორც თვითონ უყვარდა გამოთქმა, ვერ მოსცდებოდა, საქმე იმდენი ეყარა თავზე, მთელ სოფელს ეყოფოდა, სანამყნი თუ გასასხლავი, სათოხნი თუ საწიდნი – დათას ხელი არა ჩერდებოდა.

ბაღის ბოლოში დიდი ხეჭეჭური ედგა. დათას მამას დარგული ბებერი მსხალი აღარ ისხამდა, ისიც დათასა-ვით დღეებს ითვლიდა. ღივღივებდა, მაგრამ დათამ ვერ გაიმეტა, მსხალს დარჩენილი დღეებით ტკბობა აცალა.

– სულ რო ჩირივით ბებერი იყვე, ძალა აღარ გერჩოდეს, სიცოცხლე მა-ინც ტკბილიაო, – იტყოდა ხოლმე, მაგ-რამ თავის ნათქვამი რო ახსენდებოდა, ხვდებოდა, რო დიდი განსხვავება იყო ხეჭეჭურის ბოლო დღეებსა და მისი სი-ცოცხლის მიმწუხრს შორის.

– დათა! – თითქო სონას ხმა მოესმა, შეკრთა.

– ხო არ გაიღვიძა? – სახლისკენ გა-იხედა. მერე დაასკვნა, რო მოეჩვენა და ხეჭეჭურის ქვეშ ადგილი მოზომა, შე-ათვალიერა, მერე ფშანებისკენ გაიხე-და. მთვარის შუქი იქით უფრო სუსტად აღწევდა, ტურები აღარ ჩხუბობდნენ, აქა-იქ მხოლოდ უცნაურ ხმებს გამოს-ცემდნენ.

„ნადავლი გაიყვეს და ჭამენ ეტყო-ბა“, – გაიფიქრა დათამ.

ყამირის თხრა დაიწყო. გეგონებოდა, ნაბარი ადგილი იყო, ადვილად ჩავიდა მიწაში ბარი, ადვილად ჩაძვრა. ორიო-დე საათი იმუშავა, რაც ჯანი ჰქონდა დახარჯა, გაიხვითქა და მირკანის სუს-ხზე ზედ აშრებოდა ოფლი. ეს მუშაო-ბა მაშინდელს არ ჰგავდა, როცა ახალ მთვარეზე ყამირის გასატეხად ბარს გალესავდა ხოლმე. მუხლამდე რო ჩა-ვიდა მიწაში, მუშაობა შეწყვიტა. იდგა ბარის ტარზე ჩამოყრდნობილი და სა-ნახევროდ გაჭრილ სამარეს ჩასცქერო-და. ეს იყო მისი ნატანჯი სიცოცხლის უცნაური წერტილი. რა მოაფიქრებდა, რო ოდესღაც მშობლების გვერდით კი არ მოუზომავდნენ უკანასკნელ ალაგს, არამედ იმ ხის ძირში მიებარებოდა მა-მისეულ მიწას, მთელი ცხოვრება რო შეჰხაროდა, სიცოცხლის ბოლო დღეე-ბამდე რო ცული არ დააკარა.

მთვარემ თითქო ანიშნა, გეყოფაო და სახლისკენ მძიმე ნაბიჯებით ამოუყ-ვა გზას.

სამი ღამე გრძელდებოდა ეს ამბავი. ადგებოდა შუაღამისას, უჩუმრის პირად გაიხურავდა კარს და ბაღში დაეშვებო-და. სონას ვითომ ეძინა. დათა „მძინა-

რე“ ცოლს დაჰხედავდა, ბარს მხარზე გაიდებდა და მთვარით განათებულ ბილიკს გაუყვებოდა.

„უცნაური ბედი მქონდა, უცნაური. მეგონა, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი, როგორც სხვები, როგორც ჩემი მეზობლები, მაგრამ თურმე არა ყოფილა ეგრე. რა მომაფიქრებდა, თუ საკუთარი თავის მესაფლავე ვიქნებოდი. რამდენჯერ უთხოვიათ თანასოფლელებს, მესაფლავედ გავყოლოდი, მაგრამ ბარი მხოლოდ ყამირის გასატეხად და საბოსტნის დასაბარად გამომიყენებია. ჩემი საფლავი მე უნდა გამეჭრა თურმე. ეგეც იმის ნებაა, ვინც ამქვეყნად მომიყვანა და სული ჩამიდგა, იმის ნებაა, ვინც ეკლიანი მავთულებით დაგვსაჯა. მიწის სიყვარულს გადავეჩვიეთ და იმიტომ დაგვემართა ეგრე. ხალხი რო ცოდვას სჩადის ან დათა დაისჯება მერე, ან პეტრე და ან პავლე. იქნებ სხვისი ცოდვების გამო მე ვიქეცი საკუთარ მესაფლავედ“ – ფიქრობდა ხეჭეჭურის გვერდით გათხრილ ორმოში მყოფი დათა. როცა ცოლის ხმა მიქელ-გაბრიელის ხმად ჩაესმა, შეკრთა.

გახვითქულ ქმარს დაჰყურებდა სონა და თვალებს არ უჯერებდა.

– რა დღეში ყოფილხარ შენა, თურმე... ნეტა მოვკვდე და არ ვიყო ცოცხალი!

დათა ოფლს იწმენდდა, ხან ცოლს ახედავდა, ხან – ხეჭეჭურის გალოპრილ ტოტებში კალმახივით გახლართულ მთვარეს. მცირე ხნის შემდეგ ორმოს კუთხეში საფეხურებად დალაგებულ ბელტებზე ამობობღდა და სონას შეხედა.

– მითვალთვალებდი არა?

სონამ თავი გააქნია, ცრემლები მოიწმინდა და სახლისკენ გაბრუნდა.

●

რაღაც უცნაური ხმები ჩაესმოდა. ეს არც ტურების ჩხავილს ჰგავდა, არც ჭოტის კივილს, არც ფშანებიდან ამოქროლილ ქარს, არც ძილგამფრთხალი ძაღლების ყეფა-ყავყავს. სხვანაირი ხმა იყო და ხვდებოდა დათა, რო მის სახლთან ახლოს იყო სიკვდილი.

წამოდგა, გათენებას აღარაფერი უკლდა, ცაზე მირკანის დილა იფოთქებოდა. სონამ დათას წამოდგომა გაიგო.

– სად მიხვალ, ადამიანო? – ნამძინარევი, მიკნავლებული ხმით ჰკითხა.

– მოვალ ეხლავე, – თქვა დათამ, ბუშლატა ჩაიცვა, უხმაუროდ გავიდა ოთახიდან.

ჯერ ახალი გათენებული იყო, როცა ხალათიანი სონა თავზე დაადგა ეკლიანი მავთულების ღობის ძირში ჩამუხლულ ქმარს. თავიდან ეგონა, მეჩვენებაო, მაგრამ ახლოს რო მივიდა, ფეხები ლამის მოეკვეთა.

– რა გიქნია, კაცო, ეს რა გიქნია?!

დათას გასისხლიანებულ, დაკოჟრილ ხელებში ფარდულში ნაპოვნი ძველისძველი რკინის საჭრელი ეპყრა და ცოლს უღიმოდა.

– ვისაც უნდა შემოვიდეს ეხლა!

●

წივილ-კივილი არ დაიწყო. მოსახდენი უნდა მოხდეს, ვიღაცას შეიძლება უბედური ვეგონო, მაგრამ არ არი ეგრე... ისე მივდივარ, რო არაფერი დამიკარგავს.

სონა მომაკვდავ ქმარს თავზე ადგა, ცრემლები ჩამოსდიოდა და ვერაფრით იჯერებდა, რო მის დათას დათვლილი ჰქონდა საამქვეყნო წუთები.

ფართხალებდა ბერიკაცის სული, თავისუფლება უნდოდა...

21 მირკანი,
2021 წელი
დიცი

ალექსანდრე კაკიაშვილი

ჯაზი და ცოტაოდენი ვისკი

1898 წელი...

ამერიკა...

აფრიკელი მონების მიგრაციის ფაზა პიკს იყო მომდგარი. გაუსაძლის ცხოვრებას, მონათმფლობელურ წეს-ჩვეულებებს თუ უბრალოდ თავისუფლებისთვის გამოქცეულ, სიცოცხლის რისკით გადარჩენილ შავკანიან აფრიკელეთა „მექა“ სწორედ რომ ქალაქი ნიუ-ორლეანი გახლდათ. სიცრუე იქნება თუკი გეტყვით, რომ ამერიკელ თეთრკანიანთა გულები იმ დროისთვის აღსავსე გახლდათ ჰუმანურობის მთელი დიდებულებით. ხშირად მათი მხრიდან გამუდმებული დაცინვის, ზნეობრივი თუ ფიზიკური გარიყვის ობიექტად მიიჩნეოდნენ, მხოლოდ კანის ფერით განსხვავებული და მუდამდღე სიდუხჭირეში მყოფი ღვთის შვილნი.

ამიტომ ამ დროისთვის ქ. ნიუ-ორლეანში გაჩნდა აფრიკული დასახლება, სახელად „სტორვილი“.

სწორედ აქ, ამ დასახლებაში იშვა ყოველწლიური „მადრიგრას ფესტივალი“. საღამოობით შეკრებილნი წარმოუდგენელ სანახაობას აწყობდნენ, საოცარი ჰანგების ფონზე, მთელი დღის დარდს სახელდახელოდ დანთებულ კოცონთან ჯაზის ღვთიური ჟღერადობით იქარვებდნენ...

რატომ „ჯაზი“?

კარგი, გეტყვით... სტორვილის უბანში მცხოვრები აფრიკელები უბადლო მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულნი გახლდათ. უსამშობლოდ, ულუკმაპუროდ დარჩენილთ ორადორი არჩევანი ჰქონდათ: ან ისევ თეთრკანიანთა მონად სიკვდილს უქადდათ ბედი, ან ნიუ-ორლეანის საროსკიპოში მუსიკოსად მუშაობას. ასე რომ, მათი უმეტესობა საროსკიპოს კედლებში აჟღერებდა ზეციდან ნაბოძებ ღვთიურ ჰანგებს. მაშინ ყველა მეძავი ჟასმინის სუნამოს იპკურებდა, რათა ერთგულ სტუმართა ლიბიდო შეხებამდე აღეგზნოთ და, ვნების ქარცეცხლში გახვეულთ, ნეტარებით გული ეჯერეთ.

არ შეიძლებოდა, საროსკიპოს სიახლოვეს არ ჩაგევლოთ და იქიდან ჟასმინის სურნელით გაჯერებულ მუსიკას, ანუ ჟაზს თქვენი გონება არ დაებინდა. აი, აქედან იშვა ამ არამიწიერ ჰანგთა სახელწოდება – „ჯაზი“.

სტორვილის დასახლებაში კი ყოველდღიურად ეწყობოდა სტუმართა გასართობი საღამოები... უკრავდნენ ამ ყველასთვის საყვარელ, სახალხოდ ქცეულ, უამბიციო, თავისუფლებისკენ

მსწრაფ მუსიკას და, სიდუხჭირის მიუხედავად, ბედნიერობდნენ...

სულ მალე თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით განმსჭვალულმა, ჯაზის საოცარმა ჟღერადობამ და სტილმა ქალაქ ნიუ-ორლეანის საზღვრები გაარღვია და მთელი სამყარო მოიცვა. უკვე ყველა ბისტროსა თუ ბარში შეგეძლოთ ამ საოცარი ჰანგებით ტკბობა, მაგრამ სტორვილის „მადრიგრას ფესტივალი“ უდავოდ დედამიწაზე აღმოცენებული პაწაწინა სამოთხე გახლდათ...

თუკი გსურდათ, რომ სამოთხის მთელი სისპეტაკე შეგეგრძნოთ, აუცილებლად ამ ფესტივალს უნდა სწვევოდით... უბნის ყველა კუთხე-კუნჭულში, კოცონთან შეკრებლებილთ, ვისკის ტონებით, ჟასმინის სურნელით გაჯერებული ჯაზის მაცოცხლებელ მელოდიას თქვენი სულის თავისუფლებისკენ აღმაფრენა შეეძლო.

ამ ამბავმა ცაზე გავარდნილი მეხივით იქუხა ნიუ-იორკის ბარებში და რის სისხლაჩქროლებული იანკი ვიქნებოდი, რომ ნიუ-ორლეანში, სტორვილის დასახლებაში, „მადრიგრას ფესტივალს“ არ ვწვეოდი...

უმალვე გავეშურე. ქალაქში ჩასულმა სულ რაღაც რვა დოლარად მოკრძალებული სასტუმრო შევარჩიე, ისიც იმიტომ, რომ სასტუმროს დიადმა მეპატრონემ აშკარად არ უწყოდა, რაში მდგომარეობდა დამლაგებლის არსი! ოთახში შესვლისთანავე, მოკლე ექსკურსის შემდგომ, რომელიც სააბაზანოსა და ტუალეტის ლაბირინთულ გზამკვლევს მოიცავდა, ცოცხი და აქანდაზი შემაჩეჩა.

– ძვირფასო, თუ სუფთად წოლა გსურს, შეგიძლია საკუთარი სიმარჯვის იმედად დარჩე...

სხვა რა გზა მქონდა, ოთახის დალაგებას უღიმღამოდ შევუდექი, მტვრის ოდენებობა ისეთი გახლდათ, თვით ფარაონს გაუჩნდებოდა სურვილი, საუკუნო სამყოფლისთვის პირამიდის აღმართვა ებრძანებინა. როგორც იქნა, დავასრულე ბრძოლა და მტვრით სავსე ვარცლი სასტუმროს მეპატრონეს, აქანდაზის და ცოცხის თანხლებით, ცერემონიულად, მთელი ზარ-ზეიმით გადავულოცე.

უკვე საღამო ახლოვდებოდა და გეზი სტორვილის უბნისკენ ავიღე. გზადაგზა უცნაური შეგრძნება მეუფლებოდა. სული რატომღაც არაამქვეყნიურის მოლოდინში ნაბიჯ-ნაბიჯ ბედნიერების უხილავი ტონებით იმოსებოდა. საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, აი, ისეთს, ზამთარში, დილაუთენია, თბილი ოთახიდან გამოსულს ხარბად ჩასუნთქული ყინვით გაჯერებული ჰაერი ფილტვებს რომ შეგიჭირხლავს და სხეულს ერთიანად აგიცახცახებს...

რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო მკვეთრად ისმოდა დაუვიწყარი ჰანგები... ვხვდებოდი, რომ ჩემი შინაგანი მე სხეულიდან გამოსვლას ლამობდა და, თავისუფლების უშრეტი წყურვილით შეპყრობილი, მზად იყო, ამ ღამით გალილეოს კოცონზე სწვეოდა!

თვალთუნახავი სანახაობა გადაშლილიყო ირგვლივ. უკლებლივ ყველა – ქალი თუ ბავშვი – მხიარულებას მისცემოდა... გეგონებოდათ, არც ერთ მათგანს ამქვეყნად, ბედნიერების გარდა, არა დარჩენოდა რა... ცეკვავდნენ, ხალისობდნენ – ფუშფუშა, უცნაური კაბებით, თავზე საბურველმოსხმულნი, შუბლზე ნაკოჭები ბოლოებით და ირგვლივ ყოველივეს ბედნიერების სპეტაკ სხივს ჰფენდნენ. მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად, შორი-შორს მდგარნი, კოცონთან საოცარ მელოდიას უკრავდნენ, ჟასმინის სურნელითა და ვისკის ტონებით დაბინდულ გონებას მხოლოდ საროსკიპოს სარეცელს მიწოლა და სიძვის მორევში ვნებააღრეული გადაშვებაღა ეწადა...

იქვე, ერთ-ერთ კოცონთან შევჩერდი, ადგილიც დავისაკუთრე, ვისკის ბოთლი მოვიმარჯვე და თავი განმარ-

ცხრომას მივეცი... საოცარი ოსტატობით უკრავდნენ და მღეროდნენ ღვთიურ ჰანგებს...

ახლაც გუშინდელი დღესავით ჩამესმის იმ ღამის ჯადოსნური სიმღერა: „The Whole World Smile's With You".

მონუსხული ვიჯექი და ერთადერთი, რაზეც მეფიქრებოდა და მენანებოდა, ჩემი უქმად გაფლანგული ცხოვრება გახლდათ. მაშინ მივხვდი, რომ ამ საუცხოო ჰანგების გარეშე ჩემი ყოველდღიურობა უბრალოდ მოსაწყენი მოცემულობა იყო, ლოგიკურ დასასრულამდე, სამოთხის ჯერ შეუცნობელი ტკბილხმიანობის გარეშე განვლილი... გული მწყდებოდა და თეთრი შურითაც კი მშურდა იმ მესაყვირის, იმ საქსაფონისტის, ასე აღტკინებით, ასე ამაღელვებლად და ასე ოსტატურად ზეცამდე რომ ადიდებულებდნენ ღვთიურ მელოდიას. სამყარო ჯერ არნახული შეგრძნებებით ივსებოდა და ზეციდან – ცამდე, ციდან – მიწამდე, მიწიდან – სხეულში თავისუფლების ჩირაღდნად მიგიზგიზდებოდა...

– ჰაი! – დამისხამ?

იმდენად გართული ვიყავი ამ ნეტარებით, რომ გვერდით მჯდომი შავკანიანი გოგონას ხმამ შემაცბუნა. თანხმობის ნიშნად გავუღიმე და ვისკით ჭიქა შევუვსე.

– მოგწონს?

– დიდებულია! ღვთიური!

რიჟრაჟმა ისე მოიწია, ვერც კი გავიგე. იმდენად აღტკინებული გახლდით ამ დიდებული ფესტივალისგან ბოძებული შეგრძნებათა სიუხვით... ნელ-ნელა ხალხი იშლებოდა, მთელი ღამის ნათენები, ბედნიერებით განმსჭვალული, ცხოვრების რუტინისკენ მსწრაფი, სახლებისკენ ეშურებოდნენ. მეც ავდექი და ჩემი რვა დოლარიანი „აპარტამენტისკენ" ავიღე გეზი.

– გაგაცილო?

– შეენ?

გამეღიმა, ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე იანკს გაცილებას შავკანიანი, უსაზღვროდ ლამაზი მანდილოსანი მთავაზობდა...

– დიახ, მე.

– მგონი მჭირდება, გზად რომ რაიმე შარს გადავეყარო. შენ შემხედვარეს, ყველას შეეშინდება და გვარიან ცემასაც გადავურჩები.

– სწორედაც, რომ შეეშინდებათ ანდა, მოკლედ... თუ გაწუხებ, მე წავედი...

– მოიცადე, კარგი გამაცილე, ოღონდ ერთი პირობით.

– ქორწილამდე არ გაკოცებ!

თავი ვერ შევიკავე და გულიანად გადავიხარხარე...

– რა გაცინებს? უშნო ვარ?

– არა, პირიქით.

– აბა? ააა, ფიქრობ, რომ ჩემს შავ კანს თეთრი საპატარძლო კაბა არ მოუხდება? ოხ, შე რასისტო!!!

– მოუხდება... უბრალოდ.

– უბრალოდ, თავისუფლება გირჩევნია.

– მართალი ხარ...

– ისე, მგონია, რომ მარტოობასა და თავისუფლებას შორის განსხვება არ არსებობს, ორივე გამოუვალი მოცემულობით გადადგმული ის ნაბიჯია, რომლის გამოც მზად ხარ, საკუთარი სიცოცხლეც კი გაიღო. აი, მაგალითად: მარტოობა ავიღოთ... თუკი მარტოობისთვის იღვწი, მაშინ გაცნობიერებული გაქვს, რომ ადამიანთა სიახლოვე მხოლოდ ტკივილს გაყენებს, ამიტომ მზად ხარ, რომ ყველაფერი გაიღო, რათა ამ ტკივილისგან თავი დააღწიო... და თუკი თავისუფლებისკენ იღვწი, მაშინ ყველას და ყველაფრის მიმართ დაუოკებელი პროტესტის განცდით იმსჭვალები, ვინც ან რაც შენ მიერ, შენივე წარმოსახვაში შეთხზულ სტერეოტიპებს ეწინააღმდეგება, ამის გამო კი მზად ხარ, ყველას და ყველაფერს ეომო, რათა სასურველ საწადელს – თავისუფლებას მიაღწიო, მაგრამ არ

მგონია, რომ იცოდე, რას ნიშნავს იყო თავისუფალი.

– იქნებ მითხრა?

– აი, ხომ გითხარი გაგაცილებ-მეთქი, ესე იგი ვიცოდი, რომ გჭირდებოდა. კარგი გეტყვი: თავისუფლება არა ვინმესგან ან რამისგან თავის დაღწევის სურვილია, არამედ ბრძოლა საკუთარ შინაგან სამყაროსთან. თავისუფალი მხოლოდ მაშინ ხარ, როდესაც საკუთარ თავზე უფლებას ჰპოვებ, შეიმეცნებ და მოუსმენ საკუთარი სულის სიმცირეს, მასზე კონტროლს ისწავლი და თავს ნებას მისცემ, საკუთრივი ბედნიერებისკენ დაუღალავად იბრძოლო. აი, ესაა თავისუფლება და არა როგორც მამას ჰგონია – ბამბის პლანტაციებიდან უკანმოუხედავად გაქცევა...

– უცნაური გოგონა ხარ, ჭკვიანი და....

– და ჩემი კანის ფერის გათვალისწინებით, ეს სიჭკვიანე უცნაურად მოგეჩვენა.

– აი, ახლა შენ ხარ რასისტი!

–კარგი. გავჩუმდი.

– ჯაზზე მიამბე.

– ააა, თქვენ მას ჯაზსს ეძახით, ჩვენთვის კი ღვთის ის საჩუქარია, რომელიც ჩვენში იშვა და ყოველდღიურობით გაწამებულ სულს მალამოდ გვედება. მასშია ახსნილი და გადმოცემული ჩვენი ერის ტკივილი და ბედნიერება... თქვენ კი უბრალოდ ჯაზი შეარქვით. იცი, რომ ეს ღმერთის სიმღერაა? ჩვენი პასტორი ამბობს, რომ, თუ ქადაგების სასრულს ჯაზის მელოდიით სულ არ გაიჯერებ, სამოთხის ტკბილხმოვანობას ვერასოდეს შეისმენო...

აი, როცა ბავშვი იბადება, ჯაზს ვმღერით; თუ ქორწილია, ჯაზს ვმღერით; მაშინაც კი ჯაზს ვმღერით, როცა ამ ქვეყნად ადმიანი მიიცვლება...

– გინდა თქვა, რომ დაკრძალვაზეც?

– კი. რა იყო?

– რატომ?

– როდესაც ადამიანი კვდება და სული სხეულს ტოვებს, მაშინ საუფლოს გამგზავრებულ სულს ჯაზის ჰანგებით ვაცილებთ, რათა სამოთხის ტკბილხმოვანება სულის სამშვენისად იქცეს, ადგილი დაიმკვიდროს უფლის წიაღში და სამოთხის შუაგულში, ბამბის პლანტაციის შუაგულში, კვლავ ჯაზის საოცარი ჰანგი ესმოდეს...

მგონი, მოვედით... აი, შენი სასტუმროც... ნახვამდის უცნობო...

– ნახვამდის.

დიდხანს გამეხებული და გარინდული ვუყურებდი ამ შავკანიანი ანგელოსის ნაბიჯთა სიშორეს...

ახლა უკვე ვიცი, რაც არ უნდა მოხდეს ცხოვრებაში, არასოდეს ჩემი მეხსიერებიდან არ ამოვა ეს დღე...

ამ ღამით პირველად ვეზიარე ჯაზის მთელ სიდიადეს და ალიონს კი, ანგელოსის ფრთის ქვეშ მადლმოსილმა, რვა დოლარიან სასტუმრომდე მოვაღწიე...

იცით რა მინდა?... ბევრი არაფერი...
მაშინ, როცა მივიცვლები
მოუსმინეთ ჯაზსს,
ვისკის ბოთლით შეზარხოშდით
და უცქირეთ ცას,
თუ კი ჟასმინს, სურნელოვანს
გამოატანთ ქარს
მაშინ, სადღაც სამოთხეში
მეც მოვუსმენ ჯაზს....

Bohémiens

– ჰე, ჰეიიიიი!!! ბიჭებოოო!!!! ჰე, ჰეიიიიიი!!!! ქალაქს ბოშათა ბანაკი მოსდგომია!!! ჰე, ჰეიიიიიიი!!! ორთაჭალის ბაღში გაჩერებულან და კარავი დაუდგამთ!!!!

– რას გაჰყვირი ამ დილაუთენია, შე უდღეურო!!!

– კარავი, დეიდა ნატოო, კარავიი, სულ ფაფარდაწნული ცხენებით და ფერად-ფერადი კაბებით გადაუვსიათ ორთაჭალის ბაღები...

– რას იძახი, ამბაკო?!

– მერმე? რაო? რა უთქვამს ქალაქის თავსა?

– რაო და ტიფლისს კიდევ უხეირონი აკლდა და ეგენიც მოგვდგომიანო!

– ჰეიიიი!!! ბიჭებოოო!!! ჩქარა, ჩქარა, ყველანი წამოდით!!! ჰეიი... ცისფერთვალიანო ძილისგუდავ, შენ რა? კიდევ გძინავს?! ჩქარა, ჩქარა გამომყევ, ისეთი ულაყები უნდა გაჩვენო, ჩემმა მზემ, თვით ქარვასლის სოვდაგრებსაც კი თვალები დაურჩეთ...

– დამელოდე, ამბაკოო!

– ღმერთმა მაგ თვალების მაგივრად კიდევ ორი ფეხი რად არ გარგუნა? მარდად მაინც ირბენდი ცისფერთვალიანო...

ჟივილ-ხივილით და ჟრიამულით დავუყევით ქვაფენილს, გეზი ორთაჭალის ბაღისკენ ავიღეთ. გზადაგზა, ამბაკოს აყოლილნი, ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან, დილის მაცნეებივით, ყველას ვუამბობდით, ქალაქს მომდგარი ბოშათა ბანაკის ამბავს... ასე, ერთ მუჭად შეკრული უსაქმურთა ამალით მივუყვებოდით მტკვრის სანაპიროს, სარდლად კი, წვივებამდე აკაპიწებული შარვლით, ქალამანგამოხეული ამბაკო მიგვიძღოდა.

დიდი ოინბაზი იყო ჩვენი ამბაკო. არ ვიცი, საიდან, როგორ, მაგრამ პირველად ახალი ამბავი სწორედ რომ მისგან უნდა მოგესმინა. ჩვეული სიშლეგით ჩამოურბენდა ხოლმე უბანს და ცნობის ფურცლებად აგვიფრიალებდა ცხელ-ცხელ ამბებს...

ამბობდნენ, ამბაკო ქურთი იყოო, მაგრამ ეგ რომ მისთვის გეთქვათ, რიგიანად მოგაძახებდათ:

– ბემურაზოო! ჩემი მამაი, იმის მამაი, იმის, იმის მამაი და კიდევ სამი იმის მერე მამაი ტიფლისელები იყვნენ!

მერე გულმოსული, კოპებშეკრული განმარტოვდებოდა და სანამ ძმობის ფიცს არ დაჰპირდებოდი, არას დიდებით არ მოგხედავდა. როგორც კი ძმადნაფიცად შეიყრებოდით, ამბაკოს თვალს ცრემლი მოადგებოდა, გულიანად გაგიღიმებდა და ისე ჩაგეხუტებოდა ატირებული – „ჩემო ძმობილოს“ ძახილით, რომ, მერწმუნე, შენც კარგა გვარიან ქვითინს მოგგვრიდა...

მარტო ბიჭი იყო ამბაკო, უპოვარი, უგვარიშვილო და ობოლი... არა ებადა რა, გარდა კეთილი გულისა და იმ ძირგავარდნილი ქალამნისა. უბან-უბან დაძრწოდა, ლუკმაპურისთვის ხან რომელ უსტაბაშს ეხმარებოდა და, ხანაც რომელსა; სისხამ დილას, ტოროლასავით ალიონზე აფრენილი, ხოლმე მტკვრის ნაპირს დაუყვებოდა და მებადურებს საზიდრის ზიდვაში ეხმარებოდა.

ზოგი თევზსა სჩუქნიდა, ზოგი – გროშსა, მერმე ხაბაზ ფრიდონიკას სათონიდან პურს გამოსძალავდა და არხეინად გეახლებოდათ. ძმაბიჭობაში ტოლი არა ჰყამდა. კაი მუშტი-კრივიც იცოდა და ბოლოს მომრიგებლობაც გამოსდიოდა... უბრად არ დაგირჩებოდა არას გზით და რა უნდა მომხდარიყო, ამბაკოს ძმადნაფიცობის გარდაუვალობას ასცდენოდი...

ასეთი იყო ჩვენი ამბაკო... ჩემი ძმადნაფიცი! ქურთის ბიჭი ამბაკო, რომელსაც ჩემი სახელი ვერ დაემახსოვრებინა და სულ ცისფერთვალას მეძახდა...

როგორც იქნა, მივაღწიეთ ორთაჭალის ბაღებს დაა....

მაშინ პირველად აღვიქვი, თუ რას ნიშნავდა ბედნიერება და ამ ბედნიერებით გამოწვეული გაზაფხული!

ირგვლივ ნაირ-ნაირი ფერით შეფერილი კაბებით გაზაფხულობდნენ ქალები... თითქოსდა ამ მწვანე მოლზე ყვავილებად აღმოცენებულიყვნენ და მზეს გულღიაობით სხივსა ჰპარავდნენ. კაცნი? – მეტად ფრანციცულად ჩაცმულნი გახლდნენ და საოცარად, გრაციოზულად ეპყრობოდნენ თავიანთ მანდილოსნებს. წარმოუდგენლად დიდებული სანახაობა გადაშლილიყო ჩემ თვალწინ. არემარე თავდავიწყებულ

მხიარულებას მისცემოდა... კაცნი ოსტატურად უკრავდნდენ გიტარაზე, აი, თითქოსდა მათ მოუგონიათ ეს საკრავიო, უზადოდ ფლობდნენ და იმდაგვარი ეშხით მღერდნენ ბოშურ სიმღერებს, რომ თვით იეთიმსაც შეშურდებოდა...

მღერას აყოლილი ქალი თუ ბავშვი საცეკვაოდ შეკრებილიყო.

მე ეგეთი კინტოური არსად მენახა... ამ ყვავილების ველზედ აყვავებულთ, ცეკვა-ცეკვითა და კაბის შრიალ-ფრიალით გახელებულთ, აშკარა იყო, რომ არა ადარდებდათ რა.

მათ გარშემო კი აურაცხელ ცნობისმოყვარეთა ჯარად შეკრული ტიფლისელები გარს ერტყათ და გაოცებულნი შესცქეროდნენ ამ თავისუფალი შეგრძნებების მიწად დიდებულებას...

აქა-იქ მაინც გაიგონებდით ქართველ დედაკაცთა ქილიკს...

– ნახეე, ქაააა, რარიგ ურცხვობეენ?!

– დაიქცა შენი ქალობა!

– ნელა აიქნიე ეგ კაბაი, ეგრემც უნებურად ბაღჩა არ გამოგიჩნდებოდეს და არა ვჩივი რაღა.

– უიი ქაააა... ნახე, ნახეეე როგორ ქაჩამენ პაპიროსსა...

– შეგირცხვეთ ვაჟობა, ეგრემც ყველას თვალწინ ქალსა რარიგ ატანცავებთ.

აბა, კაცნი რას იტყოდნენ?! წვერულვაშის წვალებით გართულნი შესცქეროდნენ და ერთი ფიქრიღა ჰქონდათ. იქნებ და ისე აფრიალებოდათ კაბა, რომ მუხლს სითეთრე დასტყობოდათ... მხოლოდ ჩვენი ტაკიმასხარა, გულგახელებული კინტო თუ შეუვარდებოდა კინტოურის ცეკვა-ცეკვით და იმ მწვანე მოლზე მოცეკვავე ყვავილთა შორის, უნიათოდ მხოხავ ხოჭოსა ჰგამდა...

ჩემი ყურადღება ამ ყვავილნარში ერთმა ახლად გაგოკრილმა ვარდმა მიიპყრო... გამჩენს ვფიცაამ... ვერ აგიხსნით მის სილამაზესა. თვით თავადის ქალ მარიამსაც კი სჯაბნიდა სილამაზითა. გრძელი, ხვეული და უბურველი დალალები უმშვენებდა ხორცისფერ მხრებს, თვალნი? – თვალნი მისნი ზარხოშისგან გაავებულ სიშლეგეს გფენდა სულში და მზად იყავ, თუნდაც უკანასკნელი მუხამბაზი გემღერა შაითნებთან... ტანი? – სააღდგომოდ მეტეხს ჩამოსხმულ კელეპტარსა ჰგამდა, სინატიფით და მოხდენილობით რომ გიხელებდა ფიქრსა და ოცნებებით მტკვრის პირს ღამ-ღამობით ტივზე ფიალით ხელში ლოცვას გათქმევინებდა...

მყისვე დამატყვევა მისმა სილამაზემ და მისთვის მლოცველ ქადაგად მაქცია. დღე არ გავიდოდა, რომ ჩემი დილის ნამით დაცვარული, ახლად აკოკრებული ვარდისკენ თავქუდმოგლეჯილი არ გავქცეულიყავ, იმის იმედად, რომ თვალი მაინც მომეკრა...

ერთ დილას, უთენია, აი, როცა მზის ახლად ამოწვერილი შარავანდედი დედამიწას კოცნად სხივებს უძღვნიდა, ჩვეულად დავუყევ ფილაქანს ორთაჭალის ბაღისკენ...

როგორც კი მივუახლოვდი, იქვე, ხეს მივეყრდენ და ველოდი, ჩემი ქორფა კოკორი როდის ამიყვავილებდებოდა და სულში როდის იგაზაფხულებდა...

ჩვეული რიტმით მიედინებოდა ყოველივე – კაცნი თავიანთ ცხენებს კაზმავდნენ, ქალნი კი სარეცხს ვარცლში ჰყრიდნენ, რომ მტკვრის პირს ერეცხნათ, ამ ვარცლებს სახელდახელოდ უმაგრებდნენ ცხენებს და შემკული საპალნით მიეშურებოდნენ ხოლმე დილაობით მტკვრის პირას...

კარვად კი უხუცესნი, ბავშვები და ერთი-ორი ახალგაზრდა ქალიღა თუ დარჩებოდა, ისინიც იმიტომ, რომ ბავშვებისთვის მიეხედნათ. აბა, უხუცესთ რაღა მიხედვის თავი ჰქონდათ? გამუდმებით ბანქოს ჩასჩერებოდნენ და ყალიონსაც გვარიანად აბოლებდნენ...

ბავშვების ჟრიამულით გაივსო ორთაჭალის ბაღი, სიცელქით და ბავშვური ხალისით აღსავსენი, ციბრუტივით

დახტოდნენ და ათასგვარ რამეს თამაშობდნენ, მათ კი თვალს ჩემი დილის ნამი და ჩემი ვარდად აკოკრილი ქალი ადევნებდა...

ქალიო... ისე ვიძახი, თითქოსდა მეც დარბაისელი კაცი ვიყავ... ისიც ჩემსავით ახალგაზრდა გახლდათ, სადღაც, არ მეტი, არც ნაკლები – ჩვიდმეტი წლის თუ იქნებოდა...

რადგან სახელი არ ვიცოდი, რა უნდა მექნა? ისევ ამბაკოს ნასწავლ ხერხს მივმართე, გამახსენდა, რომ მეუბნებოდა:

– ჰეი ბემურაზო, მაგას რა უნდა ცისფერთვალა? ჩაუსტვინე და მოვაო...

თითქოსდა ქალზე კი არა, არაბულ ბედაურზედ ამბობდა, მაგრამ რაღა მექნა? მეც ავდექ და ჩავუსტვინე... არადა, რა უწყოდა ამბაკომ, რომ ჩვენს სტუმართ ქართულიც სცოდნიათ....

ქალმა ალმაცერად გამომხედა, მერმე პირი ჩემკენ იბრუნა და კის-კის-კისკისით ჩემ წინაშე ვარდად გაიფურჩქნა... აი, მაშინ ვინანე, ნეტავ არ დამეძახნა, არ მოსულიყო და არ შევციებულიყავ ერთ ალაგს. მონუსხულმა ძლივსღა ამოვილუღე...

– დილა მშვიდობისა.

– შენ მშვიდობისა. რა გინდა, ლამაზი ბიჭო?

– იცი? ძალიან მომწონხარ. როგორც კი ტიფლისს მოაშურეთ, მაშინვე თქვენკენ გამოვეშურე... აი, ჩემმა მზემ, მას მერე ყოველ ალიონს შენ გელი... დღესა კიდენა დაგიმარტოხელე და საბაასოდაც გიხმე.

– ლამაზი ბიჭო, შენ გული ცეცხლია?

– ცეცხლი კი არაა, მადათოვზე დანთებულ კოცონად მექეცა, ჩემო კოკორო.

– შენი ლამაზი თვალები ბიჭო, სახელი რა არი?

– შენთვის ყველაფერიც მქვიან, აი, რაც შენს გულს გაუხარდება.

– მაშინ შენ ჩემი ჰანზი იქნება?

– ხო, იქნება... იქნება... და... ჰანზი? რას ნიშნავს?

– ჰანზი... ჩვენი ღმერთი კეთილიო.

– შენ? შენ რა გქვიან?

– რუზანა... აი, შენი ენა ლამაზი გოგო.

– მართლაც, რომ სახელიც შესაფერისი გრქმევია...

– მე უნდა წავიდეს ჰანზი. ბავშვები მარტო არის. მოდი კიდევ, მე აქ არის ჰანზი...

– უსიკვდილოდ. ყოველ ალიონს გეწვევი და ჩვეულად, ამ დროს, ამ ხესთსან დაგელოდები...

– ჰანზიი.

– რაო ყვავილო?

– შენი თვალები, ჩემი ცა გაქვს ჰანზიი?

– ჰო... მაქვს... მაქვს.

ისევ ისე, ჩვეული უდარდელობით და კისკისით გარბოდა ჩემი კოკორ-ვარდი ჩემგან. გულანთებული და გრძნობით შეფერილი გავიქეცი შინისკენ. მთელი დღე ისე შემომაღამდა, რომ, ფიქრს მიცემულმა, ვერა გავიგე რა. მთელი ღამე რუზანაზე ფიქრში განვლე. რა არ წარმოვიდგინე, რა არ ვიოცნებე, ფიქრები გავახელე, გრძნობად ავაღელვე, გულს ვნება მივგვარე და სიმღერად ავამღერე...

ყოველ დღე რუზანასთან ერთად ვატარებდი, ამბაკო სულ მეწუწუნებოდა:

– ძმა-ბიჭები აღარა გინდა, არაა?! სულ ორთაჭალას მირბიხარ და შენს რუზანას დასდემ თოხარიკი ცხენივითა. ფრთხილად, ბიჭო, ემანდ შენც ფრანციცულად არ ჩაგაცვას რუზანამა და გიტარაზე მღერა არ დაგაწყებინოს, რაღა...

ბოლოს ხელს ჩაიქნევდა, ერთს მომაძახებდა: შააყარე კედელს ცერცვიო და თავს მანებებდა, მე კი კვლავ რუზანასთან გავრბოდი და მთელი დღე სიხარულსა და უშრეტ ბედნიერებაში იძირებოდა ჩემი სხეული...

ასე, ნელ-ნელა, ორთაჭალის ბაღ-

ში ირწეოდა ჩვენი სიყვარულის აკვანი. გრძნობებს შეგრძნებები ამშვენებდა და სულიც სხეულში მარადიულად გაზაფხულობდა, თუმცა მარადიული მხოლოდ ღმერთი ყოფილა ამ დუნიაზე...

შემოდგომის სასრულს დილით კვლავ ამბაკოს ხმამ გააბრუა მთელი უბანი.

– ჰე, ჰეიიიი!!! ჰეი, ბიჭებოოო!!! ბოშებს კარავი აუყრიათ და ქალაქს გაშორებულაან. ჰეიიიიიიი!!! ცისფერთვალაააა!!! რა ძილქუშმა გყო პირი?! ადექ, გაიღვიძე ბიჭოოო!!!! ადექ, შენი რუზანა გაგშორებიაააა!!!

გველნაკბენივით წამოვხტი საწოლიდან, თითქოსდა ჩემი სიცოცხლე იმ წამს უკანასკნელ წუთს ასრულებდა ამ ცხოვრების ციფერბლატზე და საუკუნო კვდომას მიქადდა. ვკარგავდი იმ სანუკვარ ბედნიერებას, რასაც სახელად რუზანა ერქვა. შეშლილივით გამოვვარდი ქუჩაში და ამბაკოს ავედევნე.

– ჩქარაააა, ჩქარაა, იქნებ მიუსწრო მცხეთასა. ბიჭოოოო, მარდად! მარდად! მეფაიტონე ანდროსა ვთხოონ, რომ ცხენი შეჰკაზმოს. შენ აქ დამიდექ! ჰეიიიიი მდევარიიი!!!! მდევარი ჩქარაა!!!

არც მეფაიტონე ანდროს დაუზოგავს ძალა, გამეტებით ურტყამდა მათრახსა ხათრით მორბენალ ფაშატს, მაგრამ ვერას გზით ვერ დავეწიეთ ბოშათა ბანაკს...

ქალაქს რომ მოვბრუნდით, უნებურად, ორთაჭალას გავეშურე. გულს ტკივილი ლოდზე ლოდად ემატებოდა და გრძნობაწართმელულ გულისფიცარს შეუპოვრობით მიმტვრევდა... იქვე, ჩვენს ჩვეულ ალაგს, ხის ძირში ჩავჯექ და მდუმარებას მივეცი...

ვიხსენებდი გარდასულ დღეთა სიდიადეს, უმანკოებით აღსავსე მწვანე მოლზე როგორ მედიდურად დიდებულობდა ორთაჭალის ბაღის უმშვენიერესი კოკორი... ამ ფიქრსა და გოდებაში მყოფს ნაცნობი ხმა მესმა:

– შენი თვალები, ჩემი ცა გაქვს ჰანზიი?

– რუზანაააა!

ყველა გრძნობა, შეგრძნება ერთურთ ვიხმიე გულში და გახარებული წამოვვარდი ფეხზე. რუზანას მივვარდი, მკლავებში მოვიქციე და მთელი სახე, ხელები ბედნიერებით აღვსილმა დავუკოცნე.

– შენ?! შენ არ წაჰყევ?!

– ჰანზეე, ლამაზი ბიჭო... ჩემი ცა, შენ ვერ დატოვა ბიჭო.

მეორე დღეს მეტეხს მივაშურეთ, დეიდა ნატო რუზანას ნათლია გახდა და ჩემი ძმადნაფიცი ამბაკო კი – ჩემი მეჯვარე...

აი, ასე შევუღლდი ორთაჭალის ბაღის თვალწარმტაც კოკორზე...

დრო გადიოდა, სიყვარული დღითი დღე გვემატებოდა და მთელ ქალაქს ამბად დადიოდა ტიფლისელი ჰანზესი და ბოშა ქალის, რუზანას სიყვარულის ამბავი...

მას მერმე არც ერთხელ არ გამოჩენილა ჩვენს ქალაქში ბოშათა ბანაკი. რუზანა ამაზე მუდამ წუხდა ხოლმე და გულისწყრომით, ჩემს მხარზედ თავმოყრდნობილი, მხოლოდ ბოშურ სიმღერად თუ დაამღერებდა საღამოხანს...

ახლა დროა ეს ამბავიც
დასასრულად ვაქციოთ
სიყვარულის აკვანში კი
ბოშა ქალი ვარწიოთ....

– ჰე.... ჰეიიიიიიი!!!! ჰე, ჰეიიიი!!!! ჰამზეეეე!!!! რუზანაააა!!!! ქალაქსა ბოშათა ბანაკი მოადგა!!!!

– დამიცა ამბაკოო!!!!

– ჰამზე ბიჭო... შენა მე ბებერი არის... დამიცათ ბიჭებოოო!!!!

ანაბელი

ზაფხულის ცხელი დარი იდგა, აუტანელი სიცხით გაჯერებულიყო დედამიწა. ირგვლივ ყოველივე სიცხით შეწუხებული და ღონმიხდილი გახლდათ, თითქოსდა არემარეს მცხუნვარე მზის ქვეშ მორჩილად ჩასძინებოდა... სადღაც, შორით ნაწარსულებ გაზაფხულს სიოც გაჰყოლოდა და სულშეხუთული ხვატისთვის დაეთმო წელიწადის სამოცდღიანი, აუტანლობით და გულწასულობით გაჯერებული ასპარეზი. მხოლოდ ახლად ამოწვერილ ალიონზე თუ შეიგრძნობით დედამიწის ღრმა, ძლიერ ჩასუნთქვას მაშინ, როცა ზეცად შობილი სიგრილე მიწად დაიარებოდა, ალაგ- ალაგ, კუთხე-კუნჭულ და მთელი დღის ნასიცხ-ნაწამებ კალთებს სასოებით ელამუნებოდა. მერე? მერე კვლავ ჩნდებოდა ჰორიზონტზე ამოგოგმანებული ცის მაცოცხლებელი ვეებერთალა, გიზგიზა, ყვითლად შეფერილი მწველი მნათობი და მცხუნვარე გულში იკრავდა მთვარისაგან შეგრილებულ არემარეს... დროდადრო თუ გამოჩნდებოდნენ სიცხის აუტანლობასთან მებრძოლი ერთგული კავალერიის წარჩინებული მოიერიშენი და მთელ ეზოში, საგანგებოდ მოწყობილ ბრძოლის ველზე, იმართებოდა ბავშვური ანცობის სიდიადე. მეც, რაღა თქმა უნდა, ამ კავალერიის ერთ-ერთი ცხენოსანი, ჩემი შეიარაღებით, რომელიც წყლით სავსე ბოთლს მოიცავდა, გაშლეგებული, მკვირცხლი ხასიათით, ვეკვეთებოდი მტერს და დაუზოგავად ვწუწავდი მომხვდურებს...

მორიგი ბრძოლა იყო გაჩაღებული, როდესაც ჩვენს ეზოში ხმაურით, გუგუნ-გუგუნით და ფრუტუნ-ფრუტუნით შემოვიდა სატვირთო ავტომობილი... საინტერესო და ყურადსაღები ის გახლდათ, რომ ამ სატვირთოზე მიჯრით მიეწყოთ ავეჯი და აშკარა იყო, რომ სტუმრები ახალსახლობისთვის მოსულიყვნენ. ნუ, რა თქმა უნდა, კავალერიის რიგებს დაუყოვნებლივ გამოვეყავი, იქვე მდგარ ალუბლის ხეზე ავძვერი და მთელი ინტერესით ვუცქერდი ამ სანახაობას. სატვირთოს მსუბუქი ავტომობილი მოჰყვა... ალბათ, ესენი სწორედ ჩვენი ახალმოსახლენი გახლდნენ. როგორც კი მანქანის კარი გაიღო, იქიდან შურდულივით გადმოხტა პატარა, თმაზე ცეცხლწაკიდებული, გაჩხინკული, კაპარჩხანა ეშმაკის ფეხი და მოუსვენრად, სიხარულით აღტყინებული დახტოდა... ისეთი სასაცილო და ისეთი საყვარელი იყო, როგორ გავბედავდი და შევარცხვენდი ჩემს ღვაწლმოსილ კავალერისტის მუნდირს, რომ მისთვის ხეზე მჯდომს ალუბლები არ დამეკრიფა და არ მიმერთმია. სწრაფად დავკრიფე და ფაციფუცით ჩამოვხტი. ხელები სულ წითელი მქონდა, ხოდა რა მექნა, სამოსზე შევიწმინდე ალუბლის სიწითლე და კაპარჩხანას წინაშე რაინდული სულისკვეთებით ხელგაწვდილი – ახლად დაკრეფილი ალუბლებით წარვსდექი...

– აჰა, აიღე!

– მადლობა!

– აქ უნდა იცხოვრო?

– კი, კი, კიიიი!

– ჰო, მეც აქ ვცხოვრობ. მოგეწონა?

– რა?

– ალუბლები.

– მჟავეა.

– არაუშავს, მოგიხდება.

– რა გქვია?

– ჟანი, შენ?

– არ გეტყვი!

– კარგი რაა, მე ხომ ალუბლები გაჭამე.

– კარგი ჰო, მე, მე...

ანაბელი.

– ანაბეეეელ, სადა ხარ? მოდი აქ, შე ეშმაკუნა, მოდი მომეხმარე!

– უნდა წავიდე, დედა მიძახის.

– ეზოში ხომ ჩამოხვალ? იცი, მე

ცუგო მყავს, პიერო ჰქვია, გაგაცნობ...

– პიერო? ჟან, რა სასაცილო ხარ. გავიცნობ პიეროს... გავიცნოობ. დროებიიით, ჟან!

– დროებიიიით, ანაბელ!

საოცრად ლამაზი გახლდათ ანაბელი. გრძელი, ჟღალი თმით და სახელდახელოდ დაწნული კიკინებით დათარეშობდა ხოლმე ჩვენს უბანში. სულ მოუსვენარი და გამუდმებით მოჩხუბარი ეშმაკისფეხი იყო. ღმერთო, რამდენჯერ მომხვედრია მის გამო. დააშავებდა რამეს და უნამუსოდ, საოცარი ოსტატობით ატირებული, თითს ჩემკენ იშვერდა... მე კი სულელი, თავჩაღუნული მორჩილად ვიბრალებდი ანაბელისეულ გმირულ საქციელს და სასჯელსაც საკადრისს ვიღებდი.

ჩვენს მეზობლად მოხუცი ქალი ცხოვრობდა. ყოველ დილას აივანზე, სუფთა ჰაერზე გადმოდგებოდა ხოლმე და სიგარეტის კვამლის ბურუსში ძირავდა ფიქრებს... ნიკოტინისგან დაკოჟრილი თითები სულ მთლად გაყვითლებოდა. ეს ყოველივე კი, რაღა თქმა უნდა, ანაბელს არ გამოჰპარვია... მოკლედ, ეს ჩვენი მწეველი „მელანო“ ხშირად გვაგზავნიდა სიგარეტის საყიდლად. მორიგ წასვლაზე ეს მისია ანაბელს დააკისრა, მე კი, რაღა თქმა უნდა, მორჩილი პაჟივით ამკიდეს ანაბელს.

– ჟან, ნუ ბუზღუნებ. წამოდი, თან რაღაც მოვიფიქრე და გეტყვი.

– არ მინდა, ვიცი მე შენი მოფიქრებული, ბოლოს ისე იზამ, რომ მაინც მე მომხვდება.

– ჟან, რა გოგოსავით იქცევი, ჩქარა გამოადგი ფეხი!

– მოვდივარ... და გოგო შენ ხარ!

– ოჰ, ახალი ამბავი!. დიდი ხანია შეამჩნიე, ჟან, რომ გოგო ვარ?

– ნუ დამცინი და იარე რა!

– სულელო!...

– სულელი შენ ხარ!

– კარგი, ვიყო, მაგრამ შენ უფრო, უფრო სულელი ხარ. აი პიერო გჯობია, ნახე... პიერო პიეროო, მოდი მოგეფეროო... პიერო, ჟანი ხომ სულელია? (კი.. კიი) აი, ხომ ხედავ? თავს აქნევს. ესე იგი ხარ!

– გაგებუტე.

– კარგიი რა, ჟან, ვიხუმრე, ჟან, იცი რა მოვიფიქრე?

– ოღონდ ეგ არა ღმერთოო, შენ რას ნაღვლობ? მე მხვდება ხოლმე ის როზგი და საერთოდაც მტკივნეულია!

– ნუ გეშინია, ვიტყვი, რომ მე გავაკეთე.

– კარგი, რა მოიფიქრე?

– მოდი, სიგარეტის ღერებში ასანთის ღერი ჩუმად ჩავუწყოთ, ისე, რომ ვერ დაინახოს და რომ მოუკიდებს, ცეცხლი მოედება და იმ ბებრუხუნულ სახეს დაიწვავს.

– გიჟი ხარ შენ, გიჟიიი.

– რა გაცინებს? მოგეწონა ხომ? ჰმ... მოეწონა ბიჭს...

– კი, მაგრამ მერე სიგარეტის კოლოფს გახსნილს თუ მივუტანთ, მიგვიხვდება.

– ღმერთო... პიერო, ჟანი ვინ არის?

სუ-ლე-ლი... აბა, თქვი სუ-ლე-ლი... როგორ და, სულელების მეფევ ბატონო, კოლოფს ისე გავხსნი და დავაწებებ, რომ ვერაფერს მიხვდეს. ჟან, დედა თხილს გაჭმევს ხოლმე?

– არა. მიმალავს... ეგ რა შუაშია?

– უთხარი, არ დაგიმალოს, ტვინი გამოგლაყებია და გჭირდება, იქნებ რამე გეშველოს!

– ანაბელ! იცოდე ხმას აღარ გაგცემ!

– კარგი, კარგი, ბოდიში!...

ანაბელმა საოცარი ოსტატობითა და ეშმაკური მოხერხებულობით გახსნა კოლოფი, სიგარეტში დიდი სიფრთხილით მოათავსა ასანთის ღერები და ისე შენიღბა და შეაწება, წუნს ვერ უპოვიდით, მერე კი მკვირცხლად მიურბენინა ბებერ „მელანოს“ და შორიახლოს ჩამოჯდა სანახაობის მოლოდინში. თვა-

ლებში ჭინკები ჭიაკოკონობის ღამის კოცონზე დახტოდნენ, ნეტავ გენახათ, როგორ გაფაციცებით და ანთებული თვალებით ელოდა, როდის გაუკიდებდა ჩვენი „მელანო“ სიგარეტს...

– ჟაან. ჩქარა! ჩქარა! გახსნა, უკიდებს...

და „მელანომაც“ არ დააყოვნა...

– ვაიმეეეე დედა, მიშველეეთ დავიწვი!.. ოხ, თქვე საზიზღრებო!!!

მთელ სახეზე და ჭაღარად შევერცხლილ თმაზე „მელანოს“ ცეცხლის ალი უგიზგიზებდა, ანაბელი კი გიჟივით გაიქცა და თან სიცილით იგუდებოდა...

– ჟან, გამოიქეცი! მალეეე!

– ანაბელ, რომ მეცინება, ვერ დავრბივარ.

– ჩქარა, თორემ მაგ სიცილს ტირილად შეგიცვლიან, თუ დაგიჭირეს.

ატყდა ჩოჩქოლი და ერთი ვაი-ვიში, მთელი სამეზობლო ვერცხლისფერ ჭაღარას წყლით აქრობდა...

– მიშველეთ ქალებო, იმ საზიზღრებმა მომიწყეს ოინი... დედა, დედაა, როგორ მეწვის.

– დამშვიდდი დეიდა... მალამო მაქვს ისეთი და ისე გიამებს, რომ ქორწილამდე დაგავიწყდება.

– უი შე მატრაბაზო, შენ არ მოესწარი ჩემს ქორწილს.

– ვეცდები, როგორმე.

– ღმერთო, შენ მიხსენი ამ თითისტოლა ეშმაკებისგან. არა, არ გამიმწარეს სიბერე? ხალხო, გამიგონია ასე? ოჯახში ზრდით ამ შეჩვენებულებს თუ ჯოჯოხეთიდან გამოგყავთ გამოსამზეურებლად!

– არა, ისე ქალბატონო, რას ერჩი მაგ ბავშვებს? მთელი ცხოვრებაა, სიგარეტს შენ წვავ და ერთხელ რომ მაგანაც დაგწვას, რა გასაკვირია!

– უი, შენ დაგწვა მამაზეციერმა, ხოო... ყველაფერზე რომ ენა წაგიგდია, იღრიჯები, შე სასიკვდილე.

– ჰოო, კი ჩანდა, ვინ იყო სასიკვდილე, ალმოდებული კოცონივით მე ვგიზგიზებდი თუ შენ?

– მომშორდი, თორემ ცეცხლს წაგიკიდებ!

– შენ, რომ გეკიდა, რა ხეირი?

– ხალხო, გამარიდეთ ეს იმათზე მეტი მაჯლაჯუნა, თორემ შემომაკვდება!

– კარგი, ბიჭო, რა დაგემართა, ცოდოა ქალი!

– ცოდო ეგ კი არა, ბავშვები არიან, ბატონო. იხუმრეს ბავშვური სიანცით და თქვენ კი ქალმოტაცებული მდევრებივით დაედევნეთ გასალახად. იცოდეთ, თითი არ დააკაროთ!

სულელებივით ვიცინოდით და თან გავრბოდით, მაგრამ რას გავხდებოდით? ანდა როდემდე ვირბენდით ასე დაუსრულებლად, მდევარიც უმალ მოგვეწია და გზადაგზა ყურებაწეული და ტყეპა-ტყეპით წარვსდექით სამსჯავროზე...

– რომელმა მოიფიქრეთ?!

– არაფერი მოგვიფიქრებია ჩვენ, ამან გაგვაგზავნა და მოვუტანეთ, რა ჩვენი ბრალია.

– ანაბელ! სიმართლე თქვით ეხლავე, თორემ ორივეს მაგრად მოგხვდებათ!

– ორივეს?

– დიახ! ორივეს!

ავის მომასწავლებლად დაფიქრდა ანაბელი, ისევ ისე აუცეკვდნენ ჭინკები თვალში და ეშმაკური ღიმილიც დასთამაშებდა მის ჭორფლიან, თოვლივით ფითქინა სახეს...

– ჟანი იყო... ასე მითხრა, ვერავინ გაიგებსო და კიდევ ასე თქვა, შენ ნუ გეშინია, არ დაგაბრალებო.

იმ ღამეს მუცელზე ვიწექი, ცემატყეპისგან შეწითლებული დუნდულები ზამთრად ანთებული ბუხარივით გიზგიზებდა, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე და ერთადერთი, რაც იყო, ის მსურდა, რომ ანაბელის თავზე ღერაღერა დამეწიწკნა ის ჟღალი კიკინები. ტირილით და ტკივილით ღონემიხდილს

გამთენიისას ჩამეძინა, ერთთვიან სასჯელად კი სახლში გამომწყვდევა მომისაჯეს. მხოლოდ აივნიდან ვადევნებდი თვალს, როგორ ომობდა ჩვენი ეზოს ბოთლებით შეიარაღებული კავალერია და ჩემს ადგილს როგორ მოსკუპებულიყო ის კაპარჩხანა, ჟღალი, გაჩხინკული ეშმაკისფეხი, სახელად – ანაბელი.

მაშინ, როცა ჩემი სასჯელის ვადა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ერთ მორიგ, სიცხით შეღონებულ დილას კარზე ზარი გაისმა...

– გამარჯობათ.

– გამარჯობათ. შინ შემობრძანდით.

– არა არა, გმადლობთ. შეიძლება რაღაც გთხოვოთ?

– კი რა თქმა უნდა! ბრძანეთ.

– თუ კი შეგიძლიათ, ანაბელს რომ მიმიხედოთ. იცით, მე და მეუღლეს გადაუდებელი საქმე გვაქვს, ვერსად ვერ ვტოვებთ და ვიფიქრეთ, ჟანთან ერთად გაერთობა. საღამოს დავბრუნდებით... შეიძლება, დაგიტოვოთ ანაბელი?

– კი გენაცვალე, სიამოვნებით.

– მადლობა. საღამომდე!

– საღამომდე!

– ჟაან, გომოდი, სტუმარი გვყავს!

– ანაბელ?

– ბოდიში, ჟან... მაპატიე!

– ბოდიში, ხო... იცი, კი როგორ მცემეს?

– მაპატიე... რა მექნა, ასე თქვეს, მოგხვდებათ ორივესო და... შენ ხომ არ გინდოდა, მეც მომხვედროდა?

– არა...

– ხოდა, გამოდის, რომ შენზე ვიზრუნე.

– კარგად კი იზრუნე, სულ დამიწითლეს.

– რაა, ჟან?

– ოოო... შემეშვი.

– გთხოვ, გთხოვ, მითხარიი.

– რა და... ისა...

– ჰმ. თქვიი!

– დუნდულებიი!

– ვაიმეეე, ჟაან!.. ეხლა ვეტყვი დედაშენს, რომ ცუდი სიტყვა იხმარე და ნახე, რა გიყოს!

– ანაბეეელ!

– კარგი, კარგი... რა სულელი ხარ ჟან. ჩემი სულელი ჟანი...

მთელი დღე თამაშში მიილია, ეს იმ სასჯელად მიღებული თვის ერთადერთი საუკეთესო, მარგალიტად ქცეული დღე იყო ჩემი ბავშვობის მოგონებიდან, ეხ როგორი სიალალით და სისუფთავით სავსენი ვიყავით. ხშირად მახსენდება ხოლმე ბავშვობის წლები და გული მწყდება, ასე უგზო-უკვლოდ რომ ნელდება ადამიანებში ის სიალალე, რასაც ბავშვობის სისპეტაკე ჰქვია...

შებინდებულს ჩვენი სადარბაზო, ეზო და სამყარო მწუხრმა მოიცვა. მაშუქებით მოციმციმე, ორი მანქანით შემოასვენეს ანაბელის მშობლების გვამები, ტირილსა და გოდებას წაელეკა ირგვლივ ყველაფერი, ანაბელი კი... მოღრუბლული შუბლითა და ფითქინა სახით, მდუმარედ იჯდა დედას კალთაში და უცრემლოდ ტოროდა...

თქვენ არ იცით ან რა იცით? ანაბელი ასეთი არავის, არასდროს არ უნახავს. ეს სიცოცხლით სავსე ონავარი, ჟღალი, გაჩხინკული, კაპარჩხანა, ეშმაკისფეხი ციდან მოფრენილი, შეციებული ანგელოსივით, მდუმარედ იჯდა და ბედის სიმუხთლისგან იტანჯებოდა....

დასრულდა ბავშვობა, დასრულდა ჩემი ცისატყელას შვიდ ფერად ცის კიდეზე შეხიდება, წარსულმა წაიყვანა ყველა იმ სიხარულის მარცვალი და ის ალუბლის ხეც კი შეხმა თვალსა და ხელს შუა, რომელიც ბავშვობის ვეებერთელა ტილოზე ცხოვრების წლებს მიფერადებდა...

წაიყვანეს ჩემი კაპარჩხანა, ჩემი ანაბელი... გაქრა ისიც და საგზლად ჩემი ბავშვობაც თან გაიყოლა. ღმერთო, რამდენჯერ სიზმრად მივლია მთა-მთა და მიძებნია ჩემი ჟღალი ოცნება. ყოველ გამოღვიძებაზე ვცდილობდი, ძა-

ლად დამეძინა და ისევ მის საძიებლად გავდგომოდი შარაგზებს...

ასე გადიოდა წლები, დრო თავისი შეუვალობით წარსულს აბარებდა მოგონებებს. მხოლოდ მაშინღა თუ გავიხსენებდი ანაბელს, როცა საოჯახო ალბომში წამის მარადიულობად ნაქცევ კადრს შევავლებდი ხოლმე თვალს და გული დამიმძიმდებოდა...

მალე სიჭაბუკის დიდებული ხანაც დადგა... ჰორმონების სხეულში შეგრძნებებედ აფეთქებამ თავისი გაიტანა, ჰო და მეც, როგორ ყველა ნორჩმა მემარჯვენე, პროფესიული განვითარებისთვის, შანზ-ელინზეზე გავეშურე და საიქიოში მდებარე ელისეის მინდვრებთან, სადაც სათნო სულები ბინადრობენ, ერთ-ერთ საროსკიპოს მივაკითხე.

მაშინ სექს მუშაკის სარგო სულ რაღაც ოცდაათი (უწინ ვერცხლს და აწ უკვე) ევროს შეადგენდა. განკუთვნილ ოთახში შესვლისთანავე ზურგით მდგარ ქალს მივუახლოვდი, რომლის სილამაზისგან დაბნეული მონუსხული ვიდექ და გონს ვერ მოვსულიყავი, შემდგომ რა უნდა მექნა. ალბათ, ჩემი არაპროფესიულობით შეწუხებულმა ვეღარ მოითმინა და შემოტრიალდა... ღმერთო ჩემო!.. თვით აფროდიტე იდგა ჩემ წინაშე, ზღვის ქაფიდან შობილი.

შავი გრძელი პენუარი უმშვენებდა სითეთრით შეფერილ სხეულს, მოკლე ფრანგული კოლგოტები კი წარმოუდგენელ სექსუალურობას მატებდა და გონს ნებისმიერ მამრს დააკარგვინებდა. პარიზული მაქმანებით შეკერილი საცვალი კი სინაზით დასდებოდა ადამიანთა მბად ყელს და ვნების კორიანტელში ხვევდა საალერსოდ გახელებულ სულს...

– ახლოს მოდი!.. უფრო ახლოს!.. კიდევ!..

– რა გქვია?

– ჟანი...

– ჟანი? ჟანი... შეიძლება სხვა სახელი დაგიძახო?

– კი.

– კარგი, მაშინ პიერო იქნები!

რამდენი წლის ხარ პიერო?

– ცხრამეტის.

– მეც. ტოლები ვყოფილვართ, პიერო! და რა გაცინებს, პიერო? სასაცილოა ეს სახელი?

– არა, უბრალოდ, პიერო... ჩემს ძაღლს ერქვა ეს სახელი... შენ რა გქვია?

– მე? მე... ანა...

ქალი მოწყვეტილი, გულშეღონებული დაენარცხა იატაკზე. შეშინებული ვეძგერე და სახეში გამეტებით ვურტყავდი გონზე რომ მომეყვანა... და ქალმაც, როგორც იქნა, თვალი გაახილა, გაიღიმა და მითხრა:

– ჟან, ბავშვობის სამაგიეროს მიხდი, სულელო?

– ანაბელ?!

– ჰო, ჟან, ჰო, შე სულელო, მე ვარ! შენი ანაბელი!

ემოცია ზღვად აღელდა, ყველა შეგრძნება ერთად ამიფეთქდა გულში, ანაბელს გაგიჟებით ვეცი, გულში ჩავიკარი და ისევ ბავშვურად ავქვითინდით....

– ჟაან, შე სულელო ბიჭო.

– ანაბელ... ჩემო ანაბელ...

– მართლა პიერო ხარ, ჟან... ჩემო პიერო...

რამდენიმე წუთით ასე ერთ სხეულად შერწყმული ორი სული ვისხედით იატაკზე და შეციებულ სულს ჩვენი ბავშვობისდროინდელი მოგონებებით ვათბობდით. კოცონად აგიზგიზდა, აალდა, აინთო ის სპეტაკი მოგონებები, რომლებიც იმ სანუკვარ წლებს სისპეტაკეს სძენდა...

– ანაბელ, ჩაიცვი და წამოდი.

– არა, ჟან...

– ნუ გეშინია, მე შენთან ვარ! ერთად ვიქნებით, ვისაც უნდა და რაც უნდა, ის თქვას! შენ ოღონდ წამოდი, ანაბელ!

– ვერ გაგწირავ, ჟან, არ მემეტები. საჯიჯგნად ვერ ჩაგაგდებ ხალხის გაუკუღმართებულ ხელში, ვერ გავიმეტებ

შენს სახელს სატალახოდ... მაპატიე, ჟან, არ შემიძლია. შენ ჩემი ბავშვობის ის კელეპტარი ხარ, რომელიც ჯერ ისევ ჩემს გულში ანთია. ვერ ჩავაქრობ, ვერ შევუბერავ ძალად სულს და ვერ დავასრულებ ჩემში ყველაზე დიდ სიწმინდეს, შენს სახელს, ჟან, ჩემო პიეროო... გთხოვ მაპატიე... წადი... გთხოვ წადი და აღარასდროს არ მოხვიდე, არ მომძებნო, არ იფიქრო, დაივიწყე, რომ მნახე, გესმის? წადი, ჟან, ნუ მკლავ, გემუდარები...

– უშენოდ ვერსად წავალ, ანაბელ. აქ არ დაგტოვებ! დაივიწყე ყველაფერი, გთხოვ! ჩაიცვი და წამოდი... მე ეს მინდა! მინდა, რომ საუკუნოდ მხოლოდ შენ იყო ჩემ გვერდით, წამოდი ანაბელ!..

– ჟან, მაპატიე... შენ ჩემი ერთადერთი სინათლე ხარ ამ სამყაროში, სადაც სულშიც კი უკუნი გამეფებულა! ჟან... შემინდე და მაპატიე....

– არააა!!! ანაბეეეელ!!! ანაბეეეელ!!! ღმერთოოო!!!

ანაბელის მაჯებიდან სისხლადმდენი სიწითლე ნაკადულად იღვრებოდა, მის სახეს კი სიამოვნებისგან მოგვრილი ღიმილი კვლავ ბავშვურად დასთამაშებდა... მკლავზე მინაბულ ჩვილს ჰგავდა, დედიშობილა რომ მკლავთა სავანეში გარინდულა და, ნეტარების ამარა დარჩენილს, თვალს რული უმძიმებდა... წამით უკანასკნელად ამომხედა და მითხრა:

– ჟან, პიერო ტყუოდა... სულელი არასოდეს ყოფილხარ, ჟან. მე მინდოდა, რომ ასეთი ყოფილიყავი, ჩემი სულელი, არ დამივიწყო, ჟან... გემუდარები.

თვალი მინაბა, დავკარგე ერთხელ უკვე დაკარგული ჩემი ბავშვობა, ჩემი ოცნება, ჩემი სისპეტაკე და ყველაფერი სისხლისფრად შემეღება... რა ვუყო ამ ხელებს, ბავშვობაში ანაბელისთვის ალუბლების დაკრეფით წითლად შეფერილს და ახლა ანაბელის სისხლით შეფერებას?! რა ვუყო, რა?!

ანაბელთან ერთად დაიკრძალა ბავშვობა. ეხლა, როცა ვიხსენებ, ხოლმე ვნანობ... ვნანობ, რომ მშობლებს არ ვთხოვე მოეძებნათ, ეპოვათ და ეშვილებინათ ჩემი ანაბელი. გეფიცებით, მე არ შევჭამდი იმ ღვეზელებს, ნახევარს სულ ანაბელს გავუყოფდი, მაინც არ შეემჩნეოდა, ის ხომ მაინც გაჩხინკული და კაპარჩხანა ჟღალი იყო, არც იმ კისელს და არც იმ კომპოტს არ დავლევდი, ბავშვობაში რომ დედა მიკეთებდა... ოღონდ ყოფილიყო ჩემთან, ჩემი ბავშვობა და ჩემი სისპეტაკე – ანაბელი...

წარსულთან ჰაემანი

როგორც ყოველთვის, პირველმა მე უნდა დავიწყო...

დამღალე, ორიოლო, დამღალე.

რა? ისეთივე ჯუჯღუნა ვარ და არ ვიცვლები ხომ?

კარგი ბატონო! ხმას არ გაგცემ!

ვიცი... შენი ნაჩუქარია ეს სპილენძის სამაჯური, მადლობა... კი მიხდება. მე ხომ ამქვეყნად ყველაზე ლამაზი დედაბერი ვარ ორიოლო.

რა გაცინებს? რა? არ ვარ?

დიახაც! ვარ! საუკეთესო მატრიარქი! ვინც შენს ხასიათს და შენს ღალატს გაუძლო ორიოლო.

არა... არა ორიოლო... ეგ არ მიგულისხმია, ღმერთო ჩემო, რა სულელი ხარ, მკვდარიც კი ცდილობ ისე გამოითაყვანო თავი, რომ რომალ ბატებსაც შენი გადარჩენა დაეზაროთ.

გახსოვს ორიოლო? სან პოტიტოში, პადრეს უარის მიუხედავად, ჩუმად რომ შევიპარეთ ტაძარში, საკუთარ თავს ჯვარი დავწერეთ, ღმერთო ორიოლო...

კარგი. კარგი არ ვტირი... ნუ ჯუჯღუნებ!

შენი ფიცი? ჯვრისწერის სასრულს წმინდა პეტრეს ხატის წინ, მუხლზე დამდგარმა რომ დაიფიცე... ორიოლო.

ვიცი, გახსოვს ან რა დაგავიწყებდა? შენ ხომ მთელი დედამიწის უმშვენიერესი ქალის წინ მუხლმოდრეკილი იდექ!

ორიოლო...!

ნუ იცინი, თორემ გაგებუტები, მერე რა, რომ გაისად 96 წელი სრულდება, რაც დედამიწა ჩემს ბებრულ, უშენობით გაწამებულ სიცოცხლეს იტანს ორიოლო... მაინც ავდგები და ტუჩებმოპრუწული სახით გაგებუტები!

მაპატიე ორიოლო... სულ დავჩაჩანაკდი, ვერ მოვახერხე შენი საყვარელი პიცის მომზადება, ამიტომ ჭიქა ღვინოს და წარსულად ნაქცევ იმ მოგონებებს დავჯერდეთ, რომელიც აწმყოს მიდიდებულებს.

აა ღალატი? ჰო... ის ფიცი... შენ ხომ დაიფიცე, რომ მარტო არასოდეს დამტოვდი ორიოლო! სად ან რატომ წახვედი? რატომ დამტოვე? რატომ გატეხე ხატის წინაშე ფიცი ორიოლო? იცი რა ძნელია უშენობა? ყოველი დილა უშენოდ ნათებები და ღამე! ღამე ორიოლო! ყოველ წუთს, როცა სანთელს გინთებ სურათთან, ღმერთს ვთხოვ, რომ მალე წამომიყვანოს შენთან, ჩემო ბუზღუნა ბებერო. დასრულდეს ეს სამარადჟამოდ ნაქცევი ყოველდღიური სიმწარე, რომელიც შენი ფიცის გატეხვით მომანიჭე ორიოლო...

მეც მიყვარხარ...

ისევ ყალიონი, კარგი რა ორიოლო! ახლა მაინც შეეშვი ამ კვამლში ცხოვრებას!

ვიცი... ვიცი... სული ხარ და როგორ მოწევ? მადლობა, რომ შემახსენე, ვიცი! ვიცი, მაგრამ ვიოცნებე ორიოლო, ჩვეულად, ქალურად შემოგიტიე და წარმოვიდგინე, რომ ისევ ცოცხალი ხარ! გესმიის?! ისევ ცოცხალი ხარ ორიოლო!!!

ნუ მამშვიდებ, მიძნელდება ცხოვრება... სისულელე ყოფილა, რომ ამბობენ: დრო ყველაფერს მიგაჩვევს! დრო ყველაფრის მკურნალიაო! არა ორიოლო არ დაიჯერო. გემუდარები, არ დაიჯერო! ვერ მივეჩვიე უშენობას! ვერც დრო გამიხდა მკურნალად ორიოლოო! მენატრები და ეს მონატრება სატანჯველად მიქციე ჩემო ტკივილო...

რა? მოგწონს? ხო... შენთვის წავისვი ბორდოსფერი ბაგეზე... გახსოვს ლექსი რომ მომიძღვენი: „ბაგეს? ბორდოსფერი ღვინო გისველებდა...“

ჯანდაბა, ამ სიბერემ სულ გამომათაყვანა. ზეპირად მახსოვდა, მაგრამ ეხ... დაუძლურებულ სხეულს უგონობაც შეემატა.

ხოო? მართლა გახსოვს? კარგი... მაშინ რა მეცვა? ჰო... ის ჩითის კაბა... გვირილებით მორთული... მაშინ 25 ლირად ძლივს დავათმობინე სან პოტიტოს მკერავ ჯაკობოს.

იცი? როგორ მრცხვენოდა შენთვის თვალებში შემომეხედა, ღმერთო, ასე მეგონა, თვით მზე ამოსულიყო სულში და და ჩემი გულის დანაცვრას უმოწყალოდ ლამობდა, როცა ხელი ჩამჭიდე ორიოლოო, მუხლები მომეკეცა, მოგატყუე, რომ უბრალოდ ფეხი მეტკინა, მაგრამ შენს შეხებას ვერ გავუძელი, ვერ გავუძელი იმ ალთა აგიზგიზებას სხეულში, რომელიც ვნებად ამიჩქეფდა. შენ წინაშე უცეცხლოდ ვიღვენთებოდი, მერე... მერე ის კოცნა ორიოლო... პირველი კოცნა... აცახცაცახებული, კრთომით გეხებოდი ბაგეზე და საოცარ სიმსუბუქეში ვიძირებოდი, სულ ერთიანად მიკანკალებდა სხეული და მკერდზე კერტებიც შენი სხეულის სითბოს ლამობდა, ორიოლო...

ნუ იცინი! ხო, ვიცი, მოგატყუე, რომ შეუძლოდ ვიყავი, მაგრამ რა მექნა, შე სულელო? პირდაპირ ჩაგსვენებოდი მკლავებში და ჩემი ქალური სიმორცხვე არარად ჩამეგდო? ამიტომაც მოგატყუე.

უკვე დროა?

ცოტა ხანს დარჩი ორიოლო...

კარგი... ნუ ნერვიულობ, დავლევ, არ დამავიწყდება... ან რა დამავიწყებს, იმ აბის გარეშე მთელი დღე რეტდას-

ხმული დავდივარ... ღმერთმა დასწყევლოს ეს სიბერე...

ორიოლო, კვლავაც მოხვალ?

იცი? კვლავაც ვიშოვნი ერთ ბოკალ ღვინოს და ჩვენი გაცნობის დღის აღსანიშნავად, ალბათ, ისევ შენი საყვარელი პიცის გარეშე, კვლავ მივუჯდები სუფრას და უწინდებურად მოგიალერსებ, ჩემო ბიჭო...

მიყვარხარ ორიოლო...

მშვიდობით... ორიოლო....

საკურა და ჰანამის დედოფალი ანუ „მა ჯო"

იმ ხანად, როცა კედლის კალენდარზე ფურცელს ფურცელი მიჯნით აკლდებოდა, ჩემში მოუთმენელი აღტკინება დღითიდღე მიმძაფრებდა შეგრძნენებს. თითქოსდა ხიბლი სარბიელს ლამობდა და სურდა, რომ სხეულს შერჩენილი, ყოველი მისხალი გრძნობისა, ცის კაბადონზე მოკაშკაშე ვარსკვლავებად აეკიაფებინა, ამ დიდებულებით ტკბობას კი განსაკუთრებულ ელფერს სძენდა აპრილის მოლოდინი.

და აი, ისიც! კალენდარზე მაისის თვის უკანასკნელი დღეც მიილია და მთელ იაპონიაში ტრადიციად ნაქცევი ყვავილთ ტკბობის, „ჰანამის" წარმოუდგენელი ჟამი გამიაპრილდა.

მყისვე შევაკოწიწე ყველა ის ნივთი, რომლებიც მხოლოდ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა და ჩემი არცთუ ისე დიდი ცისფერი „ჩემოდნის" ამარა იაპონიას გავეშურე...

სიმართლე გითხრათ, მსგავსი ბედნიერება ჯერ არ განმიცდია. ფიქრი იმაზე, რომ იაპონური საკურის ყვავილობა ჩემ თვალწინ ედემად წარმოჩინდებოდა, უფრო და უფრო მიჩქარებდა პულსს. ფიქრი გულის კედლამდე მწვდებოდა და ურჩად მიედინებოდა ვენებში. გზადაგზა ჩქარი დინებით, ენდოფრინებად გარდაიქმნებოდა და გულთან ერთად ზაფხულობდა.

ალბათ, ეს ყოველივე იმდენად ხილვადი იყო, რომ გამოცდილ ბორტგამცილებელს ყურადღების მიღმა არ დარჩენია... ამ ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც უნიფორმაში გამოწყობილი ასული მომღიმარი სახით მეკითხებოდა:

– სერ, წყალს ხომ არ ინებებთ?

– არა გმადლობთ!

– დარწმუნებული ხართ, სერ?

აშკარა იყო, რომ არ სჯეროდა ჩემი და დაჟინებული მზერით ცდილობდა, ამოეხსნა ჩემში ღრმად ჩამარხული მიზეზი აღტკინებისა. მეც ჯიუტად, ქართული გაუტეხელობით, ფარხმალდაუყრელად ვიბრძოდი ჩემი სიტყვის დასაცავად.

– კი!

– კარგით, სერ, თუ რამე დაგჭირდეთ, თქვენს სამსახურში მიგულეთ.

თანხმობის ნიშნად მოკრძალებულად გავუღიმე და ისევ ჩემს ნავსაყუდელზე, ფიქრად ქცეულ ოცნების სანაპიროზე ღუზა ჩავკიდე... რატომღაც ჩემმა გონებამ ბავშვობის სანუკვარ წლებში დამაბრუნა. გამახსენდა ის დღე, როცა გეოგრაფიის მასწავლებელი იაპონიაზე გვესაუბრებოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ განსაკუთრებულად იხსენებდა ისტორიებს და დროდადრო ბაგის კუთხეში ღიმილი ებადებოდა. ახლაც კი მახსოვს მისი მონათხრობიდან თითოეული სიტყვა, რამაც გულის ფიცარზე ამომიტვიფრა ჩემი „ჰანამა".

თურმე ეს ტრადიცია ნარას ეპოქიდან იღებდა სათავეს (710-784 წ.) და არათუ ალუბლის ყვავილობას, არამედ ქლიავის ხის ყვავილობას ნიშნავდა, თუმცა უკვე ჰაენის ეპოქიდან საკურას მიმართ გაჩენილმა ინტერესმა, იაპონელების და მათ შორის ჩემს გულშიც სამარადჟამო ბინა დაიდო. ყოველი ჰანამის დამდეგს, ტრადიციის თანახმად, საკურას ყვავილობისას ხის ძირში შეკრებილი იაპონელი წყვილები ამ საო-

ცარი სიდიადით ტკბებოდნენ და მუხლმოდრეკილი კაცები მიჯნურებს სასიყვარულო ლექსებს უკითხავდნენ... ღმერთო ჩემო!.. რამდენჯერ! ირეალურ ცნობიერებაში, ჰანამის დამდეგს, ტრადიციის თანახმად, საკურას ყვავილობისას, ხის ძირში მუხლმოდრეკილს წამიკითხავს ლექსი ჩემი დედოფლისთვის... რამდენჯერ, ბედნიერებით აღვსილს, ოცნებით გართულს, ფიქრის სასთუმალზე ჩამძინებია. ახლა კი? ახლა კიი! სულ რამდენიმე საათი მაშორებდა ჩემი ოცნების რეალობად ახდენას და ჰანამით ტკბობას.

კარგით! ვიცი, ვიცი, ვიციი... იტყვით, რომ უდედოფლოდ საკურა ვერ იყვავილებს, მაგრამ, იცით რა? მე ჩემი ბავშვობა არ დამითმია! არ დამითმია ოცნება! და ვერ დამითმია ლანდად ქცეული სილუეტი იმ დედოფლისა, რომლისთვისაც არაერთხელ მუხლმოდრეკილს ლექსის თქმაც კი შემიბედავს!..

როგორც იქნ ჩემი ოცნებისკენ მფრინავი რკინის ფრთოსანი მიწას შეეხო და გახარებულმა სირბილით ჩავირბინე ტრაპი, სასწრაფო წესით დავბინავდი და გეზი, რაღა თქმა უნდა, ჩემი ოცნების ახდენისკენ ავიღე.

უამრავი ხალხი შეკრებილიყო ამ დიდებული დღესასწაულის აღსანიშნავად. წყვილები ალუბლის აყვავებული ხის ქვეშ თვალებში ნეტარებით შესცინებდნენ ერთურთს. კიმონოთი მოსილი ქალები საოცარ კლდემას ჰფენდნენ არემარეს და თითქოს ეს უტყვ გეიშათა ჯარი სამყაროს საუკუნეების წინ ტრადიციად ქცეულ დღესასწაულს, სხეულის ენით, აწმყოში მთელი დიდებულებით აცოცხლებდნენ.

იქვე, შორი-ახლოს, საკურას ხის ქვეშ, თვალი მოვკარი ასულს, რომელიც მოწყენილი, დარდით აღვსილი შესცქეროდა აყვავებულ ყვავილებს და, მათთან უსიტყვო საუბრით გართული, სულს იგაზაფხულებდა. უნებურად მისკენ გავეშურე, რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო ემსგავსებოდა მისი სილუეტი ჩემს ოცნებებში ნაწრთობ ლანდს. ღმერთო!.. წარმოუდგენლად ლამაზი და სათნო სახით მომზირალი შესცქეროდა საკურას და მოხდენილად, ნატიფი თითებით ეფერებოდა ხეზე აფეთქებულ ყვავილებს და ჩემში „ჰანამის“ ნეტარებით განცდილ შეგრძნებებს ადიდებულებდა.

ვერ მოვითმინე და მისვლა გავბედე... ანდა როგორ უნდა მომეთმინა? როცა ჩემი ოცნების დედოფალი თვალწინ მედგა და ჩემს სამყაროს მისი სილამაზე ატუსაღებდა.

– ნამასტე.

– ნამასტე.

– რა გქვიათ?

– მა კო. თქვენ?

– არ ვიცი, არ მახსოვს... შეიძლება, უბრალოდ ლექსი წაგიკითხოთ?

სულ ავირიე, ღმერთო ჩემო! ჩემში მარტმა იამინდა, მისი სილამაზით დაბნეულს, ჩემი სახელიც კი დამავიწყდა. ქალმა მორცხვად გამიღიმა და ეს ღიმილი თანხმობად მივიჩნიე, ამიტომ, ყოყმანის გარეშე, მის წინ მუხლი მოვიყარე და თხრობა დავიწყე:

ჰანამის დამდეგს
შემომისახლდა შენზე ფიქრები,
კვლავ ისევ ჰყვავის ტიკანოუში
ჩემი საკურა.

ისევ ვარდისფრად გამითოვდა
გრძნობა ფარულად,
ჰანამის დამდეგს გული მევსება
დარდის ალებით,

თითქოს იმ ბაღში მელოდები
ცოდვის დავთრებით,
მე კი – სულელი,
კვლავ საკურას ყვავილობისას
საკით დავთვრები,

შევხსნი კიმონოს
უღერღილოდ მოჭერილ ქამარს

და მოგიყვები ჩემ შესახებ
ყველაზე მთავარს!

გამითოვდება ვარდისფერთა
ყვავილთ ნაფიფქი
და გაიშლება ირგვლივ
აზრი, შენზე ნაფიქრი.

ჩემ წინ იდგები –
ვარდისფერ ფიფქთ უტყვი გეიშა,
მე კი, ეს ღამე
უბიწობის სიძვად მენიშნა.

ჰანამის დამდეგს
შენზე ფიქრმა სევდა მაპკურა,
და ისევ ჰყვავის ტიკანოუში
ჩემი საკურა,

ისევ ვარდისფრად შეგემოსა
სახე ფარულად,
მინდა შენს ფიქრებს მევ ავენთო
ცეცხლის ალმურად!

დავასრულე თუ არა თხრობა, უნებურად ქალს ავხედე. ის... ის ტირიოდა. მიწას ნაპკურები მისი ცრემლები ალუბლის ხის ფესვებს სევდით ასაზრდოვებდა. მონუსხული იდგა ჩემ წინაშე და თრთოდა ისე, როგორც ზამთრის სუსხში მერცხლის ბუდეში მობუზული ციცქნა ბელურა ჩიტი...

აკანკალებულმა უპიდან ცრემლი ნატიფი თითებით შეიმშრალა, გამიღიმა, მიბრუნდა და ჩემდან წავიდა...

ასულს მეგზურად ჩემი გრძნობები მისდევდა და, მის ნაბიჯებს, ქედმოხრილი, ფიანდაზად ეგებოდა. მე კი – სულელი... შევცქეროდი უძალოდ, თუ როგორ სრულდებოდა ნანატრი „ჰანამა“, როგორ მშორდებოდა ჩემი ოცნების დედოფალი და ახდენილი სიზმარი...

სახელად: მა კო





ბესიკ ლაგვილავა

შეხვედრა პიტერ პენთან

რომ გითხრათ, დღეს პიტერ პენს შევხვდი-მეთქი დაიჯერებთ?!

რა თქმა უნდა, არა! არ დაიჯერებთ, მაგრამ რა ვქნა. თქვენი უნდობლობის მიუხედავად, თუკი მაინც გეტყვით, რომ შევხვდი?!

თუმცა არა, თავიდან მკვდრეთით აღმდგარი ჯენის ჯოპლინი მეგონა!

სულ თავიდან კი, როცა საიდანღაც ფლეიტის ხმა მომესმა, ვიფიქრე, რომ რომელიღაც გაჩერებული მანქანიდან მოდიოდა. და უცებ... ჯენის ჯოპლინი!

მე კი არა, ჩემი კოკერსპანიელი ჩარლიც კი, რომელიც ვერცხლისწყალივით არის და რომელსაც ვერ გააჩერებ, გაოცებული შედგა!

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ქუჩაა ბუხაიძის ქუჩა, სადაც დილით დავრბივარ ან ძაღლს ვასეირნებ ხოლმე, თუმცა, აქედან თბილისის ყველაზე ლამაზი ხედები მოჩანს და ხშირად აქ ხდება უცნაური ისტორიები, რომლებზეც ხანდახან ვწერ. აქ მითვლიდა გუგული დარჩენილ წლებს, აქედან ვაკვირდებოდი ქალაქის სიკვდილს, როცა კომენდანტის საათი გამოცხადდა, ამ ქუჩის სიახლოვეს შემხვდა, შუაგზაზე გაჩერებულ მანქანაში მჯდომი იდუმალი ქალი, რომელიც დილის 09:00-ზე, ამ შუა გზაზე გაჩერებულ მანქანაში, კავარადოსის არიას უსმენდა... დილის 9 საათზე კავარადოსის არიას, შუა გზაზე გაჩერებულ მანქანაში... აქ ტრენაჟორებზე ვარჯიშისას ვაკვირდებოდი ნარკორეალიზატორის წარმატებულ კარიერას, რომელმაც „შპაკლით“ აჭრელებული MINI ერთ წელიწადში შავ სპორტულ BMW M5-ში გაცვალა... და ვინ იცის, ამისთვის რამდენი ოჯახი დაღუპა... აქ ვნახე ტროტუარზე ცარცით დაწერილი შეყვარებულთა ჩხუბის და შერიგების Love story, რომელზეც ჰოლივუდში ოსკარის ნომინანტ ფილმს გადაიღებდნენ და აქ შემხვდა ნაგვის ურნებიდან ნაკვები პოეტი, რომელიც საკუთარი საფლავის ქვისთვის ეპიტაფიას წერდა... ის გათავებული კაციც, რომელმაც ხარების მილოცვისას მიპასუხა: რა უნდა მიხარო-დესო! აქ მხვდებოდა ყოფილი „დინამოელი“, მუდამ ნაღვლიანი და ოდნავ ეშმაკური სახის მქონე კაცი, რომელმაც სამთარობო ინტრიგების შესახებ საიდანღაც ყოველთვის ყველაფერი იცოდა და ამაზე საუბრისას მუდამ ირონიულად იღიმებოდა და ამიტომაც ჩემს მეფისტოფელს ვეძახდი! ის მოკვდა და დავწერე კიდეც – ჩემი მეფისტოფელი მოკვდა!

გარწმუნებთ, საინტერესო ადგილია! თუ მწერალი ხართ და თქვენი ნოველებისთვის ვერაფერ საინტერესოს იპოვით, ქალაქის ულამაზესი ხედებით მაინც დატკბებით!

დღეს აქ მოულოდნელად ჯენის ჯოპლინი გამომეცხადა!

ბუხაიძის ქუჩაზე, რკინიგზის ლიანდაგების გვერდით, ფიჭვების კორომში, შურდულის ჯოხივით ორადგაყოფილი ფიჭვის შუაგულში, როგორც ტახტზე, ისე იჯდა ჯენის ჯოპლინი. წელს ზემოთ ტანით ორადგაყოფილი ხის ერთ ვარჯს ეყრდნობოდა, ფეხები მეორეზე ჰქონდა შემოწყობილი და ფლეიტაზე რაღაც ნაღვლიან მელოდიას აწვალებდა!

ზუსტად ისეთი გაწეწილი თმები, როგორიც ჯენის ჯოპლინს ჰქონდა, მისი ერთ-ერთი ყველაზე გიჟური სიმღერის – Cry Baby-ს შესრულებისას ან ვუდსტოკის ფესტივალზე.

Cry baby-yyy (იტირე ბავშვო...) – იმეორებს ჯენისი, მუხლებზე დგას, მართლა ალალი ცრემლებით ტირის და თითქოს სიმღერას ეხვეწება... ეხვეწება, არ დამთავრდეო... არა, არ უნდა დამთავრება... არც შენ გინდა დამთავრდეს და ამიტომ ისევ ისევ – Cry babyyy...

ენით აუწერელი, განუმეორებელი პერფორმანსი.

გოგონას ჰიპივით ეცვა... ხაკისფერი ბლუზა და მოხაკისფრო ჯინსები, გაწეწილი გრძელი თმები.

გავჩერდი. ჩარლიც გაჩერდა და ინტერესით მიაჩერდა ხის ტახტზე მჯდომ ასე 17-18 წლის გოგონას.

ეტყობოდა, ქართველი არ იყო და საიდან ხარ-მეთქი, – ვკითხე ინგლისურად. ამ უცნაური სანახაობის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს, არ მინდოდა, რომ რუსი ყოფილიყო, მაგრამ რუსი აღმოჩნდა.

მკითხავთ, ლამაზი იყო?!

რა სულელური კითხვაა! ლამაზი შესაძლოა იყოს მთა, ცა, ზღვა, ყვავილი... ჯენის ჯოპლინი?! ღმერთო ჩემო, ჯენისი ქუჩაში რომ შეგხვედროდა, შესაძლოა, ყველაზე უშნო ქალადაც მოგჩვენებოდა, მაგრამ სცენაზე?! სცენაზე ჯენისი იყო დედოფალთა დედოფალი... გამომწვევად ეროტიკული, სექსის მანქანა... მას შეეძლო, თავისი ენერგიით, თავისი ტემპერამენტით, სექსუალურობით უბრალოდ დაეჩრდილა, შეუმჩნეველ, გამხმარ, ულამაზო ბუჩქად, არარაობად ექცია ნებისმიერი „მის მსოფლიო“... თუნდაც ასევე დიდი მომღერლის, თბილისში ნამყოფი კრის დე ბურგის ულამაზესი ქალიშვილი, „მის მსოფლიო“ როზანა დევისონი ან თუნდაც შეუდარებელი შავი დედოფალი – აგბანო დარეგო...

მე სცენაზე ოცდახუთი ათას ადამიანთან მაქვს სექსი და როცა კონცერტი მორჩება შემდეგ... სახლში მარტო მივდივარ, – მგონი, ასე თქვა ერთხელ ჯენისმა.

სამწუხაროა, რომ ის მაშინ შეიწირა ნარკოტიკებმა, როცა მხოლოდ და მხოლოდ შვიდი წლის ვიყავი!

ლამაზი? ახლა ყურსასმენებში ჯენის ჯოპლინს ვუსმენ, როცა კომპიუტერის ეკრანიდან თავს ავწევ და ფანჯარაში გავიხედავ, მთაწმინდას შევცქერი... ლამაზია...

ქალი?! გააჩნია ვინ და სად არის ლამაზი... ზოგი – საწოლში, ზოგიც – პლაჟზე, ზოგი – სამსხურში, ზოგი – შვილებთან, ზოგი – სცენაზე...

ის პლაჟზე ლამაზი გოგო ხშირად უკიდურესად სასაცილო და საწყალია სამსახურში, ხოლო საწოლში სექსის დედოფალი სცენაზე სამღერლად რომ აუშვა, იქ სტვენა ატყდებაა... მაგრამ, რადგან ასე დაინტერესდით, მაინც გეტყვით, ეს გოგონა ამ ხეზე უცნაურად ლამაზი იყო! უბრალოდ, ულამაზესი.

– Ты хиппи?(ჰიპი ხარ?) – ვკითხე და მან იდუმალი ღიმილით გაიღიმა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

– Дженис была хиппи. Впрочем, скорее битник (ჯენისი ჰიპი იყო, თუმცა, ალბათ, უფრო ბიტნიკი), – ვუთხარი და მივხვდი, რომ მან არაფერი იცოდა ჯე-

ნის ჯოპლინის შესახებ და ავუხსენი, რომ ჯენისი მომღერალი იყო, რომლის მსგავსიც იშვიათად გამოსულა სცენაზე.

ჰიპებიც გამიგია და ბიტნიკებიც, მაგრამ არ ვიცი, რა განსხვავებაა მათ შორისო და პასუხში მომინდა, თან ისიც გამომეხატა, რომ იმის გამო, რასაც უკრაინაში სჩადიან, რუსების მიმართ დიდი სიმპათიით არ ვიყავი განწყობილი, თან თავიც მომეწონებინა ცოდნით და ვუთხარი, რომ ჰიპებს სჯეროდათ, რომ სამყარო შესაძლოა, უკეთესი გახდეს, ხოლო ბიტნიკებმა იცოდნენ, რომ სამყარო არასდროს გახდება უკეთესი და ამიტომ იქ გააგზავნეს სამყარო, სადაც უკრაინელებმა რუსული სამხედრო ხომალდი და დაუოკებელი დროისტარება, ორგია, ნარკოტიკები და სასმელი გაიხადეს გასართობად-მეთქი!

გამომადგა კერუაკი – ბიტნიკი მწერალი, რომლის ორი რომანიც ორიოდ წლის წინ წავიკითხე!

გოგონამ ყურადღებით შემომხედა, „რუსული გემის“ ამბავი, ეტყობა, მაინცდამაინც არ ესიამოვნა და ფლეიტაზე ნაღვლიანი მელოდიის წვალება განაგრძო.

შემდეგ, ნარკომანი არ ვარო... მითხრა მოკლედ! დიახ, ასე თქვა – я не наркоманка! თუმცა რუსულ ხომალდზე არაფერი უთქვამს. მივხვდი, რომ „რუსკი კარაბლის“ თემით ვაწყენინე, ჩარლისაც მობეზრდა ეს დიალოგი და მექაჩებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, გზა გამეგრძელებინა. ამ დროს უცებ ფლეიტა მოიშორა და მითხრა!

– Я никогда не слушала песни Дженис Джоплин. Но я согласна - мир страшен. Вот почему я не хочу взрослеть! Я хочу остаться ребенком! Я Питер Пэн (მე არასდროს მისმენია ჯენის ჯოპლინის სიმღერებისთვის, თუმცა ვეთანხმები – მსოფლიო საშინელია. ამიტომაც, მე არ მინდა გავიზარდო! ბავშვად დარჩენა მინდა! მე პიტერ პენი ვარ.), – თქვა და ფლეიტაზე იმ ნაღვლიანი მელოდიის წვალება განაგრძო.

შევხედე მის გაწეწილ თმებს, სადაც რაღაც მძივებივით ჰქონდა ჩაბნეული, ფლეიტას, რომელიც ხელში ეჭირა და გამახსენდა ფილმი პიტერ პენსა და ბოროტ კაპიტან კაუჭაზე, რომელსაც ალბათ თხუთმეტი წლის ან კიდევ უფრო მეტი წლის წინათ ჩემს უფროს შვილებთან ერთად ვუყურე.

გამახსენდა პიტერ პენი, რომელსაც ბავშვად დარჩენა სურდა... ვიფიქრე, რომ საუბარს უკან დაბრუნებისას გავაგრძელებდი და ამიტომ პასუხად მხოლოდ გავუღიმე, თუმცა, ეს მას არ შეუმჩნევია. ისევ ფლეიტას აწვალებდა!

მე და ჩარლიმ გზა გავაგრძელეთ და ასი მეტრის გავლის შემდეგ რკინიგზის ქვეშ გამავალ გვირაბთან მივედით, სადაც გუშინ რაღაც კლიპს თუ ფილმს იღებდნენ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ფანკლუბზე, შემდეგ უკან მოვტრიალდით და ვაპირებდი, რაღაც მეთქვა ამ გოგონასთვის, რომელსაც ბავშვობაში დარჩენა სურდა, მაგრამ ის უკვე აღარ იჯდა ხეზე. მე მას თვალებით ბუჩქებში დავუწყე ძებნა, შემდეგ ბუხაიძის პერპენდიკულარული, ქვევით ჩამავალი ქუჩა შევათვალიერე, მაგრამ არც იქ ჩანდა...

პიტერ პენი გაქრა. გაფრინდა..

მე და ჩარლი ჯერ ტრენაჟორებთან მივედით, შემდეგ სახლში დავბრუნდით და მე ამ ისტორიის წერა დავიწყე უცნაური გოგონას შესახებ, რომელსაც პატარად დარჩენა სურდა!

P.S. ვიღაცას შესაძლოა, მაინც მოეჩვენოს, რომ რაღაცას ვიგონებ,თუმცა ჰკითხეთ მათ, ვინც ბუხაიძის და ელენე ახვლედიანის ხევის, სამრეკლოს და კუმისის ქუჩების გადაკვეთაზე ცხოვრობს, მათაც ხომ არ შეუმჩნევიათ, „პიტერ პენი“, რომელიც თავიდან ჯენის ჯოპლინის ფანი მეგონა, რომელიც შურდულის ჯოხივით ორად გაყოფილ ხეზე იჯდა და რომელსაც ამ საშინელ სამყაროში, სადაც ბავშვების ხოცვა ყოველდღიურობად იქცა, ბავშვად დარჩენა სურდა.

ნინია კაპანაძე

ცრუპენტელა კოღო

შემპირდა და მომატყუა,
კოღომ, ცრუპენტელამ.
ასე მითხრა, ვიმეგობროთ
ამ ეზოში ყველამ.

მაგრამ თვითონ დაივიწყა,
და გატეხა ფიცი,
დამკბინა და სადღაც გაქრა,
სად, არავინ იცის.

კოღოვ, ასე რად დამკბინე
ცხვირზე, ხელზე, ფეხზე?
თუკი ვინმემ გაგაბრაზა,
ჯავრს ნუ იყრი ჩემზე.

ერთხელაც თუ მოკალათდი
ჩემს კულულა თმებზე,
აღარასდროს დაგპატიჟებ,
დაბადების დღეზე.

ციყვი

– ამდენ კაკალს რომ აგროვებ,
ვისთვის გინდა ან რისთვის?
თურმე ციყვი ემზადება,
სუსხიანი ზამთრისთვის.
ვიცი, რომ არ შეგცივდება
ჩაგიცვია ეგ ქურქი,
რას დაგაკლებს თოში, ყინვა
ან ძლიერი ქარბუქი?

სანოვაგით გამოავსე
შენი თბილი ფუღურო,
ვიცი, გინდა თოვლის ფიფქებს
უდარდელად უყურო.

გპირდები, რომ გესტუმრები,
დამდეგ შობა-ახალ წელს,
აი, ნახე, არ მოგაკლებ,
ქეიფსა და თამაშებს.

თუშეთი

მთაში მიდის ბიჭი ლუკა,
ხელში მოიმარჯვა რუკა.
ყურადღება! მე ვარ გიდი,
წინ გზა გველის გრძელი, დიდი.

მზის ჩასვლამდე უნდა ვნახოთ,
დართლო, შენაქო და დიკლო,
არ შეშინდეთ, ზაფხულია,
დღე გრძელია, ღამემ იკლო.

მთის ბილიკზე წინ მიუძღვის,
ალპინისტებს ჩვენი გიდი,
მთის და ბარის სიყვარული
გულში უდევს დიდზე დიდი.

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ

ზურიკელამ უთხრა ლუკას,
უქმად ჯდომას არ აქვს ფასი,
მოდი, ვნახოთ პლანეტები,
იუპიტერი და მარსი.

მოაგორეს ძველი კასრი,
ხერხი, დანა – ორთავ ბასრი,
კასრში კარი ამოაჭრეს,
დაახურეს თავზე თასი.

რაკეტაა მზადყოფნაში,
აიჭრება მალე ცაში.
მიესალმეთ კოსმონავტებს,
ყველამ დაუკარით ტაში!

სიზმარი

დედიკო და მამიკო,
ეს სიზმარი არ იყო,
ღამით ცაში გავფრინდით,
მე, ლუკა და მათიკო.

ვითამაშეთ მთვარეზე,
ვარსკვლავებთან ვიფრინეთ,
და ცის ყველა კუთხეში,
ვიხტუნეთ და ვიცინეთ.

თურმე, ჩვენი ლოგინი,
შეკაზმული რაშია,
დღე მიწაზე დავქრივართ,
ღამით – მაღლა ცაშია.

საქართველო

ბაბუა და ბებია,
ეს რამხელა მთებია?!
გაოცებით ვუყურებ,
მწვერვალს თოვლიც სდებია.

ეს ამდენი ჩუხჩუხა
მდინარეც კი დავთვალე,
ბებოც შემომეშველა,
გაიკეთა სათვალე.

ხან მთაში ვარ, ხან ბარში,
ყველაფერი მახარებს.
ლამაზო საქართველოვ,
გულს უნათებ პატარებს.

მოვალ ჩაგეხუტები

ძლიერ მიყვარს შემოდგომა
წითელ-ყვითელ ფერებით,
სკოლის მერე შენთან მოვალ,
ბებო, მოგეფერები.

გაზაფხულიც როგორ მიყვარს
თვალს რომ ახელს ბუნება,
სახლში რომ გაგაზარმაცებს,
გარეთ ყოფნის ცდუნება.

ცივ ზამთარში თოვლი მიყვარს,
ბებოს ტკბილი ქადები,
ცეცხლისპირთან ნაამბობი
ბაბუს ძველი ზღაპრები.

ზაფხული რომ იგვიანებს,
ბებო ნუ მებუტები,
ქარიშხალზე სწრაფად მოვალ,
მოვალ ჩაგეხუტები.



ფრენკ ო'კონორი

ჩემი ოიდიპოსის კომპლექსი

მამა ომის დროს (რასაკვირველია, პირველ ომს ვგულისხმობ) სულ არმიაში იყო და სანამ ხუთი წლის შევსრულდებოდი, ხშირად ვერ ვხედავდი, ხოლო, რასაც ვხედავდი, აღელვების საბაბს არ მაძლევდა. ზოგჯერ, გაღვიძებისას, დიდ, ხაკისფერ სამოსში გამოწყობილი ფიგურა სანთლით ხელში დამცქერიდა. მესმოდა ხოლმე, კარს რომ გაიჯახუნებდა და ქვაფენილზე სამხედრო ჩექმებს აბაკუნებდა. აი, ასე, სანტა კლაუსივით შეუმჩნევლად მიდი-მოდიოდა მამა.

სიმართლე რომ ითქვას, მიხაროდა, როცა გვსტუმრობდა, მაგრამ დილით, როცა დიდ საწოლში შევგორდებოდი, ძალიან ვიჭყლიტებოდი. ეწეოდა, რის გამოც სასიამოვნოდ მძაფრი სუნი სდევდა თან; წვერის პარსვის ოპერაცია ჩემში გასაოცარ ინტერესს აღძრავდა. ყოველი სტუმრობისას სუვენირთა მთელ წყებას ტოვებდა: სათამაშო ტანკებს, ვაზნისტარიან დანებს, გერმანულ ჩაფხუტებსა თუ კეპებს, მარკებს, სამკერდე ნიშნებსა და ყველა სახის დანარჩენ აღჭურვილობას, რომელსაც კარადის თავზე, დიდ ყუთში ინახავდა, ვინ იცის, იქნებ ოდესმე რამეში გამოგვადგესო. მამაჩემი ათასნაირ ხარახურას აგროვებდა იმის იმედად, რომ ოდესმე ყველაფერი დასჭირდებოდა, ხოლო, როცა მის ყურადღებას სხვა რამე მიიქცევდა, დედა უფლებას მაძლევდა, კარადასთან სკამი მიმედგა და მისი ძვირფასეულობა გამეჩხრიკა. როგორც ჩანს, დედას დიდად არ ადარდებდა მამას ნივთები.

ომის დროს ჩემს ცხოვრებაში მშვიდობა სუფევდა. სხვენის ფანჯარა სამხრეთ-აღმოსავლეთს უმზერდა. დედაჩემს ფარდები კი ჩამოეფარებინა, მაგრამ მზის პირველივე სხივები მაინც მაღვიძებდა. წინა დღის სადარდებელი იფანტებოდა და მეც თითქოს მზესავით ვანათებდი და ვხარობდი. სხვა დროს ცხოვრება არასდროს იყო ასეთი მარტივი, ნათელი და შესაძლებლობებით სავსე, როგორც ახლა. პიჟამოდან ფეხებს გამოვყოფდი, რომელთაც მისის მარცხენასა და მისის მარჯვენას ვეძახდი და მათთვის ვდგამდი დრამატულ სცენებს, სადაც ისინი დღის მოსალოდნელ სირთულეებზე მსჯელობდნენ, ყოველ შემთხვევაში, მისის მარჯვენა მაინც იწუხებდა თავს; ძალიან ბობოქარი

გახლდათ. აი, მისის მარცხენასთან კი უფრო რთულად იყო საქმე. იგი, როგორც წესი, მხოლოდ თავის დაკვრით შემოიფარგლებოდა ხოლმე.

მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა უნდა გვეკეთებინა მე და დედას დღის განმავლობაში, თუ რა იქნებოდა ბიჭისთვის შესაფერისი საჩუქარი სანტა კლაუსისგან და როგორ უნდა გაგველამაზებინა სახლი. ბავშვთან დაკავშირებით ერთი პატარა საკითხი გვაწუხებდა, რომელზეც მე და დედა ვერასდროს ვთანხმდებოდით. ჩვენს ქუჩაზე ერთადერთი ოჯახი ვიყავით ახალშობილი ბავშვის გარეშე. დედა ამბობდა, სანამ მამა არ დაბრუნდება, ამას ვერ გავწვდებით, რადგან ახალი ბავშვი ჩვიდმეტი შილინგი და ექვსი პენსი ღირსო. ეს იმაზე მიანიშნებდა, თუ როგორი მიამიტი იყო დედა. თითქოს არ იცოდა, ჯინების ოჯახს, ქუჩის თავში, ახალდაბადებული ბავშვი მოეყვანათ, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ მათ თექვსმეტი შილინგი და ექვსი პენსი არ გააჩნდათ. ალბათ, იაფფასიანი ბავშვი იყო, დედას კი რაღაც ძვირფასი სურდა. მე კი ვფიქრობდი, რომ ის ზედმეტ პრეტენზიულობას იჩენდა. ჩვენ ხომ იაფი ბავშვიც კარგად დაგვხატავდა.

დღის გეგმები რომ დავაწყვე, წამოვდექი, სხვენის ფანჯარასთან სკამი მივიდგი და ჩარჩო იმ სიმაღლეზე ავწიე, შიგ თავი რომ გამტეოდა. ფანჯარა ჩვენს უკანა ქუჩაზე ეზოებსა და ბაღებს გადაჰყურებდა, მათ მიღმა ვრცელი ველი მოჩანდა, იმის იქით კი, ბორცვებზე, მაღალი, წითელი აგურით ნაშენები სახლები ჩამწკრივებულიყო, რომლებიც ჯერ კიდევ ბინდს მოეცვა მაშინ, როცა ჩვენი ქუჩა უკვე კარგად განათებულიყო, თუმცა უცნაური ლანდები მას უცხოს, მკაცრსა და ფერადს აჩენდა.

მერე დედას ოთახში შევედი და საწოლში შევგორდი. მან გაიღვიძა, მე კი ჩემი მზაკვრული გეგმების მოყოლა დავიწყე. ვერ ვამჩნევდი, მაგრამ ჩემსავე ღამის პერანგში ვიყინებოდი და გაუჩერებლად ვლაპარაკობდი, სანამ ყინული არ გადნებოდა და დედაჩემის გვერდზე არ ჩამეძინებოდა, რის შემდეგაც სამზარეულოდან მისი ფუსფუსის ხმა თუღა გამაღვიძებდა.

საუზმის შემდეგ ქალაქში მივდიოდით; წმინდა ავგუსტინეს ტაძარში წირვას ვესწრებოდით, მამასთვის ვლოცულობდით და მერე კი საყიდლებზე გავივლიდით ხოლმე. თუ შუადღეს კარგი ამინდი იყო, ქალაქგარეთ მივდიოდით სასეირნოდ ან დედას საუკეთესო მეგობარს, წმინდა დომინიკას მონასტერს ვაკითხავდით. ყველა მონაზონს სთხოვდა, მამისთვის ელოცა და მეც ყოველ ღამე, ძილის წინ, ღმერთს ვევედრებოდი, მამა ომიდან საღსალამათი დაებრუნებინა. ჯერ კიდევ წარმოდგენა არა მქონდა, რას ვითხოვდი!

ერთ დილას, როცა ჩვეულებისამებრ დიდ საწოლში შევგორდი, იქ მამა დამხვდა. მოგვიანებით, უნიფორმის ნაცვლად, ლურჯი პიჯაკი მოირგო, რამაც დედა მეტად გააბედნიერა, თუმცა მე ამაში სასიხარულოს ვერაფერს ვხედავდი, რადგან უნიფორმის გარეშე მამა უინტერესო პერსონაჟი იყო. დედამ გაბადრული სახით ამიხსნა, რომ ღმერთს ჩვენი ლოცვები შეესმინა. იმ დღეს კვლავ წირვაზე გავეშურეთ და ღმერთს მამას მშვიდობით დაბრუნებისთვის მადლობა მივაგეთ.

რა ირონიულია! ზუსტად იმავე დღეს, როცა მამა სადილად სახლში შემოვიდა, ჩექმები გაიძრო, ჩუსტები ჩაიცვა, თავისი ძველი ბინძური ბერეტი დაიხურა, რომელსაც მხოლოდ სახლში ატარებდა, რათა გაციებისგან თავი დაეცვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და დედას სერიოზული საუბარი გაუბა, რამაც დედა ფრიად ააღელვა. ბუნებრივია, მისი აღელვება არ მახარებდა, რადგან ამ დროს საშინლად ეცვლებოდა გამომეტყველება, ხოდა, მეც ავდექი და სიტყვა შევაწყვეტინე.

– ერთი წამით, ლარი! – თქვა თავაზიანად.

ამას მხოლოდ მაშინ ამბობდა, როცა მოსაწყენი სტუმრები გვყავდა, ამიტომაც ამას არანაირი მნიშვნელობა არ მივანიჭე და ლაპარაკი განვაგრძე.

– ცოტა ხნით მაცალე, ლარი! – მეუბნებოდა მოთმინებადაკარგული. – ვერ ხედავ, მამას რომ ველაპარაკები?!

დედას ჩემთვის მსგავსი ავისმომასწავებელი სიტყვები აქამდე არასდროს ეთქვა – მამას ველაპარაკებიო, მე კი ვფიქრობდი, რომ თუკი ასე პასუხობდა ღმერთი ლოცვებს, ესე იგი არც ისე ყურადღებით უსმენდა მათ.

– მამიკოს რატომ ელაპარაკები?! – ვეკითხებოდი და ვცდილობდი, გულგრილი გამოვჩენილიყავი.

– იმიტომ რომ საქმე გვაქვს. მეტჯერ აღარ გაგვაწყვეტინო!

შუადღეზე, დედის თხოვნით, მამამ სასეირნოდ წამიყვანა. ამჯერად ქალაქში გავლა გადავწყვიტეთ. მე ჩემებურად, ოპტიმისტურად ვფიქრობდი, რომ ეს შეიძლება უკეთესიც კი ყოფილიყო.

მსგავსი არაფერი. ქალაქში სეირნობაზე ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული წარმოდგენები აღმოგვაჩნდა. მას არ აინტერესებდა არც ტრამვაი, არც გემები, არც ცხენები და საერთოდ ერთადერთი რამ, რაც ართობდა, თავისი ასაკის ხალხთან საუბარი იყო. როცა მე დასვენება მინდოდა, ის გზას აგრძელებდა და ხელით მიმათრევდა, ხოლო, როცა მას მოუნდოებოდა დასვენება, სხვა გზა არ მრჩებოდა და ვთანხმდებოდი. შევამჩნიე, რომ თუ კედელს მიეყრდნობოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ კაი ხანი არ აპირებდა ფეხის მოცვლას. როცა მეორედ შევნიშნე, ამას აკეთებდა, ლამის ჭკუიდან გადავედი. თითქოს მთელი ცხოვრების იქ გატარება გადაეწყვიტა. ქურთუკსა და შარვალზე ვექაჩებოდი, მაგრამ ის, დედასგან განსხვავებით, არ ამბობდა: გაჩერდი, თორემ მოგცხებო. მამას მშვენივრად შეეძლო მეგობრული უყურადღებობა გამოევლინა. ვუყურებდი და ვფიქრობდი, ტირილი ხომ არ დავიწყო-მეთქი, მაგრამ ცივ გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ ამითაც ვერ მოვულბობდი გულს. მართლაც აუღებელ ციხე-სიმაგრესთან მქონდა საქმე. ქურთუკის დაქაჩვასა და მუშტების რტყმასაც კი არაფრად აგდებდა, მეტიც, ნასიამოვნები სახით იღიმოდა. აქამდე საკუთარ თავში ასე ჩაფლული არავინ მენახა.

ჩაიზე დედამ ისევ მამასთან საუბარი დაიწყო. ამჯერად სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ მამას ხელში საღამოს გაზეთი ეჭირა, რომელსაც დროდადრო დადებდა და დედას რაიმე სიახლეს ამცნობდა. ეს უსამართლობად მიმაჩნდა და მზად ვიყავი, როგორც კაცი კაცს, ნებისმიერ დროს შევჯიბრებოდი დედის ყურადღების მოსაპოვებლად, მაგრამ, როცა მას სხვების შეთხზული ამბები უმაგრებდა ზურგს, მაშინ ვერაფერს ვაწყობდი. რამდენჯერმე ამაოდ ვცადე საუბრის თემა შემეცვალა.

– ჩუმად იყავი, როცა მამა კითხულობს! – მეუბნებოდა გაბრაზებული დედა.

აშკარა იყო, რომ ან მართლაც ძალიან უყვარდა მამასთან ლაპარაკი, ან რაღაც დამაბრკოლებელი გარემოების წყალობით, სიმართლის აღიარების ეშინოდა.

– დედა, – ვუთხარი ერთხელ, როცა საწოლში მაწვენდა. – თუ უფრო მეტს ვილოცებ, ღმერთი მამას ომში არ დააბრუნებს?

ერთი წამით ჩაფიქრდა.

– არა. – მითხრა და გამიღიმა. – არა მგონია, ასე მოხდეს.

– რატომ?

– იმიტომ. ძვირფასო, რომ ომი დასრულდა.

– მაგრამ ღმერთს ხომ შეუძლია კიდევ ერთი ომი მოაწყოს, თუ მოუნდება?

– არა მგონია, ეს მოუნდეს. ძვირფასო, ომს ღმერთი კი არა, ცუდი ადამიანები იწყებენ.

– ოჰ! – ჩავილაპარაკე.

იმედგაცრუებული დავრჩი. ამ მომენტში ვიფიქრე, რომ ღმერთი ისეთი ყოვლისშემძლე ვერ იყო, როგორც მას ხალხი წარმოაჩენდა.

მომდევნო დილას ჩვეულ დროს გავიღვიძე. თავს შამპანურის ბოთლივით ვგრძნობდი. ფეხები გამოვყავი. მისის მარჯვენამ დიდი დიალოგი გამიბა იმის შესახებ, თუ როგორ უმწარებდა ცხოვრებას მამა, სანამ იგი თავშესაფარში არ მიაბარა. არ ვიცოდი, თავშესაფარი რას ნიშნავდა, თუმცა ისეთ ადგილს ჰგავდა, მამას რომ მოუხდებოდა. მერე ფანჯარასთან სკამი მივიდგი და გარეთ გავიხედე. ის-ის იყო, თენდებოდა. ვგრძნობდი, ზუსტ დროს მივასწარი განთიადს. გამოგონილ ამბებსა და მზაკვრულ გეგმებზე ფიქრით უკვე თავი მისკდებოდა. შევბარბაცდი გვერდით ოთახში, რომელიც ჯერ კიდევ ბნელს მოეცვა და საწოლში შევცოცდი. დედას მხარეს ადგილი აღარ დარჩენილიყო, ამიტომაც, იძულებული გავხდი, მასა და მამას შორის ჩავკვეხებულიყავი. ერთხანს დამავიწყდა კიდეც მისი არსებობის შესახებ; რამდენიმე წუთი წამომჯდარი იმაზე ფიქრით ვიმტვრევდი თავს, თუ რა მომეხერხებინა მისთვის. კუთვნილზე მეტ ადგილს იკავებდა, მე კი ვერ ვისვენებდი. ერთი ორჯერ წიხლიც ვუთავაზე. ის შეიშმუშნა და აბუტბუტდა, თუმცა სივრცე კი გამითავისუფლა. დედამ გაიღვიძა და ხელი მომავლო. მოსახერხებლად ჩავწექი, საწოლის სითბო შევიგრძენი და ცერა თითის ლოკვას შევუდექი.

– დედიკო! – ვთქვი ხმამაღლა და კმაყოფილებით აღსავსემ.

– შშ! – ჩურჩულებდა დედა. – მამიკოს გააღვიძებ!

ეს ახალ სირთულეს წარმოადგენდა, რომელიც იმას გვიქადდა, რომ საქმე ახლა გაცილებით უფრო რთულად იქნებოდა, ვიდრე „მამასთან საუბრისას“.

დედაჩემთან დილის თათბირების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელი მეჩვენებოდა.

– რატომ? – ვიკითხე სერიოზულად.

– ცოდვაა. დაღლილია.

ეს შეუფერებელ მიზეზად მეჩვენებოდა. ზიზღს აღმიძრავდა ის სენტიმენტალურობა, რომლითაც იგი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა. ემოციების ასე ჭარბად გამოხატვა არასდროს მიზიდავდა და ყოველთვის ხელოვნურად მეჩვენებოდა.

– ოჰ! – ვთქვი მხიარულად. შემდეგ კი ყველაზე დამყოლი ტონით... – იცი, დღეს სად მინდა რომ წამიყვანო?

– არა, ძვირფასო! – ამოიხვნეშა დედამ.

– მინდა, მდინარეზე წავიდეთ, ჩემი ახალი ბადით მახათა თევზები დავიჭიროთ, დაჭერობანა ვითამაშოთ და...

– მამა არ გააღვიძო! – ჩაისისინა დედამ და პირზე ხელი ამაფარა.

უკვე გვიან იყო. მამას თითქმის უკვე გამოღვიძებოდა. ჩაიბუზღუნა და ასანთს წასწვდა. აიღო და გამოფხიზლების მოლოდინში დიდხანს უმზერდა.

– ყავას მიირთმევ? – ეკითხებოდა დედა ისეთი მორიდებული ხმით, მისგან აქამდე არასდროს რომ არ მსმენოდა. თითქოს რაღაცის ეშინოდა.

– ჩაი? – წამოიძახა გაბრაზებულმა – იცი რა დროა?!

– მერე კი რეჩკუნის ქუჩაზე წავიდეთ! – წამოვიყვირე იმის შიშით, რომ მათ დიალოგში ჩემი სათქმელი უკან დამრჩებოდა.

– სწრაფად დაიძინე, ლარი. – მკაცრად ამბობდა დედა.

ავსლუკუნდი. ისე იქცეოდნენ, ყურადღების მოკრება მიჭირდა. ჩემს მზაკვრულ გეგმებს ჩანასხშივე სპობდნენ.

მამა გაიტრუნა. ჩიბუხს მოუკიდა და გააბოლა. ჩრდილებს გასცქეროდა

და ყურადღებას არ გვაქცევდა, თითქოს იქ არც ვყოფილიყავით. ვიცოდი, რაღაც ვერ ჰქონდა წესრიგში. რამდენჯერაც არ უნდა აღმენიშნა რამე, დედა გაღიზიანებული მაჩუმებდა. თავს დამცირებულად ვგრძნობდი. ვფიქრობდი, დიდ უსამართლობას ჰქონდა ადგილი. იყო მასში რაღაც ავისმომასწავებელი. ყოველ ჯერზე, როცა მივანიშნებდი, რა საჭიროა ორი საწოლის გაშლა, როცა ერთ საწოლშიც მშვენივრად დავეტევით-მეთქი, მეუბნებოდა, ასე უფრო უსაფრთხოაო; რა გამოდიოდა, ჩემთან ძილი საფრთხისშემცველი, ვიღაც სრულიად უცხო კაცთან ძილი კი უსაფრთხო იყო?!

მამა დილით ადრე ადგა და ჩაი ააღუღა. დედას ერთი ფინჯანი ამოუტანა, ჩემთვის კი ვერაფერი გაიმეტა.

– დედიკო! – ვყვიროდი, – მეც მინდა ჩაი!

– ჰო, ძვირფასო! – მითხრა დედამ აუღელვებლად, – ჩემი ლამბაქიდან დალიე.

საკითხი რთულად იდგა: ან მე დავტოვებდი სახლს, ან მამა. სულაც არ მინდოდა, ჩაი ლამბაქიდან დამელია. მინდოდა, ჩემსავე სახლში ისე მომპყრობოდნენ, როგორც ზრდასრულს. ჯიბრზე, ბოლომდე დავულიე ჩაი. ესეც მშვიდად მიიღო.

მაგრამ ერთ ღამეს, როცა მაძინებდა, მორიდებით მითხრა:

– ლარი, რაღაცას უნდა დამპირდე.

– რას?

– იმას, რომ დილით საძინებელში არ შემოვარდები და საბრალო მამას არ შეაწუხებ. მპირდები?

ისევ ეს „საბრალო მამა“. უკვე ყველაფერზე ვეჭვიანობდი, რაც კი ამ აუტანელ კაცს ეხებოდა.

– რატომ? – ვიკითხე.

– იმიტომ, რომ მამა დაღლილი და ანერვიულებულია, თანაც ძალიან ცუდად სძინავს.

– და რატომ ვერ იძინებს, დედიკო?!

– გახსოვს, როცა მამა ომში იყო, ფოსტაში რომ მივდიოდით და ფულს ვიღებდით ხოლმე?

– მისის მაკარტნისგან?

– ჰო. მისის მაკარტნი მეტს ველარ გვეხმარება და ამიტომ მამიკო ვალდებულია, წავიდეს და ფული იშოვოს. იცი, რა მოხდება, თუ ვერ იშოვის?

– არა, მითხარი.

– მაშინ მოგვიწევს, გარეთ გავიდეთ და იმ მოხუცივით ვიმათხოვროთ, პარასკევობით რომ ვხედავთ ხოლმე. ეს ხომ არც ისე კარგი იქნება?!

– არა. არ იქნება, – დავეთანხმე.

– ესე იგი, მპირდები, რომ დილით აღარ შემოვარდები და აღარ გააღვიძებ?

– გპირდები.

მართლაც გულრწფელად დავპირდი. ვიცოდი, ფული მეტად მნიშვნელოვანი იყო და დიდად არც მოხუცი ქალივით მათხოვრობა მხიბლავდა. დედამ საწოლის ირგვლივ სათამაშოები ისე დამილაგა, როგორც არ უნდა მეცადა, წამოდგომისას ერთ-ერთს მაინც წამოვედებოდი.

დილით, როცა გავიღვიძე, ჯერ სულაც არ ვაპირებდი სიტყვა გამეტეხა. ავდექი, იატაკზე მოვკალათდი და კარგა ხანს ვთამაშობდი. მერე ფანჯარასთან სკამი მივიდგი და სხვენის ფანჯრიდან კიდევ უფრო დიდხანს ვიყურებოდი. ვნატრობდი, მამას მალე გაეღვიძა; იმასაც ვნატრობდი, ვინმეს ფინჯანი ჩაით გავენებივრებინე. ამჯერად სულაც არ ვგრძნობდი თავს მზესავით. ძალიან მოწყენილლი გახლდით და საშინლად მციოდა. ბუმბულის ბალიშის სითბო და მხურვალება მენატრებოდა.

მეტის ატანა აღარ შემეძლო. გვერდზე ოთახში გავედი. დედას გვერდით კვლავ არ იყო ადგილი, ამიტომ საწოლზე ავძვერი. დედას გაეღვიძა და ელდა ეცა.

– ლარი! – ხელი ძლიერად ჩამავლო და ჩამჩურჩულა. – რას შემპირდი?!

– შევასრულე კიდეც! – ამოვიოხრე დანაშაულის გრძნობით შეპყრობილმა. – სულ ჩუმად არ ვიყავი?

– ო, ძვირფასო, სულ გათოშილხარ! – მითხრა დამწუხრებულმა, – თუ დაგტოვებ, მპირდები, რომ ჩუმად იქნები?

– ლაპარაკი რომ მინდა?! – ამოვიღნავლე.

– მაგის დრო არაა, – ისეთი სიმტკიცით მითხრა, ჩემთვის აქამდე უცხო რომ იყო. – მამას ძილი სჭირდება. არ გესმის?!

ყველაფერი ძალიან კარგად მესმოდა. მე ლაპარაკი მინდოდა, მას – ძილი. ბოლოს და ბოლოს ვისი სახლი იყო?!

– დედიკო, – ვუთხარი იგივე სიმკაცრით. – უფრო უსაფრთხო არ იქნებოდა, მამას თავის საწოლში რომ დაეძინა?

თითქოს გაოცდაო, ერთხანს ხმა არ გაუღია.

– ერთხელ და სამუდამოდ, – განაგრძო მან. – ან დარჩები და ჩუმად იქნები, ან შენს ოთახში გაბრძანდები. აბა, აირჩიე!

ასეთმა უსამართლობამ საბოლოოდ გამტეხა. ცხადი იყო, შეუსაბამოდ და არაადეკვატურად იქცეოდა, ჩემს შეკითხვაზე პასუხის გაცემაც კი არ უცდია. გამწარებულმა მამას ფეხი მივარტყი, ისე, რომ დედას არ შეუნიშნავს. მამა შეიშმუშნა და შეცბუნებუმა თვალები დააჭყიტა.

– რა დროა? – იკითხა თავზარდაცემულმა, ისე, რომ დედასთვის არც შეუხედავს, კარს უყურებდა, თითქოს იქ ვიღაც მდგარიყო.

– ჯერ ადრეა, – უთხრა დამამშვიდებლად. – არაფერი ისეთი, ბავშვი ვერ ისვენებს. ლარი, რადგან მამა უკვე გააღვიძე, შენს ოთახში უნდა დაბრუნდე.

ახლა, თუმცა სახეზე აუღელვებელი იერი ეფინა, ვხვდებოდი, რომ საქმე სერიოზულად იყო და თუ ჩემს უფლებებსა და პრივილეგიებს არ დავიცავდი, მშობლებისგან უკვე ვეღარაფერ სარგებელს მივიღებდი. დედამ ხელში რომ ამიყვანა, ისე ვიკივლე, ეს ხმა მამაჩემს კი არა, მკვდარსაც კი გააღვიძებდა. ამოიოხრა.

– ეს ოხერი ბავშვი! ნეტავ ოდესმე თუ სძინავს?!

– ასეა შეჩვეული, ძვირფასო, – თქვა დედამ წყნარად, თუმცა მე ხომ ვხედავდი, შეწუხებული იყო.

– დროა, გადაეჩვიოს! – დაიყვირა მამამ და გაჭირვებით წამოიწია. უეცრად თეთრეულს ხელი დაავლო, კედლისკენ შებრუნდა და იქედან პატარა, ბრაზიანი შავი თვალებით დაგვიწყო ყურება. მართლაც შიშისმომგვრელად გამოიყურებოდა.

დედამ საძინებლის კარის გაღება რომ დააპირა, ჩამომსვა, მე კი დრო ვიხელთე და შორეული კივილით კუთხისკენ გავიქეცი. მამა საწოლში წამომჯდარიყო.

– მოკეტე, შე პატარა მაიმუნო! – დაიღრიალა.

ამან იმდენად განმაცვიფრა, რომ კივილი შევწყვიტე. აქამდე არასდროს არავის მოემართა ჩემთვის ასეთი ტონით! უნდობლად შევხედე. მრისხანებისგან სახე დამანჭვოდა. მაშინღა მივხვდი, ღმერთმა როგორ გამაცურა, როცა ჩემი ლოცვები შეისმინა და ეს ურჩხული დააბრუნა.

– შენ თვითონ მოკეტე! – ვღრიალებდი თავდაკარგული.

– რა თქვი?! – დამიყვირა და სწოლიდან წამოფრინდა.

– მიკ, მიკ! – ყვიროდა დედა, – ვერ ხედავ, რომ ბავშვი ჯერ კიდევ ვერ შეგეჩვია?!

– ისე, ეტყობა, კაი კვებაზეა, მაგრამ აღზრდა აკლია! – იღრინებოდა მამა და ხელებს აქეთ-იქეთ იქნევდა. – ერთი კაი წამორტყმა უნდა.

აქამდე მოსმენილი ყვირილი არაფერი იყო ამ უხამს სიტყვებთან შედარებით, მე რომ მეხებოდა. სისხლი მიდუღდა.

– შენ თვითონ წამოირტყი! – ვყვიროდი გაშმაგებული. – შენ თვითონ წამოირტყი! ხმა ჩაიგდე! ჩაიგდე-მეთქი!

ეს უკვე ბოლო წვეთი იყო. მოთმინება დაკარგა და გავეშებული მეძგერა. თავდაჯერების გარეშე მოქმედებდა, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგან იქვე გაფითრებული დედაჩემი იდგა და ზუსტად ამის გამო მხოლოდ ერთი სუსტი წამორტყმით შემოიფარგლა, თუმცა თავი მაინც დამცირებულად ვიგრძენი, რადგან ვილაც უცხო მირტყამდა, უცხო, რომელსაც ჩემი ლოცვების წყალობით ჩვენს საყვარელ საძინებელში ადგილი მიესაკუთრებინა. გაშმაგებით ვყვიროდი და ფეხშიშველა დავტანტალებდი, ის კი, უშნო და ბანჯგვლიანი, მხოლოდ ნაცრისფერი სამხედრო მაისურის ამარა, თავზე მთასავით დამდგომოდა, თითქოს სიკვდილს მიქადისო. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ისიც ეჭვიანობდა. დედა იქვე იდგა, ღამის პერანგში. თითქოს ვერ გაეგო, ჩვენგან რომელი აერჩია. ვიმედოვნებდი, რომ თავს ისევე გრძნობდა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. მაშინ ვფიქრობდი, ახია მაგაზე, ასე მოუხდება-მეთქი.

იმ დღიდან მოყოლებული ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. მამაჩემთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩავები. პატარ-პატარა ბრძოლები გვქონდა: ის დედას მართმევდა, მე კი საყვარელ ქალს ვეშურებოდი. როცა დედა საწოლთან მეჯდა და ზღაპარს მიყვებოდა, მამა შემოვიდოდა ხოლმე და საწოლის ქვეშ იმ ჩექმებს ეძებდა, ვითომ იქ ომის დაწყებამდე რომ დაეტოვებინა. როცა დედას ელაპარაკებოდა, ხმაურიანად ვთამაშობდი, რათა მეჩვენებინა, რომ მის იქ ყოფნას აინუნშიაც არ ვაგდებდი. ერთ დღეს საშინელი სცენა მოაწყო, როცა სამსახურიდან დაბრუნდა და მისი ყუთით ხელში, ინდური მაჩეტებით მოთამაშე დამინახა. დედა წამოდგა და ყუთი გამომტაცა.

– უნებართვოდ მამიკოს სათამაშოებს ხელი არ უნდა ახლო, ლარი. – მითხრა მკაცრად, – მამიკო ხომ არ თამაშობს შენი სათამაშოებით?!

რატომღაც მამამ დედას ისე შეხედა, თითქოს სილა გაეწნა მისთვის და წარბშეკრული გატრიალდა.

– სათამოშოებია ეს?! – იღრიალა მამამ, ყუთი აიღო და კარგად დაათვალიერა. ამოწმებდა, ბიჭმა რამე ხომ არ ამირიაო.

– ისე, რომ იცოდეთ, ზოგიერთი მათგანი ძალიან იშვიათი და ძვირფასია.

დრო გადიოდა, მე კი ვხედავდი, დედასთვის როგორ ვუცხოვდებოდით. უარესი ის იყო, რომ ვერ ვხვდებოდი, რა ლოგიკით მოქმედებდა ან რა იზიდავდა დედისადმი. ის ჩემთან შედარებით ყველანაირად არასახარბიელო ვითარებაში იყო. არაფრით გამორჩეული აქცენტი ჰქონდა, ჩაის ხვრეპდა და არასასიამოვნო ხმებს გამოსცემდა. ერთხანს ვფიქრობდი, რომ დედას ამ კაცში რაც მოსწონდა, იყო მისი ინტერესი ჟურნალ-გაზეთების მიმართ, ამიტომაც თვითონვე დავიწყე სიახლეების შეთხზვა და დედისთვის მოყოლა. მერე ვიფიქრე, რომ მოწევა იყო ის ჩვევა, დედას ასე რომ იზიდავდა მასში და მეც ერთ დღეს მამას ჩიბუხებს დავავლე ხელი. „ბოლთას ვცემდი“, სანამ არ გამომიჭირეს. ჩაის ხვრეპაც ვცადე, მაგრამ დედამ მითხრა, რა არის, რა ჯანდაბას აკეთებო. ჩანდა, ყველაფერი ერთ ლოგინში ძილის არაჯანსაღ ჩვევაზე იყო დამოკიდებული. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, მათ საძინებელში შევპარულლიყავი და იქაურობა დამეთვალიერებინა. ჩემთვის ვლაპარაკობდი, ისე, რომ მათ ვერ შევემჩნიე, თუმცა არასდროს მომხდარა რამე ისეთი, რაც დამამახსოვრდებოდა. საბოლოოდ მაინც გავტყდი. აშკარა იყო, რადგან სრულწოვნობამდე ბევრი მაკლდა და ბეჭდების გაცვლის რიტუალს ჯერ ვერ ჩავატარებდი, ლოდინის გარდა, სხვა გზა აღარ დამრჩენოდა.

ამავე დროს, მინდოდა, მოწინააღმდეგეს სცოდნოდა, რომ კი არ ვნებდებოდი, არამედ შესაფერის დროს ველოდი შეტევის განსახორციელებლად. ერთ საღამოს, როცა განსაკუთრებით გამაღიზიანებლად იქცეოდა, გადავწყვიტე შეტევაზე გადავსულიყავი.

– დედიკო, იცი რა უნდა ვქნა, როცა გავიზრდები?!

– არა, ძვირფასო!

– ცოლად უნდა მოგიყვანო, – ვუთხარი აუღელვებლად.

მამამ გადაიხარხარა. ჩანდა, სერიოზულად არ აღიქვამდა ჩემს ნათქვამს. მე კი ვხვდებოდი, რომ თვალთმაქცობდა. დედა, ყველაფრის მიუხედავად, ნასიამოვნები დარჩა. მეგონა, შვება მოჰგვარა იმის გაგებამ, რომ ერთ დღესაც მამაჩემის კლანჭებიდან გამოვიხსნიდი.

– რა კარგი იქნება! – მითხრა და გამიღიმა.

– მართლაც შესანიშნავი იქნება, – ვუთხარი თავდაჯერებულად. – ჩვენ ბევრი, ბევრი ბავშვი გვეყოლება.

– მართალია, ძვირფასო, – მითხრა მშვიდად. – მგონი, ერთი უკვე მალე გვეყოლება და აღარ მოიწყენ.

ამან ძალიან გამახარა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ, თუმცა დედა ასე ნებდებოდა მამას, ჩემს სურვილებზე საფიქრალად დრო მაინც რჩებოდა. ამას გარდა, ჯინის ოჯახსაც თავის ადგილს მივუჩენდით.

თუმცა ასე არ გამოვიდა. პირველ რიგში, ვერ ვხვდებოდი, საიდან უნდა მოეტანა ჩვიდმეტი შილინგი და ექვსი პენსი. მამა გვიანობამდე კი მუშაობდა, მაგრამ ეს დიდად მაინც ვერ გვშველოდა. დედა ძალიან ბრაზიანი ხდებოდა, აღარც სასეირნოდ დავყავდი და უმიზეზოდაც ხშირად წამომარტყამდა ხოლმე. ზოგჯერ ვნატრობდი, ნეტავ საერთოდ არ მეხსენებინა ეს ოხერი ბავშვი-მეთქი. საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდების განსაკუთრებული ნიჭი მქონდა.

მართლაც, რა დიდი უბედურება იყო! სანი ყველაზე არეულ პერიოდში მოევლინა ქვეყანას, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია. დანახვისთანავე ავითვალწუნე. რთული ბავშვი იყო – ზედმეტად რთულიც კი. ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. დედა მასზე ისე გიჟდებოდა, ვერც კი ხვდებოდა, რომ ეს პატარა ონავარი მუდამ ბაქიბუქობდა. მასთან ურთიერთობა მოსაწყენზე მოსაწყენი იყო. მთელი დღე ეძინა, მე კი ფეხის წვერებზე მიწევდა სიარული, რათა მისთვის ძილი არ დამეფრთხო. მამის გაღვიძება ვიღას ახსოვდა; ახალი სლოგანი ასეთი იყო – „სანი არ გააღვიძოთ!“ ვერ ვიგებდი, დადგენილ დროს რატომ არ ეძინა და, როცა დედა ზურგს შემაქცევდა, მივიდოდი და ვაღვიძებდი ხოლმე. ხანდახან ვჩქმეტდი კიდეც, ძილი რომ არ მეცლია. ერთხელაც დედამ გამომიჭირა და კარგადაც მომხვდა.

ერთ საღამოს მამა სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა, მე კი ეზოში მატარებლებით ვთამაშობდი. თავი მოვიკატუნე, თითქოს ვერ ვამჩნევდი. ვითომ ჩემთვის ვლაპარაკობდი, ამ სახლში კიდევ თუ გაჩნდა ბავშვი, მე აქ გამჩერებელი აღარა ვარ-მეთქი.

მამა გაშეშდა და შემომხედა.

– რა თქვი? – მითხრა მკაცრად.

– არაფერი, ჩემთვის ვამბობდი რაღაცას... – ვცდილობდი აღელვება არ შემმჩნეოდა. – პირადულია.

შეტრიალდა და უსიტყვოდ გამერიდა. ისე კი, სიმართლე რომ ვთქვა, ამით მისი მკაცრად გაფრთხილება მსურდა, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. იგი უკვე კარგად მექცეოდა, რაც უკვე მარტივად დასანახი იყო. აი, დედა კი საშინლად მაღიზიანებდა. ჭამის დროსაც კი წამოდგებოდა ხოლმე, რათა აკვანში მწოლიარე ჩემს ძამიკოს სულელურად მიშტერდებოდა და მამასაც იმავეს გაკეთებას სთხოვდა. მამა ამ დროს ყოველთვის ზრდილობიანი იყო,

თუმცა ჩანდა, იმდენად იბნეოდა, რომ არ ესმოდა, დედა რაზე ლაპარაკობდა. ბავშვის ტირილი ძილს არ აცლიდა, რაზეც წუწუნებდა, რაც დედას სწყინდა. ამბობდა, არ იტირებდა, რამე რომ არ აწუხებდესო, რაც მტკნარი სიცრუე იყო, რადგან სანის არასდროს არაფერი აწუხებდა და მხოლოდ ყურადღების მისაქცევად ტიროდა. მტკივნეული იყო იმის გააზრება, თუ რაოდენ გულუბრყვილო გახლდათ დედაჩემი. მამა გარეგნობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჭკუა კი უჭრიდა. კარგად ხვდებოდა სანის ოინებს და ისიც იცოდა, რომ მეც ვხვდებოდი.

ერთ ღამეს უეცრად გამომეღვიძა. გვერდით ვიღაც მეწვა. თავიდან ვიფიქრე, ალბათ, დედა გონს მოეგო და დამიბრუნდა-მეთქი, მაგრამ შემდეგ სანის ჩხავილი და დედაჩემის ხმა მომესმა: „აბა, აბა, აბა!“ გვერდით მამა მეწვა. თვალები დაეჭყიტა, მძიმედ სუნთქავდა და გაშმაგება ემჩნეოდა.

ცოტა ხნის მერე მივხვდი, რაზეც ბრაზობდა. ახლა მისი ჯერი იყო: დიდი საწოლიდან ჩემი გამოძევების შემდეგ, უკვე თავადაც გამოეძევებინათ. დედას, ამ პატარა ონავარის გარდა, აღარაფერი აღელვებდა. მამა ძალიან მეცოდებოდა. მსგავსი რამ მაშინაც ხომ გამოევლო, როცა მე ახალდაბადებული ვიყავი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მე მაშინაც კი დიდსულოვნებას ვიჩენდი და მეტისმეტად არავის ვაწუხებდი. მამას მოვეფერე და ვუთხარი: „აბა! აბა!“ მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

– კიდევ არ გძინავს?! – დამიღრინა მან.

– ო, მოდი ხელი მომხვიე. – ვუთხარი მე და ასეც მოიქცა, თავისებურად, ცოტა უხერხულად, იქნებ ფრთხილადაც. გაძვალტყავებული იყო, მაგრამ სულ არაფერს ხომ მაინც სჯობდა.

შობისთვის გაიჭირვა და სათამაშო მატარებელი მიყიდა.

ინგლისურიდან თარგმნა
როსტომ წერეთელმა

ვახტანგ გურული

არჩილ ჯორჯაძის ეროვნული თანხმობის იდეა

XX საუკუნის დამდეგს დიდი ეროვნული საფრთხით შეძრული არჩილ ჯორჯაძე წერდა: მეოცე საუკუნე კოსმოპოლიტიზმის საუკუნე იქნებაო. ევროპაში დრომოჭმული იდეების საქართველოში შემოტანა მას დამღუპველად მიაჩნდა. 1901 წელს, დასავლურ სამყაროში მიმდინარე პროცესის შეფასების შემდეგ, არჩილ ჯორჯაძე საქართველოსა და ქართველი ერის პერსპექტივაზე მეტად საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს: „ჩვენში კი (...) ერთნი, დაძაბუნებულნი და გულგატეხილნი აწინდელ მდგომარეობით, ოცნებითაც კი ვერ ჰბედავენ ჩვენს ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესებას; მეორენი, განსჭვალულნი ცრუ ეროვნულ აზრებით, ძველ წესწყობილების დარღვევაში ჰხედავენ დაკარგვას იმ აუცილებელ ცხოვრების პირობათა, ურომლოდაც ვითომც შეუძლებელი იყოს ხალხის წარმატება; მესამენი კი, გატაცებულნი ევროპიდან გადმოტანილ დოქტრინულ თეორიებით და გახარებულნი იმით, რომ ჩვენ ცხოვრებაშიაც იჩინეს თავი ევროპისათვის საზოგადო კანონად გადაქცეულ მოვლენათა, მიჰყვეს ხელი იდეოლოგიურ მცნების გავრცელებას იმ ხალხში, რომლისაგან შესაძლებელია, ამ მოკლე ხანში მარტო ეთნოგრაფიული მოგონება-ღა დარჩეს“. არჩილ ჯორჯაძე ამ სავალალო პერსპექტივასთან მიმართებაში განიხილავდა ქართულ ეროვნულ მოძრაობაში შექმნილ ვითარებას, საერთო ეროვნული იდეის გარშემო სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა გაერთიანების საკითხს.

* * *

XX საუკუნის დამდეგს არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა „**საერთო მოქმედების ნიადაგის**” პრინციპები, რაც ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში ილია ჭავჭავაძის „**წოდებათა შერიგების**” იდეის გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენდა.

წერილს „**ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები**” (1901 წ.) არჩილ ჯორჯაძე ეროვნული საკითხის მნიშვნელობის გარკვევით იწყებს: „იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელნიც აღძრა ჩვენმა ცხოვრებამ, ყველაზე მეტად ღირსშესანიშნავი ეროვნული საკითხია, რადგან მისი სისწორით განმარტება და

აღსნა ამავე დროს აღსნაა სოციალურ საკითხისა, იმ საკითხისა, რომელმაც ასე თვალსაჩინოდ დაჰყო, დაანაწილა ჩვენი ინტელიგენცია ერთმანეთის მოპირდაპირე დასებათ“.

XX საუკუნის დამდეგისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგად საქართველოში საკმაოდ რთული, არაერთგვაროვანი ვითარება შეიქმნა. არჩილ ჯორჯაძე წერს: „ჩვენმა ბურჟუაზიულ-ეროვნულმა ჯგუფმა სახეში უნდა იქონიოს ის გარემოება (ჩვენ ვამბობთ იმ პირთა შესახებ, რომელთა იდეალი ძველი ფეოდალური საქართველოა), რომ საქართველო ადრე თუ გვიან ვეღარ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ პროცესის შედეგს, ესე იგი შრომის განსაზოგადოებრივობას და მით შრომის და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის მოსპობას. ის გარემოება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან მკაფიოდ განკერძოებული კლასები (პროლეტარიატი და ბურჟუაზია), რომ ჩვენი მრეწველობა ჯერ განუვითარებელია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობაა, – ყოველი ეს შეუძლებელია ჩაითვალოს იმის საბუთად, რომ საქართველო, ერთხელაც არის, მრეწველობის გზას არ დაადგეს. ეს ფაქტები მხოლოდ იმას ჰმოწმობენ, რომ ჩვენ ცოტა გვიან დავადგებით ამ გზას. მიუხედავად ამისა, ჩვენს ცხოვრებაში უკვე ისეთი პირობებია, რომელთა გავლენით ჩვენი ქვეყანა ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს. ქართველი მწარმოებელი, უმეტესს შემთხვევაში მეურნე, დიდი ხანია მსოფლიო ბაზრისათვის მუშაობს, და ჩვენის სოფლის ნატურალური წარმოება თანდათან ადგილს უთმობს ფულით წარმოებულ მეურნეობას”. როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძემ საზოგადოებას არსებული სოციალური და ეკონომიკური ვითარების ღრმა და სერიოზული ანალიზი მიაწოდა, ზუსტად იწინასწარმეტყველა ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივა.

არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ძირეული სოციალური და ეკონომიკური ცვლილების მიმართ ქართველი ერი არაერთგვაროვნად რეაგირებდა: „ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, რომელნიც ხალხის კეთილდღეობისათვის ჰფიქრობენ, მიუხედავად მათის მიმართულებისა (ლიბერალი იქნება, თუ კონსერვატორი), არ შეუძლიანთ უარჰყონ ის მოვლენანი, რომელნიც წინ გადაეღობებიან ამ კეთილდღეობის განხორციელების საქმეში, რადგან განვითარება **ეროვნულ** ცხოვრების ფორმათა ყოველთვის არ არის ხოლმე თავმდები ამ ერის კეთილდღეობისა და წარმატებისა“. სხვაგვარად ფიქრობდნენ სოციალ-დემოკრატები: „მეორეს მხრით, ჩვენს „მარქსისტებს” არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაა – ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიცაა (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უთანხმოება ჩვენში ნაკლებ მწვავეა), არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენ ერს თანდათან გადაგვარება მოელის. ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი. როდესაც მოწამე ხარ ერის გადაგვარებისა, როდესაც ხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირად ემუქრება ხალხის ყველა კლასთა, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში – თუ ჯერ კიდევ სრულად არ არის ღონე-მიხდილი – არის აზრი საერთო აღორძინებისა და საერთო მოქმედებისა თავისი ვინაობის დასაცავად და შესარჩენად“. ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძემ სრულიად გარკვევით აღნიშნა, რომ „სოციალიზ-

მის სამოთხის" მიღწევამდე ქართველი ერის წინაშე იდგა უპირველესი ამოცანა: **ეროვნული საკითხის იმგვარად და იმ დონეზე გადაჭრა, რომ დაუყოვნებლივ შეჩერებულიყო ქართველთა გადაგვარების პროცესი და დაწყებულიყო შელახული ეროვნული ღირსების აღდგენა – ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინება-გაძლიერება.**

შექმნილ ვითარებაში არჩილ ჯორჯაძეს მოვლენათა განვითარება ასე წარმოედგინა: „ჩვენ ვამბობდით, რომ კანონიერად განმარტებული ეროვნული საკითხი, საკითხია ადამიანთა სიცოცხლისა და თავისუფლებისა, თანახმად წინამდებარე დროისა და ადგილისა. და ამისათვის ჩვენებურ დასთა შორის ატეხილ კამათს მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც თვალსაჩინოდ განმარტებული იქნება თავისუფლება ადამიანთა ცხოვრებისა, თანახმად დროისა და ადგილისა". ამ დასკვნით არჩილ ჯორჯაძე ქართველ საზოგადოებას განუმარტავდა: **ეროვნული საკითხის გადაჭრა მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაშია შესაძლებელი, იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის უფლება, პირველ რიგში, ადამიანის სიცოცხლე დაცული იქნება.**

არჩილ ჯორჯაძე ყურადღებით აკვირდებოდა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებს. ამ პროცესების გაანალიზების შემდეგ იგი საქართველოსა და ქართველი ერის პერსპექტივაზე მეტად საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს: „ჩვენში კი (...) ერთნი, დაძაბუნებულნი და გულგატეხილნი აწინდელ მდგომარეობით, ოცნებითაც კი ვერ ჰბედავენ ჩვენს ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესებას; მეორენი, განსჭვალულნი ცრუ ეროვნულ აზრებით, ძველ წესწყობილების დარღვევაში ჰხედავენ დაკარგვას იმ აუცილებელ ცხოვრების პირობათა, ურომლოდაც ვითომც შეუძლებელი იყოს ხალხის წარმატება; მესამენი კი, გატაცებულნი ევროპიდან გადმოტანილ დოქტრინულ თეორიებით და გახარებულნი იმით, რომ ჩვენ ცხოვრებაშიაც იჩინეს თავი ევროპისათვის საზოგადო კანონად გადაქცეულ მოვლენათა, მიჰყვეს ხელი იდეოლოგიურ მცნების გავრცელებას იმ ხალხში, რომლისაგან შესაძლებელია, ამ მოკლე ხანში მარტო ეთნოგრაფიული მოგონება-ღა დარჩეს". ამ მეტად საშიში მდგომარეობიდან გამოსავალს არჩილ ჯორჯაძე შემდეგში ხედავს: „ამჟამად კი ორი რამა გვაქვს საზრუნავი: ა) შესწავლა და განმარტება იმ ცხოვრების ეკონომიურ და სულიერ პროცესისა, რომელიც, თანამედროვე პირობების შეფარდებით ქართულ ეროვნულ ხასიათში გამოისახება და ბ) ამ ეროვნულ ფორმების საშუალებით მომზადდება ქართველ ხალხის შესათვისებლად და შესაფერებლად მსოფლიო კულტურისა". ცხადია, არჩილ ჯორჯაძეს კარგად ესმოდა მის მიერვე დასახული პროგრამის განხორციელების მთელი სირთულე, მაგრამ 1901 წელს იგი ოპტიმიზმით აღსავსეAგაჰყურებდა ქვეყნის მომავალს.

1901 წელსვე არჩილ ჯორჯაძე აქვეყნებს უმნიშვნელოვანეს სტატიას „**საერთო მოქმედების ნიადაგი**", რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა სტატიისა „ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები" და ამდენად, გარსმოჯარულ პრობლემათა არსში გარკვევის ცდაა. XX საუკუნის დამდეგის ქართველ საზოგადოებას ავტორი ასე ახასიათებს: „ჩვენი საზოგადოება ჯგუფებად დაიყო. რა-საკვირველია, ამ ჯგუფების დაბადებას თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს. მიწის მფლობელი და მიწის მომქმედი, მრეწველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ. ამას ვერ უარ-ვყოფთ". ამ სამწუხარო მოვლენის გვერდით არჩილ ჯორჯაძე სხვა პროცესსაც ხედავს: „ ... ჩვენსავე

საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამცთუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამთელება და გაერთება". ამ დასკვნით არჩილ ჯორჯაძე ახალ ეპოქაში ილია ჭავჭავაძის წოდებათა თანამშრომლობის, კლასთა შერიგების, „ჩატეხილი ხიდის" აღდგენის დიდი იდეის გამგრძელებლად და განმავითარებლად გვევლინება.

არჩილ ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძის იდეა დააკონკრეტა და გამოყო ის საკითხები, რომელთა გარშემო მთელი ქართველი ერის, ყველა წოდებისა და კლასის გაერთიანება შეიძლებოდა: „ჩვენ გვსურს დავასახელოთ სამი უმთავრესი საკითხი ჩვენი ცხოვრებისა, რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიანთ. ჩვენ სახეში გვაქვს: ა)ქართული ენის დაცვა, ბ)ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ)ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა".

გაერთიანების საფუძვლად დასახელებული სამი საკითხის არსს არჩილ ჯორჯაძე დაწვრილებით განმარტავს:

1. ქართული ენის დაცვა: „ჩვენ აქ ბანალური აზრების განვითარებას არ შეუდგებით იმის შესახებ, რომ სამშობლო ენა გონების წარმატების აუცილებელი პირობაა და რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს ეკარგება საჭირო ორგანო გრძნობების და იდეების გამოთქმისათვის. არც იმას ვიტყვით, რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს სიცოცხლე აკლდება, ცხოვრება ფერს და სიხარულს კარგავს და რომ ამგვარ საზოგადოებაში მეცნიერებას და ხელოვნებას ადგილი არა აქვთ, რადგან მეცნიერება მოითხოვს აზროვნების მოძრაობას, ხელოვნება კი გრძნობების და საზოგადოთ შინაგან ცხოვრების განვითარებას, უენოთ კი ყველა ეს იხუთება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ დროა რაიმე პრაკტიკული ღონისძიება შევიმუშაოთ, რათა გადავარჩინოთ სიკვდილს სამშობლო ენა და ამასთან ერთად, მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი". ამ საკითხზე არჩილ ჯორჯაძეს ოპონენტები, შეიძლება ითქვას, არ ეყოლებოდა, თუმცა ქართველი ინტელიგენციის ნაწილი გულის სიღრმეში ავტორს არ დაეთანხმებოდა. რუსული ენა ამ ადამიანებს, სამწუხაროდ, კეთილდღეობის მიღწევის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ, ხოლო ქართული ენის გაბატონება – დრომოჭმულ მოთხოვნად.

2. ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა: „მეორე საკითხი, არანაკლებად რთული და მნიშვნელოვანი, **ქართულ** ვაჭრობა-მრეწველობის შექმნის, წარმატების საკითხია. ბევრსა ჰქონია ჩვენში, რომ აი, სწორედ ეს საკითხია ის, რომელმაც აუცილებლად ჩვენი საზოგადოება მოპირდაპირე ჯგუფებად უნდა დაჰყოს. და ეს დასკვნა უფრო იქედან გამოჰყავთ, რომ სხვა ქვეყნებში სწორედ ამ ნიადაგზე იჩენს თავს კლასთა ბრძოლა. ჩვენის აზრით კი, კაპიტალის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, **ნაციონალური** მიმართულება უნდა მიიღოს. საქართველოს ეკონომიური წარმატება – ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში – კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის (სომხების – ვ. გ.) ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიც-

ემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთ-ამწყობია იგი, თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს განმსჭვალული. მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერიალური მდგომარეობა, რადგან ნაციონალურის იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია, თავისი კერძო კლასიური ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვით-ცნობიერების სიმწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან, რადგანაც უფულოდ ჩვენ ვერ ვაწარმოვებთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, რადგან უფულოდ ჩვენ ვერ ვახეირებთ ვერავითარს ქართულს საზოგადო საქმეს – თეატრია იგი, წერა-კითხვის საზოგადოება თუ გამომცემელი საზოგადოება. ჩვენთვის საჭირო არის ქალაქებში შეგროვილი და გამრავლებული ქართველი მუშახალხი, რომელიც შეჰქმნის ნიადაგს ჩვენის ერის ეკონომიურ ევოლუციისათვის". ამ დასკვნით არჩილ ჯორჯაძემ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძესა და გიორგი წერეთელს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა შეაჯამა, თუმცა არცერთის მხარე არ დაუჭერია. ავტორის ანალიზი უნიკალურია. მიუხედავად ამისა, ოპონენტები ამჯერადაც თავს დაესხნენ არჩილ ჯორჯაძეს.

3. ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა: „მესამე საკითხი ამავე ხასიათისაა. ქართული მიწის მფლობელობა ამ ჟამად დიდ განსაცდელშია. ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელიც მიწად-მფლობელი წოდება იყო ჩვენში, თანდათან თავის მამულებს ჰკარგავს. ჩვენი ბანკები, მიწად-მფლობელობის სასარგებლოდ დაარსებულნი, იმის მტრად გადაიქცნენ, რადგან მამულების გაყიდვის პროცესი დააჩქარეს. ფული, გამოღებული მამულის გირაოთი და არა მოხმარებული მამულის საჭიროებისათვის სწორედ ის ულმობელი, დამარღვეველი ძალაა, რომელმაც წოდებრივ მიწად-მფლობელობას საქართველოში ბოლო მოუღო. მხოლოდ ვის უნდა ჩაუვარდეს ხელში ის მამულები, რომელნიც ჩვენს თავადაზნაურობას ეკარგება? იქნება ჩვენ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ დავეხმაროთ თავად-აზნაურობას და რაიმე ღონისძიება ვიხმაროთ, რომ შევინარჩუნოთ მამული და თავისი წოდებრივი ხასიათი? ჩვენი აზრით, ძალიანაც რომ გვდომოდა თავად-აზნაურობის აღდგენა, იგი უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია. მიწათ-მფლობელობა მხოლოდ იმათ შერჩებათ, ვინც მამულს ფულით ახეირებს, ე. ი. ვინც მრეწველობის გზას შეუდგება. და რადგან ჩვენს თავად-აზნაურობაში ამ იარაღით შეიარაღებულნი პირნი ძალიან ცოტანი არიან, ამიტომ იმ საკითხმა, თუ ვის ხელში დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს და აგვაცილოს ის შეცდომა, რომელშიაც ადვილად გავებმევით, თუ ამ მოვლენას დოკტრინის თვალით შევხედავთ. ჩვენის აზრით, ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა მოვნახოთ, რომ გასაყიდი მამულები **ან** ქართველმა გლეხკაცობამ შეისყიდოს, **ან** კიდევ ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოთ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირობებთან ეკონომიურ ბრძოლისათვის. ასე რომ, მესამე პრაკტიკული საგანი, ჩვენ ცხოვრებაში წამოყენებული საგანია, რომლის განმარტებაშიაც ჩვენი შეერთებული ძალაა საჭირო, საგანი **ქართულ** მიწათმფლობელობის და **ქართულ** მიწად-მოქმედების დაცვისა". ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძეს ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის ნააზრევის შეფასე-

ბა უწევს. მთლიანობაში ავტორი მაინც ილია ჭავჭავაძის შეხედულებას იზიარებს. ქართველი თავადაზნაურობის გადარჩენის იდეა რომ წამოაყენა, ილია ჭავჭავაძე ლამის ჯვარს აცვეს, თუმცა იდეა ჩვენი სოციალური და ეკონომიკური წყობილების (ბატონყმობის) აღდგენას სულაც არ ითვალისწინებდა. ამ შემთხვევაში თავადისა და აზნაურის მამული ილიას მომავალში ფერმერული მეურნეობის საფუძვლად მიაჩნდა. თუ ეს არ მოხდებოდა და თავადაზნაურობა მიწას ვერ შეინარჩუნებდა, ქართული მიწა უცხოტომელთა ხელში აღმოჩნდებოდა. არჩილ ჯორჯაძეს თავადაზნაურობის გადარჩენა ქართული მიწის ქართველთა ხელში შენარჩუნების პირობად მიაჩნდა.

არჩილ ჯორჯაძე კარგად ხვდებოდა, რომ ზემოთ ხსენებული სამი კარდინალური საკითხის გადაჭრა ადვილი საქმე არ იყო, ამიტომაა, რომ ავტორი მის მიერ დასმულ სამ საკითხს „საერთო მოქმედების ნიადაგის" გაფართოების მიზნით კიდევ ორს უმატებს: „1) ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო კულტურული მოღვაწეობა უნდა იკისროს და 2) ჩვენივე ინტელიგენცია უნდა ენერგიულად ჩაერთოს ქალაქების თვით-მართველობის არჩევნებში". ინტელიგენციის როლის ამგვარი გაგება პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური ორიენტაციის პარტიათა შეხედულებას. სოციალისტები ინტელიგენციას რეაქციულ ძალად მიიჩნევდნენ, რომლიც თითქოს ეროვნული იდეოლოგიის ქაადაგებით სოციალურ პროგრესს აფერხებდა.

არჩილ ჯორჯაძე ეკონომიკის არსებით საკითხებს „საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეასთან მიმართებაში იხილავდა. ასეთივე შეხედულებას ავითარებდა იგი სტატიაში **„ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო"** (1901 წ.), ხოლო ამავე წელს გამოქვეყნებულ წერილში **„ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი"** ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში წამოჭრილი პრობლემების სხვადასხვა კუთხით განხილვას აგრძელებს. მოქმედების სახელმძღვანელო დედააზრი, ანუ ეროვნული პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილები, არჩილ ჯორჯაძეს ასე წარმოედგინა: „ჩვენ აღვნიშნეთ ოთხი უმთავრესი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა და ვსთქვით, რომ მათი ჯეროვანი განმარტება ჩვენი ეროვნული პროგრამის განმარტებად ჩაითვლება; ასე რომ, ჩვენი ეროვნული პროგრამის შინაარსს შემდეგი კითხვები შეიცავენ: 1) საჭიროება ენის დაცვისა, 2) ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნულ იდეალების შემუშავება და ეროვნული გრძნობების ხალხში გაღვიძება, 3) ქართულ ეკკლესიის დაცვით ძველ ტრადიციების განმტკიცება ხალხში (მამულისათვის თავდადება) და 4) ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპებით ხელმძღვანელობა თვით-მართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში". ოთხივე საკითხს არჩილ ჯორჯაძე ცალ-ცალკე დაწვრილებით განმარტავს:

1. საჭიროება ენის დაცვისა: „ერთხელ და საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა ჩვენი სამშობლო ენა, თუ უმისოდაც იოლად წავალთ? (...) ბევრ ფრაზებს ლაპარაკობენ ჩვენში ქართული ენის შესახებ. ყველანი იმას სჩივიან: ენა გვეკარგება, სკოლებიდან და საზოგადო დაწესებულებებიდან განდევნილიაო იგი; საჭიროა მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ამ საგანზე, იქნებ გვეშველოს რაიმეო და სხვა. საკვირველია, კაცის ბუნება იმ გვარადაა მოწყობილი, რომ თავისი შეცდომა და დანაშაულობა სხვას თუ არ დააბრალა, ვერ მოისვენებს. ჩვენც სწორედ ასე გვემართება. რასაკვირველია, სკოლებში რომ ქართულს არ გვასწავლიან და

საზოგადო დაწესებულებაში რომ არ ხმარობენ ჩვენ ენას, ყველა ამას დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, გვავიწყებინებს დედა-ენას. მხოლოდ, თუ ჩვენ მართლა გვესმის სამშობლო ენის საჭიროება, რატომ არ ვხმარობთ მას შინ, ოჯახში, გარედ, სხვადასხვა ქართულ დაწესებულებაში, **სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ არის აკრძალული?"** ეს იყო მწარე სიმართლე და, ცხადია, მისი აღიარება უკვე კარგი დასაწყისი იყო. არჩილ ჯორჯაძის ზოგიერთი ოპონენტი შეიძლება ასეთ მსჯელობას პესიმიზმის გამოვლინებადაც კი მიიჩნევდა. სწორედ მათ საყურადღებოდ წერდა ავტორი: "ქართული ენა იკარგებაო. დიაღაც, დაიკარგება. რომელი ენა გაუძლებდა ამგვარ ძალმომრეობას? რატომ არ ვსარგებლობთ ჩვენ იმ კანონის შეღავათით, რომლის ძალითაც ჩვენ გვაქვს ნება ჩვენი საქმეები ჩვენს კრებაზე ქართულად ვაწარმოოთ?" შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ნათქვამის დასადასტურებლად კონკრეტულ მაგალითებს უხმობს: " განა თავად-აზნაურობის (წარსულ) საგანგებო კრებაზე წამლად ერთი ქართული სიტყვა წარმოითქვა? ქართული ენა არ ვიცითო. მაშ, რომელი ენა ვიცით? იქნება ჩვენი ორატორების რუსული მჭერმეტყველება მართლა რუსული ენის ცოდნად ჩაითვლება? მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს იმ ..საგანგებო" კრებაზე დამსწრეთ ქართული უფრო ეხერხებათ. რატომ არ ხმარობენ ისინი ამ ენას? ან იქნება ქართული ენის ხმარება იმ დაწესებულებაში, სადაც **კანონი** ხელს არ გვიშლის, რაღაც უკანონო „ბუნტად" მიგვაჩნია? რით უნდა დავასაბუთოთ მთავრობის წინაშე თხოვნა სკოლებში ქართული ენის შემოღების შესახებ? განა არ ექნება საბუთი მთავრობას გვითხრას, რომ ქართული ენის შემოღება თქვენი, ქართველების ტანჯვა-ვაებად შეიქმნება, რადგან თქვენს ცხოვრებაში, სოფელში თუ ქალაქში, ოჯახში თუ საზოგადო კრებაზე რუსულსაც კარგად ხმარობთო? და ვაძლევთ რა ამ მოსაზრებას საფუძველს, ჩვენი დაუდევრობით და უზრუნველობით, ქართული ენის ბედიღბალს ჩვენვე ვსწყვეტთ". დაბოლოს, არჩილ ჯორჯაძე მეტად საყურადღებო დასკვნას გვთავაზობს: "ხალხის დაქვეითება ნივთიერ მოუწყობლობის გარდა, გაუნათლებლობითაც არის გამოწვეული. განათლება და ცოდნის შეძენა კი დედა-ენის საშუალებით უნდა იყოს შეძენილი".

არჩილ ჯორჯაძე იოტის ოდენადაც არ აჭარბებს, მან საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა დიდი ეროვნული პრობლემა: **ქართულ ენას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დევნიდა, მაგრამ ოჯახებიდან, სკოლებიდან და სხვა დაწესებულებებიდან, სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ იკრძალებოდა, ქართული ენის განდევნა თვით ქართველთა უმწეობის, უდარდელობისა და დაუდევრობის შედეგიც იყო.**

2. **ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნული იდეალების შემუშავება და ეროვნული გრძნობების ხალხში გაღვიძება:** „ენასთან ვიწროდაა დაკავშირებული ლიტერატურა და ლიტერატურასთან, საზოგადოდ, ხელოვნება – მხატვრობა, ქანდაკება და მუსიკა. ხელოვნებას მეცნიერებასთან აქვს ის უპირატესობა, რომ იგი უფრო მისაწვდომია ხალხისათვის, რადგან იმის მოქმედების ასპარეზი ადამიანის გრძნობაა. პოეზია, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა – სიტყვების, ფერადების, მარმარილოს და სხვების საშუალებით ადამიანის გრძნობა-გონებას აღვიძებენ. ამისათვის ნამდვილ ხელოვნებას ყოველთვის აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა (...). ლიტერატურა და ხელოვნება საუკეთესო იარაღია იმ გრძნობათა და აზრთა გაღვიძებისათვის, რაზედაც უნდა იყოს მიქცეული ჩვენი ყურადღება. ჩვენის აზ-

რით, ეროვნულ პროგრამის გარკვევასთან ერთად უნდა გაირკვეს ჩვენი ხელოვნების მიმართულებაც, ის, თუ რა კითხვები, ერის დამახასიათებელი ნიშნებია წამოყენებული მის წინაშე. ან იქნება ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვერ მისცემს შინაარსს ჩვენს ლიტერატურას, მხატვრობას, ქანდაკებას და მუსიკას? ჩვენის აზრით კი, უნდა მისცეს, რადგან ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერია, რაც კი საჭიროა ნამდვილ ხელოვნებისათვის". ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძე აგრძელებს და ავითარებს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებას მწერლობასა და ხელოვნებაზე.

3. **ქართულ ეკკლესიის დაცვით ძველ ტრადიციების განმტკიცება ხალხში (მამულისათვის თავდადება):** „ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი პიროვნება, ყოველი ჩვენი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი დიდ განსაცდელშია, არ შეიძლება არ მივმართოთ ყოველგვარ საშუალებას, რომელიც კი ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის სასარგებლო გამოდგება და დაგვიფარავს გადაგვარებისაგან. ჩვენა გვაქვს სახეში ქართული ეკკლესია და ეროვნების დაცვაში მისი მნიშვნელობა". ამ დასკვნის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ეხება ქართული ეკლესიისათვის მეტად მტკივნეულ თემას, რომელიც იმხანად და მომდევნო ეპოქებშიც გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ საგანგებოდ იყო ინსპირირებული: „თავდაპირველად კი საჭიროა ვიცოდეთ, აქვს ნიადაგი ჩვენს მდგომარეობაში იმას, რასაც ევროპაში „კლერიკალიზმს" და „ანტიკლერიკალიზმს" უწოდებენ? თავისუფალი მოაზროვნენი იქ, ევროპაში, უარ-ჰყოფენ ეკკლესიას და მის დოგმატურ მოძღვრებას, რადგანაც ეკლესიას (კათოლიკეთა) ჰქონდა იქ დიდი პოლიტიკური ძალა, მას ყოველთვის ჰქონდა სურვილი მფლობელობისა და იგი ყოველთვის გონების და მსჯელობის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო. ანტიკლერიკალიზმი ძალაა, რომელიც ებრძვის **ეკლესიის მიწიერ** პრეტენზიებს". ამ ზოგადი განმარტების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: აქვს თუ არა ანტიკლერიკალიზმს საფუძველი საქართველოში? ავტორის ღრმა რწმენით, ასეთი საფუძველი არ არსებობდა: „ჩვენს ეკკლესიას უფრო ეროვნული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანული, ვინაიდგან ქრისტეს მიძღვრება არღვევს საზღვრებს ეროვნულ ცხოვრებისას, და ქართული ეკკლესია კი ამ საზღვრების დაცვაში იყო. ისტორიულ მსვლელობაში მარტო ქართულ ეკკლესიას არა ჰქონდა ამნაირი ხასიათი. ებრაელთა ცხოვრება შესამჩნევ ნიმუშებს წარმოგვიდგენს ამგვარ ზეციერ და მიწიერ ელემენტების ერთი ერთმანეთთან შერევისა და გადაბმისა. იუდაიზმი – შერევაა რელიგიურ აზრისა მამულის სიყვარულში, დაცვაა მამულისა, რჩეულ ხალხისა, ღვთის ხვედრისა. ჩვენი ისტორიული ქრისტიანიზმიც ამ ხასიათისაა(...). ჩვენს დროშიაც ქართულ ეკკლესიას შეუძლია ჰქონდეს იგივე საერო ხასიათი ქართულ წირვა-ლოცვით, გალობის ისტორიის და ეროვნულ ტრადიციების დაცვით. ამისათვის ქართულ ეკკლესიის საკითხის გარკვევასაც უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს მოქმედების გეგმის შემუშავებაში". არჩილ ჯორჯაძის ნაშრომის დაწერის დროს, 1901 წელს, ავტოკეფალისტური მოძრაობა საქართველოში მხოლოდ ჩანასახოვან პროცესში იყო, არჩილ ჯორჯაძე კი, ფაქტობრივად, უკვე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს თამამდ აყენებდა.

4. ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპებით ხელმძღვანელობა თვითმართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში:

„მხოლოდ უპირატესი საკითხი ჩვენის ცხოვრებისა, რაზედაც უმთავრესი ყურადღების მიქცევაა საჭირო, საკითხი, რომლის ჯეროვან გარკვევიდამ გამომდინარეობს სხვა კითხვების გარკვევაც, ეროვნულ ნიადაგზე პრაქტიკულ მოქმედების კითხვაა. უწინარეს ყოვლისა, იმის გადაწყვეტა და განმარტებაა საჭირო, არის თუ არა ჩვენში ერთა შორის ბრძოლა? ჩვენი საერთო ინტერესები ეწინააღმდეგებიან თუ არა უცხოტომელების ინტერესებს? თუ ეს ბრძოლა მართლა არსებობს, მაშინ ადვილია პასუხის მიცემა იმ კითხვაზედ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებაში, ვინაიდან ამ მოქმედების ხასიათი სულ სხვა უნდა იყოს. თუ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი დროის პირველი კითხვა ერთა შორის ბრძოლის კითხვაა და არა ეკონომიური, წოდებრივი ან კლასიური ბრძოლა, თუ ჩვენთვის ცხადად გამოირკვა ეროვნული და არა ეკონომიური ხასიათი ჩვენი ბრძოლის ნიადაგისა, მაშინ საჭიროა შევიმუშაოთ **ერთ** პრინციპზედ დამყარებული რთული ეროვნული პროგრამა, საჭიროა გავიგოთ, ან როგორ უნდა მოვიქცეთ საზოგადოებრივ ასპარეზზედ (თვით-მართველობის კითხვაში), ან ძველ ქართულ ნაშთების დაცვის საქმეში და ან სხვა ტომებთან ეკონომიურ ურთიერთობაში“. ასეთი ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი იმაზე მეტყველებდა, რომ არჩილ ჯორჯაძეს კარგად ჰქონდა გააზრებული ზემოთ ხსენებულ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის დაპირისპირება ნიკო ნიკოლაძესთან. ეს პოლემიკა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში არ დასრულებულა.

არჩილ ჯორჯაძე ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე მწვავე კითხვას სვამს: „ჩვენ ამ წერილში დაწვრილებით ვერ გამოვარკვევთ ამ საგანს, მხოლოდ მკითხველს დავეკითხებით, რას ნიშნავს ის გარემოება, რომ ბაქოში, მაგალითად, მრეწველები იმერელ მუშებს აღარ იღებენ და, აქ, ტფილისშიაც, ქართველ მუშებს ისტუმრებენ ზოგიერთ ქარხნებიდამ და მათ ადგილებზედ გადმოსულებს აყენებენ? ან რა არის, თუ არა გამწვავებული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების საკითხი, რა არის, თუ არა თავგასული ეროვნული ჯიუტობა (სომეხთა ჯიუტობა – ვ. გ.) ეხლანდელ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება არჩევნების რიგის შეუცვლელობისა? ნუ თუ ყოველივე ამაზე ზრუნვა მხოლოდ ბურჟუაზიის საქმეა და არა საერო საქმე? ან იქნება ქართველ მუშების აქაურ ქარხნებიდან გამორიცხვაც ბურჟუაზიულ და არა ქართველ მუშის, ჩვენი საერო საქმე არ იყოს? მაშ, სხვა ერის ბურჟუაზიის გამეფება მუშათა კეთილდღეობის კითხვათ ჩაითვლება? თუ ქალაქის არჩევნების წესის შეცვლა იმ რიგად, რომ დამყარდეს თანაბრივი წარმომადგენლობა, ბურჟუაზიული კითხვაა და არა – საერო, მაშ, აწინდელი საარჩევნო წესი, რომლის საშუალებით ქართველები ყოველთვის დამარცხებული იქნებიან, რადგან ერთ საარჩევნო ნაწილში სხვებს ყოველთვის ექნებათ უპირატესობა, ჩვენი, ქართველების, საერთო კეთილდღეობის წესად ჩაითვლება? თუ ქართულ წარწერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება და ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება მარტო ბურჟუაზიის საქმეა? რატომ ერთი სინდისიერი „დემოკრატი” არ გამოუჩნდათ სხვა ერებს სიმართლის აღსადგენად და ქართველების სამართლიან წყრომის დასაშოშმინებლად?” ცხადია, დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ „ქართულ წარწერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება, ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება”

სომხების საქმე იყო და ეს ანტიქართული პოლიტიკა მთელი ქართველი ერის სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად უნდა აღკვეთილიყო. არჩილ ჯორჯაძე სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ **სომეხი „დემოკრატები" მხარში ედგნენ ყოველგვარი ანტიქართული საქმის წამოწყებას და არც კი ფიქრობდნენ, რომ ქართველთა სამართლიანი ინტერესებისთვის ანგარიში გაეწიათ. ამის საპირისპიროდ ქართველი „დემოკრატები" საერთოდ არაფრად აგდებდნენ ქართველი ერის ინტერესების შელახვას და მხოლოდ „საკაცობრიო იდეალების" გამო წუხდნენ**. ნაშრომში ვკითხულობთ: „უცხოელ სიტყვიერებას (საკაცობრიო იდეალებს – ვ. გ.) ნუ გამოუდგებით – იგი ჩვენ არას გვეუბნება, არაფერს გვიხსნის". ასეთ ვითარებაში რა უნდა მოიმოქმედოს ქართველობამ? ნაშრომში ავტორი სრულიად ნათლად გვამცნობს ამ საკითხის მიმართ თავის პოზიციას: **„ჩვენ ჩვენი წყლული გვაწუხებს, ეს წყლული ჩვენი ეროვნების დაჩაგვრაა. ნუ დავაჩაგვრინებთ ჩვენ თავს. სხვის მაყურებელნი ნუ შევიქნებით, თუ თვითონ არ უშველეთ ჩვენ თავს, სხვები, თუ მეტსაც არ გვიზამენ, არას გვიშველიან!"** არჩილ ჯორჯაძის ეს მოწოდება მეტად აქტუალური რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მას არათუ მაშინ, დღესაც არ დაუკარგავს სიმწვავე.

„საერთო მოქმედების ნიადაგის" იდეას უკავშირდება არჩილ ჯორჯაძის წერილი **„ვის უნდა დარჩეს ჩვენი მიწა?"** (1901 წ.). იმ ქაოტურ ეპოქაში ვის, რომელ სოციალურ ფენას თუ კლასს უნდა დარჩენოდა ქართული მიწა, ძალზე რთული სათქმელი იყო. სწორედ ამ სირთულის აღნიშვნით იწყებს არჩილ ჯორჯაძე ნაშრომს: „ერთ ჩვენ წერილში შევეხეთ ქართულ მიწა-წყლის ბედიღბალს და, სხვათა შორის, ის აზრი გამოვსთქვით, რომ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი მიწა **ქართველებს** შევარჩინოთ. ამის შესახებ ორნაირი საყვედური მოგვივიდა. ერთის მხრივ, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენი დასკვნა მკაფიოდ გამოსახული არ არის, წერილიდან არა სჩანსო, საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი მიწა გლეხკაცობის ხელში გადავიდესო; მეორეს მხრით, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობის ინტერესების წინააღმდეგი აზრები გამოვსთქვით და იმის ცდაში ვართ, რომ მას ეხლავე უსათუოდ მიწა ჩამოერთვასო". სწორედ ამ ბუნდოვანების ცხადყოფისათვის არჩილ ჯორჯაძე უბრუნდება მტკივნეულ თემას და აცხადებს: „რათა ამ ორ საყვედურს საფუძველი ავაცალოთ, ჩვენ ვამბობთ – **პრინციპიალურად** იმ აზრისა ვართ, რომ მიწა, ეს საწარმოვო იარაღი, მწარმოებლის, ე. ი. გლეხის ხელში უნდა გადავიდეს, მხოლოდ, რადგან ეს პრაქტიკულად არ მოხერხდება ამ ჟამად, ამისათვის უნდა ვეცადოთ, რამდენადაც შეიძლება, გლეხკაცობას ვაყიდვინოთ გასაყიდი მიწა და, რასაც იგი ვერ შეისყიდის უფულობის თუ სხვა მიზეზების გამო, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ იგი ჩვენს თავად-აზნაურობას შევუნარჩუნოთ. ასე რომ, ჩვენი მიწა გარემოების და დროის მოთხოვნილებით, **ქართველობას** უნდა დარჩეს, ე. ი. ყოველ იმ ქართველს, **განურჩევლად წოდებისა**, ვინც კი შეძლებს გასაყიდ მიწის შეძენას... ქართველი ხალხის ინტერესია – ჰქონდეს მას საცხოვრებელი მიწა-წყალი". როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე დიდი ეროვნული საფრთხის შესახებ მიგვანიშნებს: " მხოლოდ თუ ჩვენ მიწას უცხოელები დაეპატრონებიან, ქართველ გლეხის ხელში იგი ვეღარ ჩავარდება. ასე რომ, ჩვენ წინ ამგვარი დილემაა: ჩვენს აზნაურს მამული ეყიდება, გლეხს იმისი ყიდვა არსებულ პირობებში არ შეუძლია; დავეხმაროთ თუ არა აზნაურს, რომ მან დროებით მაინც არ დაჰკარგოს მამული, თუ გულგრილად უყუროთ ქარ-

თულ მიწის სხვის ხელში გადასვლას? ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ **საზოგადო ინტერესის მიხედვით, საჭიროა ამ აზნაურს დავეხმაროთ. თავად-აზნაურობის მიწის-მფლობელობის დაცვის საჭიროება გამომდინარეობს ჩვენი გლეხკაცობის ინტერესიდან, რადგან ჩვენი აზნაურობის მამულ-დედული გლეხ-კაცობის და ქართველ მრეწველების** (განურჩევლად წოდებისა) **მემკვიდრეობაა და რადგან სხვის ხელში გადასვლასთან ამათ ეს მემკვიდრეობა სამუდამოთ დაეკარგებათ**". მწერლის ამ მოსაზრებას ბევრი საერთო აქვს ილია ჭავჭავაძის პოზიციასთან, რომელიც ბატონყმობის გაუქმების დროს და შემდგომ ათწლეულებში როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის ინტერესებს იცავდა.

ეკონომიკური უთანასწორობა და ამის საფუძველზე კლასთა დაპირისპირება ყველასათვის საცნაური იყო და მას ვერავინ ვერ უარყოფდა. არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: „თუ ეს ასეა, რანაირად გვსურს დავიცვათ ეროვნული მთლიანობა და ერთობა? თუ ეროვნება კავშირია, ეკონომიური ბრძოლა ხომ განხეთქილებაა, კავშირის გაწყვეტაა, ერთობის დარღვევაა". ავტორმა თავს იდო ეპასუხა კითხვისათვის: **„რა საფუძველზე შეთანხმდება და შეზავდება ეს წინააღმდეგობა?"**

1901 წელს არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტური წერილები ყოველგვარი შეფარვის გარეშე, ღიად მიმართულია ქართველი სოციალისტების წინააღმდეგ. სოციალისტებს და მათ აღიარებულ ლიდერს, ნოე ჟორდანიას, ძალზე აღიზიანებდა ის, რომ არჩილ ჯორჯაძე თითქმის მთლიანად ეთანხმებოდა ილია ჭავჭავაძის წოდებათა შერიგების, წოდებათა თანამშრომლობის იდეას. დაიწყო ლაშქრობა საერთო მოქმედების ნიადაგის წინააღმდეგ. და ეს ხდებოდა 1905 წლის რევოლუციის წინა ხანებში, რევოლუციისა, რომელმაც კიდევ უფრო მკვეთრი ზღვარი გაავლო სოციალურ კლასებსა და წოდებებს შორის. საერთო მოქმედების ნიადაგის იდეას დიდი სოციალური კატასტროფის ატმოსფეროში ადგილი აღარ დარჩა.

საერთო მოქმედების ნიადაგის არჩილ ჯორჯაძისეულ იდეაში ქართველმა სოციალისტებმა დიდი საფრთხე დაინახეს. დაიწყო ხანგრძლივი პოლემიკა. **არჩილ ჯორჯაძის დაპირისპირებამ ნოე ჟორდანიასა და გაზეთ „კვალთან" აჩვენა, რომ ამ ორი მოღვაწის შეთანხმება შეუძლებელი იყო. ეს მოულოდნელი სულაც არ გახლდათ და არც ტრაგედიად შეიძლებოდა შეფასებულიყო. ტრაგედია იყო ის, რომ ვერ მოხერხდა ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძეს შორის საერთო ენის გამონახვა მაშინ, როდესაც ძველი და ახალი თაობის ამ ორ გამოჩენილ მოღვაწეს ბევრი რამ საერთო ჰქონდა. მათი შეუთანხმებლობის ახსნა შეიძლება, ზოგიერთი არჩილ ჯორჯაძეს გაამტყუნებს, ზოგიც – ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ამ შეუთანხმებლობის გამართლება, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ძიება არაფრის მომტანია. შედეგი სავალალო იყო: საქართველოს უგვირგვინო მეფისა და ახალგაზრდა თაობის აღიარებული წინამძღოლის შეუთანხმებლობამ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატების გავლენის გაძლიერება გამოიწვია. ეს კი არც ილია ჭავჭავაძის სურვილი იყო და არც – არჩილ ჯორჯაძისა.**